საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2016



2016/მარტი
3 (245)

## მიშელ ტურნიე
## ბაყაყი, ჩიტი და სალამანდრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| პაროდია | 1 | გია როინიშვილი \| წითელქუდა ღმერთია |
| პროზა | 12 | ბესო პაპასქუა \| Rockstar-ის თამაშები |
| პოეზია | 17 | ჰილდე დომინი \| პოეტი კუნძულის სახელით<br>*გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა* |
| | 25 | ლეონტი ქვარაია (დარქ დი) |
| *ესე* | 28 | მიშელ ტურნიე \| ოთხი ესე<br>*ფრანგულიდან თარგმნა ნიკა აგლაძემ* |
| *თარგმანი* | 32 | ჩარლზ დ'ამბროზიო \| სცენარისტი<br>*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა* |
| *წერა* | 42 | ლექსო დორეული \| ჟანრის პოეზია. ჟურნალის ერთი ფიქციური ნომრის ამბავი |
| | 46 | ნანა ტრაპაიძე \| წერა-მწერლის წერითა |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შალიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

*ბალწური*


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით


მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია როინიშვილი

# წითელქუდა ღმერთია

## პაროდიული ტექსტები კლასიკურ თემაზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარგად უნდა ვიყოთ, გოგო

*/ლია ლიქოკელი/*

სადმე ჩამოვჯდები და მოგიყვებით
როგორ გავხდი წითელქუდა.
მინდა იცოდეთ, რომ ეს სასაცილო არ არის.
მაშინ ასე გამჭვირვალე არ ვიყავი.
მთელი ზამთარი წითელ ქუდს ვქსოვდი
მაგრამ დედაჩემმა იტირა და მითხრა, რომ ვერ გავძლებ,
რომ ჩემთვის არ არის მოგონილი წითელქუდობა,
როცა ვკითხე, მაშ რა არის ჩემთვის მოგონილი,
ვერაფერი მიპასუხა.
ასე გავხდი წითელქუდა.

შაბათ-კვირას ბებიასთან დამაქვს ტკბილეული.
იმ დღესაც დილით შევიკარი გრძელი თასმები მთელი წვივის სიმაღლეზე
და ბებოსთან წავედი.
მიწა იყო გაყინული და გზაზე ჩემი ფეხის ხმა
ცხელ ტაფაზე დაყრილი ნაბლივით სკდებოდა.
მივედი, ვნახე.
როგორი ბებო ხარ, – ვუთხარი, – წევხარ.
სამკვდრო სუფრით და სანთელდაკრული ქადებით მხვდები.
როგორი ბებო ხარ, – როგორ ჩიოდი უსტუმრო ზამთარს
და კარზეც მოგადგა ოხერი მგელი.
ვიცი, ადვილი არ იყო, მაგრამ ჩემო ბებო, ასე გადაწყვიტე,
ღამე იყო და კარი გაუღე, მარტო იყავი და უარი ვერ უთხარი.
ახლა გეყოლება ხმის გამცემი – სიჩუმეს ეტყვი, სიჩუმეს გიპასუხებს.
ახლა გეყოლება – ძვლებს აგიჭრიალებს,
უბეში ისეთი ვნებით ჩაგიხვევს.
მაგის სურვილი თუ გკლავდა, რა ვიცოდი,
ასეთები თუ მოგწონდა, რა ვიცოდი, როგორი ბებო ხარ
– რას ვიფიქრებდი, მხეცს და ნადირს თუ გაყვებოდი.
ახლა ნახე შენი სიცილი, შენი სიცოცხლე,
ხმელ პიტნასავით ჩაფშვნეტილი წყლიან ჭიქაში.

ასე დაიწყეს ცხოვრება.
თავიდან ვიწრო ბნელ მღვიმეში,
მაგრამ თავიდან იქ ყოფნა ძალიან უჭირდათ და სახლის შენება წამოიწყეს.
მგელიც დღედაღამ მუშაობდა და მაინც ვერ აუდიოდა
მისთვის ახალი სხივების გამოჭედვას
და ერთხელაც, როცა მთელი კვირის უძილო და დაქანცული სახლში ბრუნდებოდა,
მონადირეებს გადაეყარა.
გამოეკიდნენ. ტყეს მოედო დაგეშილი ძაღლების ყეფა და ცხენების ჭიხვინი.
მისდევდნენ და ესროდნენ. სწრაფად ვერ გარბოდა...
მთელი ღამე ირბინა მაინც და სახლამდე სხეულით მოიტანა ათასი ტყვია.
ასე გამოიკრა ძვლებში ბებიაჩემის ცხოვრება და თან წაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელქუდა 2-დან

*/ თემურ ჩხეტიანი /*

*მთელი დღე მეხურა ქუდი,*
*რომელიც არ იდო ჩემს თავზე.*
*ჯეკ კერუაკი*

* * *

არა კერუაკის,
არამედ წითელქუდას
ქუდშია LOVE.

* * *

გვიან დავწექი, მაგრამ მაინც არ დამეძინა
და კარგა ხანს არ დამეძინა
- სიბნელეში იწელებოდა დრო.
ვფიქრობდი:
შუქი ავანთო და წიგნი ვიკითხო?
რომ მეზარება?..
ავდგე და დავლიო?
- არა, არ მინდა!..
ასე, სამს იყო გადაცდენილი,
ხელი გავიწოდე და რადიოს გადავწვდი.
ჩავრთე, სიბნელეში გაისმა მუსიკა
- ის დრო იყო, როცა რადიოარხები
კლასიკას, ჯაზს ან ზღაპრებს ატრიალებენ.
...დასრულდა მოცარტის რომელილაც სიმფონია,
შემდეგ კი წითელქუდას თავგადასავალი დაიწყო.
ზღაპარი რომელიც მეც მიყვარს
და რომელსაც ყოველთვის ხალისით ვუსმენ
ახლაც გავიბადრე - ზუსტად იმ ადგილას
როცა წითელქუდა იწყებს ამ დიალოგს:
"გახსოვს მგელო
ორი წლის წინ რომ მესტუმრე
და ორი ბლოკი სიგარეტი რომ ჩამომიტანე?
რა კარგი სალამო იყო!
ეზოში ვისხედით და ვსვამდით.
ცა იყო მოწმენდილი და ვარსკვლავებიანი
და ცაზე
დასეირნობდნენ დათვები - დიდი და პატარა.
ძირს კი,
ბალახზე დაგდებული სიგარეტის კოლოფიდან
გაოცებული აქლემი გვიყურებდა:
- წითელქუდა და მგელი
ერთად სვამდეს აქამდე არც მინახავსო".
დასრულდა ზღაპარი.
გამოვრთე რადიო
და ზუსტან ამ დროს მიკავშირდება
მეგობარი პოეტი და მთხოვს
ერთ ლექსს ახალი ჟურნალისთვის.



გვიანი კია
მაგრამ იყოს კიდევ ერთი ფინჯანი ყავა
და იყოს კიდევ ერთი ღერი სიგარეტი,
ლექსები კი... დაველოდოთ - მოვლენ, სად წავლენ?..

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელქუდას უცნობნაცნობობა

*/ნუგზარ ზაზანაშვილი/*

*გასული საუკუნის 60-იანი წლები*

№1, ლურჯი, მომრგვალო ტროლეიბუსით, რაღაცით ბეჰემოტს რომ ვამსგავსებ, უმცროსკლასელი, ჩამრგვალებული მე, თავზე წითელ ქუდჩამოფხატული მივემგზავრები კარლ მარქსის (ანუ ყოფილი "ვარანცოვის") მოედნიდან – ბებიაჩემის სახლისაკენ, სანაპიროსთან რომ მდებარეობს, დგებუაძის ქუჩაზე, რომელიც პერპენდიკულარულია კამოს ქუჩისა, რომელიც პასტერის და კრილოვის ქუჩების პერპენდიკულარულია, რომლებიც პლეხანოვის გამზირის პერპენდიკულარულია, სადაც ჩამოვდივარ ხოლმე "გაზიან-სიროფიანი" წყლების მაღაზიასთან, სპორტული მაღაზიის მოპირდაპირედ, ან კინოთეატრ "ოქტომბერთან" – იმის მიხედვით, კრილოვის ქ.-ის თუ პასტერის ქ.-ის მარშრუტს ვირჩევ ბებიაჩემთან მისასვლელად.

კონდუქტორის გახუნებული, ყავისფერი ტყავის ჩანთა მუქი-ყვითელი, დიდრონი ხუთკაპიკიანებით, საშუალო სამკაპიკიანებით, მომცრო ორკაპიკიანებით და პატარა კაპიკიანებითაა სავსე და წამდაუწუმ ჩხრიალებს, ხოლო ჩემი ლამაზად დაწნული კალათა სავსეა ნაირნაირი ტკბილეულით, რომელიც დედამ ბებიასთან წასაღებად ჩამილაგა. სავსე კონდუქტორი – რუსი, ფაშფაშამკერდიანი, ქერა, შუახნის ქალი – დასაბრუნებელ ხურდას ეძებს.

მგელი, ჩვეულებისამებრ, ფანჯარასთან მოკალათებულა და გაიძახის: წითელქუდას ბებია უნდა შევჭამოო". ხალხი მიჩვეულია – მგელი ხომ კარგა ხანია, ვარანცოვზე უბნის გიჟადაა აღიარებული. განსაკუთრებით პოპულარული ცოტა ხნის წინ, ხრუშჩოვის დროს გახდა – ამსგავსებდნენ: გარეგნულადაც და გონებრივი მონაცემებითაც. მგელი გიჟია, უწყინარი გიჟი: რა ქნას – ბებიაჩემის შეჭმა განუზრახავს. განა ეს გაუგებარია?...

სხვა სახეებიც მეცნობა. არა, "პირადად" ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ სახეები ნაცნობია, ძალიან ნაცნობი: ხან გასტრონომში, ხან აფთიაქში, ხან საპარიკმახეროში, ხან თონესთან, ხან "ოსურ პივებთან" და ხან კაფეს წინ, "ბირჟაზე" რომ მხვდებიან ყოველდღე...

მივემგზავრებით უცნობნაცნობი, ქართველი, სომეხი, ებრაელი, რუსი, აზერბაიჯანელი, ასირიელი, ქურთი ვარანცოველები. ჩვეული მყუდროება სუფევს ლურჯ, მომრგვალო, მოუქნელ ტროლეიბუსში – უცნობნაცნობობის შეგრძნებით გამონვეული მყუდროება... მივემგზავრებით: ვინ – საით... ყველა ერთად... მივემგზავრებით და სულ უფრო ვშორდებით, ვშორდებით, ვშორდებით მშობლიურ უბანს...

## ქალაქში, მტვერში წაიქცა წითელქუდა

/შოთა იათაშვილი/

არა და არ გამოილია ეს ფანქარი
დაუღლელი ბებიაჩემის ხელში
რომლითაც წერს, ჯღაბნის
წითელქუდას თავგადასავალს
60-გრამიან, 80-გრამიან, 0,1-გრამიან, 1000-ტონიან
ქაღალდებზე.
არა და დრო იყო ის წერდა ასე
გაუგებარია – მგელი
გასაგებია – კუბიკი
ზუსტია – პარალელეპიპედი
ძნელია – სახლი
სახლშია – კუბიკი
კუბიკშია – მგელი
მგელია – გასაგები და ა.შ.
მერე იყო დრო,
როცა თხზავდა ასეთ კუპლეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვდიოდი გარეთ,
ამოდიოდა მზე,
ჩემს წითელქუდას მგელი
ტყეში უგებდა გზებს.
შემდეგ ასე დაიწყო წერა:
მე შენ მიყვარხარ,
ისე, როგორც სულ არავის დედამიწაზე...
მე შენ მიყვარხარ
და ყოველ დილით ველოდები,
როდის ამოვა მზე,
ჩემი სახლის მძიმე კარი როდის, როდის გაიღება
და მგელო ჩემო,
როდის დაიძვრები ჩემი გულისკენ...
ეს დროც გავიდა, და დაჯლაბნა:
მგელის კარგიც,
ფუ, ჩემი კარგიც!..
იყო მომენტი, გაიფიქრა:
რა არის ნეტა ეს კარგადყოფნა ან ცუდადყოფნა...

აი, ბოლოს კი მწოლიარემ ლოგინში,
თავის მწვანე კედლებს შეხედა
და გაახსენდა:
პარალელეპიპედი,
კუბიკი,
წითელქუდა,
სახლი,
ცხოვრება,
მგელი... – მარტივია, რთულია, ზუსტი...
და შეიმუშავა წითელქუდას
წერის ახალი მეთოდი
აურია ადამიანები და ცხოველები
მერე გამოაცალკევა.
სანამ გამოაცალკევებდა
ერთმანეთის თვისებები გადასცა
და ბოლოს და ბოლოს დაწერა:
რომ წითელქუდას დედამ
მისი ორი წინ გაშვერილი ხელით
კალათაში ჩაუწყო ათასნაირი ტკბილეული
რომ წითელქუდას ტყეში
შემოხვდა მგელი
ორი წინ გაშვერილი ეშვით
გადატყავებული მუხლით,
ჩაჭრილი თათით,
დასერილი შუბლით,
ჩალურჯებული იდაყვით
და მაინც მოატყუა
და მაინც მოტყუვდა წითელქუდა
მისი ტყის მტვრიან ბილიკებში.
და ტყიდან ფორიაქით და ბორძიკით გამოსული,
დაეცა და მიხვდა,
- მიხვდა, რომ ჭეშმარიტად დაეცა
- და დაეცა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ის,
- ერთხელ ჭეშმარიტად დაცემული -
ადგა და მშვიდად განაგრძო
დაცემულთა მარადი გზა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წითელქუდა 20 წლის შემდეგ

/ზვიად რატიანი/

მე ვინც არასდროს გამოვალ გარეთ
და ხმას არასდროს შევუერთებ მშიერ ნადირებს
– მე, ვინც არასდროს ავტუზულვარ ჩარაზულ კართან
და თუ შევდივარ, იქ შევდივარ, სადაც მიშვებენ.
– მე, ვინც არასდროს ვეზიდები კალათს, ცარიელს
არც სხვას დავიხმარ; მითუმეტეს – თუ ა ნაცნობი.

შეილო, განა შენ გაჩენიდან ასე იყავი!
დედის მუცლიდან, აკვნიდანვე კი არ შეგახმა
ვარდის ფურცლებით გაწყობილი წითელი ქუდი,
შენ ეს თვალები ოცი წლის წინ უნდა გენახა
– ანთებულები სიამაყით, შავ-მენამული
საშინელ ქარში, დაბურულ ტყეში, როდესაც ქშენით,
ხმის ჩახლეჩვამდე გაყვიროდი: - მგელია, მგელი
მგელო შენი!
სულ შენი..
სულ შენი, შენი
შენი ბრალია ყველაფერი, ჩემს კარგ ბებიას,
შენვე ჩაარჭვე შენი შავი ბასრი კბილები
და გაახედე უფსკრულისკენ, სამოთხეაო.
ეს შენ დალუპე ჩემი ბებო,
ჩემი გულწრფელი და საზეპირო სიყვარულით.
როგორ ვუმზერდი, როგორი რწმენით,
რამდენიმე ადგილას ნაკბენს.
უცებ იფეთქეს და აალდნენ, მე კი ვტიროდი,
ბოლოს გავფანტე მისი ფერფლი და მივიმალე.



– და მე არასდროს გამოვალ გარეთ,
ხმას აღარასდროს შევუერთებ, მხეცებს , ნადირებს
წითელქუდობას მრავლისმეტყველ დუმილში გავლევ
და არსად, გარდა სიზმრებისა, კვალს არ დავტოვებ
ხოლო სიზმრებში – იქ ვერასდროს თავს ვერ დაეაღწევ
იმ მგლებს, იმ გვამებს, იმ საშინელ ტყეს,
სადაც უწყვეტად ახალი სისხლი, თბილი სისხლი, წვეთავს ტალახზე,
სადაც ის მგლები მოკლულ გვამებს გვერდით უსხედან
და ალვიძებენ.
იმ სიზმრებში ისევ განგაშის მჭახე და სისხლის გამყინავი რეკენ ზარები
და ისევ, წითელ ქუდში, როგორც სანგარში,
თავჩარგული, ბნელ ქუჩებში მივიპარები
და ვცდილობ, დროზე გავერიდო იქაურობას:
უკნიდან ვიღაც გამუდმებით ყვირის
წითელქუდ...
მე კი ჩუმად ვარ. ისევ ყვირის. ისევ სიჩუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაუჯდომელი წითელქუდა

/პაატა შამუგია/

*ბოლოს და ბოლოს უარი თქვით დაფნაზე,*
*დაფნა კარგია წვნიანში!!!* **[ჰანს არტმანი]**

*To notice the light changing.* **[პაულ თეკი]**

*ღმერთო, დახოცე ისინი!* **[ზურა ჯიშკარიანი]**

*იყავით ამაზრზენი და იქნებით მართალი...* **[მიშელ უელბეკი]**

*კლასიკა მხოლოდ გვანუგეშებს.*
*ჩვენ ეს არ გვყოფნის.* **[დერეკ უოლკოტი]**

**კონდაკი 1**

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა პირველი ადამიანი გამოჩნდა,
რომელმაც გარკვეულ ხანს იცოცხლა
და ბოლოს ყოვლად ქრესტომათიული სიკვდილით მოკვდა
და სამი დღის მერე (კინოშიც ნახავდით) ფეხზე წამოდგა,
გაიარ-გამოიარა, თვალი ჭერს ჰკიდა,
ღიმილი ზარბაზანივით გადმოჰკიდა ტუჩებიდან
და ლექსი დაწერა,
ლექსი, რომელიც დღემდე იწერება და არა და არ უჩანს დასასრული.
აი ლექსი
აი ია
აი პატარა ძუძუებიანი წითელქუდა
და დამჭკნარ ძუძუებიანი ბებიამისი
აი მგელი, თვინიერ რომლისა არ არსებობს გზა,
რომელიც წითელქუდას ბებიის სახლთან მიიყვანს
სინამდვილეში, ბებიამისის სახლთან მისვლას მგელი კი არა
შორი გზიდან მოვლა სჭირდება
და ორიოდე სუფთა საცვალი
და ორიოდე კონა 100-დოლარიანების.
აი ვალუტის გადამცვლელი ჯიხური
სადაც ლარი ორი და ორმოცზეა
დოლართან მიმართებაში.
აი თბილისის მერი
მილიონი ხის ნერგით ხელში
აი გალაკტიონის "მერი"
აი მსუქანი მერი ჭანტურია (ჩემი მეზობელი)
აი ინგა გრიგოლია
ახალი გადაცემით
აი პრეზიდენტი
მდიდარი სექსუალური ცხოვრებით
აი თითი
კერძოდ შუა თითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***მგელის კონდაკი***
***საყოველთაო პატიება 2***

მაპატიე, რომ გათენდა და ტყეში შემოგხვდი
მაპატიე, რომ ისევ იწვიმა და ნაწვიმარი ქუჩის გამოც და
სახლის გამოც და ყველაფრის გამო
მაპატიე, რომ მოგატყუე და შორი გზა მიგასწავლე
მოკლე გზის ნაცვლად
მაპატიე რომ ბებია შეგიჭამე და ამის შემდეგ ზეცა შავია
თუმცა იმასაც გეტყვი რომ
როცა ბებია შემოგეჭამოს სჯობს მისგან ეგზოკერძი მოამზადო
თქვი ამინ:
და არ აკლდეს ქინძი და რეჰანი და მარილი გემოვნებით არ აკლდეს და
ასდიოდეს ცხელი ორთქლი და ორთქლი იყოს, როგორც კუპრი,
დაპატიჟო დამშეული მეგობარი მგლები
და გიახლონ და თქვან: კარგია
თქვი: ამინ!
და დადგეს ეგზისტენციური კრიზისი და გაჩნდეს სინანული
და სინანული იყოს ხანგრძლივი და ხანგრძლივი იყოს სინანული,
როგორც ფრანგული კოცნა,
თქვი: ამინ!

**წითელქუდას წარმოსახული კონდაკი 3**

მზე იყოს ჯერ კიდევ შუბის ტარზე
და შიმშილის ანჩხლი კატა
დარბოდეს ბებიაჩემის კუჭში
და კლანჭებით სერავდეს მუცელს
მადლობა უფალს.
მე კი ვჯდე ინახად და წვიმდეს საჭმელი.
ოი შემწვარი ჯიხვი, ოი ქაბაბი, შაშხი, ლორი. ოი ლორი
ოი პაშტეტი, ღორის ენა, ათასგზის ოი
ცვრიანი სუკი, ოი სუკი, ოი უფალს,
ბიოეთიკა არ იძლევა წარმოსახვის უზომოდ გაშლის საშუალებას.
ოი ბიოეთიკა, ოი ლომი, ოი ელარჯი,
ოი არომატი ოი ვაზის ტოლმა ოი ხინკალი მოხეური და
ოი ოსტატის მოხვეული და
ზედ ჭაჭა–რაჭას ბოცეული და...
სულ ერთი წამით წარმოიდგინეთ,
მაჯებისკენ დაძრული ხინკლის წვენის ტრაექტორია,
შეფარდებული მისსავე სურნელთან,
რითაც, რასაკვირველია, არ მიიღება ოი მათემატიკური მუდმივა,
მაგრამ მიიღება ოი ოი ოი მუდმივი სიამოვნება.
მადლობა უფალს.
ოი უფალს
სამგზის ოი
მწვადგზის ოი უფალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წითელქუდას ბებიის იკოსი 1**

ორი რამ აღავსებს ჩემს სულს განცვიფრებით:
ვარსკვლავები ცაზე და მგლის პენისი ჩემში
დღეში ოთხჯერ
მადლობა უფალს
დიაზეპამი და ტიზერცინი დღეში სამჯერ
სამგზის მადლობა უფალს
უკუჩვენებები:
დახურულკუთხოვანი გლაუკომა
პარკინსონი
გაფანტული სკლეროზი
მიასთენია
ჰემიპლეგია
ჰიპოტენზია
იშემია
პორფირია
მადლობა უფალს.
რა დროს ეგაა? - იტყვის მავანი
და თვალებს იარაღივით მოგაბჯენს შუბლზე,
- რეალობა სწორხაზოვანია
ის არ ტოვებს განსჯისთვის
საკმარის შრეებს.
ოხ ეს ტუტუცი ბებრუცანები,
ღმერთო, ჩახოცე ისინი,
მადლობა უფალს.
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვსაუბრობთ წარმატებულ თეორიებზე,
ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე,
რომ არავის ესმის,
იმაზე, რომ ვერცერთი ჩვენი აზრი
ვერცერთ პატიოსან ყურში ვერ დასცემს კარავს.
და ეს არის ტრაგიკული დროის ნიშანი.
მადლობა უფალს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნითელქუდას კრიტი(ტან)კა

### /ლექსო დორეული, ნიკოლოზ აგლაძე/

*"მოდი როლები გავცვალოთ ლექსო!*
*შენ იყავი გია როინიშვილი*
*და მე ვიქნები ლექსო დორეული"*

*"უფალო, იქნებ ცოტა ხანი გავცვალოთ როლი*
*შენ გახდი პეტრე..."*
***მამა პეტრე, იგივე კვარაცხელია***

ძალიან ბევრი მიფიქრია იმაზე, რა შეიძლება ამ ნაწარმოებზე ითქვას. ორ ძირითად თვისებას გამოვყოფ. და ეს თვისებები იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ რა მიმართებას ამყარებს გია თავის ტექსტებთან - არის ის ავტორი, არის რიგითი ინტერპრეტატორი თუ არის თავისივე ტექსტების მკითხველი. პირველი ისაა, რომ ავტორი გვევლინება როგორც გარკვეული „იმიჯქილერი". ეს კონცეფცია ძალიან კარგად არის გამოხატული თავად ნაწარმოებში. მუდმივი იმიჯები, ერთმანეთს ფარავენ და ცვლიან, და მუდმივი დეკონსტრუქციაა ამ იმიჯების. ავტორი კლავს ამას და ჩნდება სრულიად ახალი იმიჯები. და მეორე, ფრანგი ფილოსოფოსის, ემანუელ ლევინასის კითხვა, რომლითაც იგი თავის ერთ-ერთ სტატიას იწყებს: ვინ სვამს ამ შეკითხვას. ეს კითხვა, მგონია, რომ არის ამოსავალი წერტილი იმის განსაზღვრისათვის, თუ რა მიმართება აქვს გია როინიშვილს თავის ტექსტებთან, იმიტომ რომ ეს ტექსტები, რომლებიც ინტელექტუალური ტექსტებია და ამავე დროს პაროდიული ტექსტები, რომლითაც ხდება ინტელექტუალიზმის გადაფარვა და რალაცნაირად ჩიხში შეყვანა და გამოთავისუფლება, მიუთითებენ საკუთარ თავზე. და როგორც გია თავის ნაწარმოებში წერს, ის გველაპარაკება არაფერზე არაფრიდან".

ბოდრიარს აქვს ამასთან დაკავშირებით კონცეფცია, და საუბრობს ავტორზე, რომელიც არის პაროდისტი ავტორი, ავტორი რომელიც ახდენს სტილიზებას გარკვეული ტექსტებისას. ვთქვათ, ინტელექტუალური პოეზიის, თეოლოგიური შეფერილობის, ფილოსოფიური შეფერილობის პოეზიის და ა. შ. და ავტორი, რომელიც ახდენს სიმულირებას ამ დისკურსების და თემების. გიას თან აქვს ძალიან კარგი თვისება და უნარი, რომ რეალობის ასახვისას ყოველთვის გამოდევნოს ეს რუტინული პაროდირება და წინ მოდის უფრო მნიშვნელოვანი პლასტები. ბოდრიარი წელან ტყუილად არ ვახსენე. ის ამბობს, რომ: "ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ასრულებს გიჟის როლს, ის გიჟია''. მე მგონია, რომ ავტორი, რომელიც ინტელექტუალური პროზის იდეალურ და სრულყოფილ პაროდიას ახდენს, ის არის ერთდროულად პაროდისტიც და ინტელექტუალი მწერალიც.

მე მგონია, ლიტერატურისთვის და განსაკუთრებით ქართული ლიტერატურისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს ამ სტილისტიკით დაწერილი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი, ტექსტი და მკითხველი გაცვლიან ადგილებს. ხან ტექსტი ჩადგება ავტორსა და მკითხველს შორის, ხან ავტორი ჩადგება ტექსტსა და მკითხველს შორის და ხან მკითხველი ავტორსა და ტექსტს შორის.

თუმცა, ობიექტურობისათვის აუცილებელია ნაწარმოების უარყოფითი მხარეებიც განვიხილოთ.

გია როინიშვილი როგორც "ნივთი ჩვენთვის" (ფენომენი), ჯერ არ არის იმ რანგისა და დამსახურების ავტორი, რომ ასე უდიერად მოეპყრას და პაროდირება გაუკეთოს ისეთ ტექსტებს და შეეხოს ისეთ საქვეყნოდ ალიარებულ ავტორებს, როგორებიც არიან: ლია ლიქოკელი, თემურ ჩხეტიანი, ნუგზარ ზაზანაშვილი, შოთა იათაშვილი, ზვიად რატიანი, პაატა შამუგია და ლექსო დორეული. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი გამონაკლისები შემოგვინახა ტოლსტოისა და შექსპირის, ნაბოკოვისა და დოსტოევსკის, ერეკლე საღლიანისა და ელიოტის, უელბეკისა და პრევერის, პაუნდისა და უიტმენის ურთიერთობათა მაგალითებით.

ახალგაზრდა, დამწყებისთვის, რომელსაც ჯერ ღირებული არაფერი შეუქმნია, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ამპარტავნული და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდევრობით "პაროდირება" მხოლოდ ღიმილის მომგვრელია და უბრალოდ ხაზს უსვამს მის ( გია როინიშვილის) უსუსურობასა და ზედაპირულობას.

**ჰერმენევტიკა**

ჯოისის აზრს თუ გავითვალისწინებთ, ლიტერატურამ უნდა აღწეროს ისეთი ჩვეულებრივი ამბები, როგორიცაა ის, რომ " მგელმა შეჭამა ბებია", ხოლო თუ როგორ "შეჭამა მგელმა ბებია' - ეს უკვე ჟურნალისტებისათვის გამზადებული ჰეროიკულ-სენსაციური თემაა და თუ იმ თეზისზეც შევთანხმდებით, რომ ინტერტექსტუალობა, გარკვეული თვლსაზრისით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც ჰერმენევტიკა, შემეძლება გამოვთქვა აზრი, რომ, უმეტეს შემთხვევაში, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჰერმენევტიკის წინაპირობას ტექსტის ჰერმენევტულობა წარმოადგენს.

ანუ, უფრო გასაგებად და მარტივად რომ ვთქვა, ენის დისკურსის და დისკურსის ენის თვალსაზრისით, რაც უფრო დახუფულია ტექსტი, მით უფრო ღიაა ის ინტერპრეტაციისათვის და რაც უფრო ღიაა ინტერპრეტაციისათვის მით უფრო დახუფულია ენის დისკურსის და დისკურსის ენის თვალსაზრისით.

**ზღაპარი და სინამდვილე - ფოკალიზაციის პრინციპი**

სამწუხაროდ, ჩემი აზრით, ავტორმა გადაამლაშა და მთელ რიგ შემთხვევებში, ვერ მოახერხა ნაწარმოებში გმირები წარმოედგინა სრულფასოვან პერსონაჟებად, რადგან, ზოგჯერ, მისი უადგილო გამოსვლები ხელსაც კი უშლის, ერთი მხრივ, პერსონაჟებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ აძლევს მკითხველს საშუალებას, მარტო დარჩეს ტექსტთან.

კარგი იქნებოდა, თუ ავტორი, ამ შემთხვევაში, გამოიყენებდა თხრობის განხორციელების ფოკალიზაციის პრინციპს, რომელიც ნარატივის თეორიტიკოსების - ჟერარ ჟენეტისა და მიკე ბალის მიერ შემუშავებული ტერმინია და გულისხმობს ამბის განხორციელების ისეთ პერსპექტივას, რომლის მეშვეობითაც მოვლენები ჩვენს თვალსაწიერში ექცევა. ფოკალიზაცია არის ტექსტის უნარი, ერთდროულად რამდენიმე დროსა და სივრცეში რამდენიმე მწერლის/მკითხველის/პერსონაჟის მიერ განხორციელდეს. ამავე დროს, სწორედ ამიტომ, ის ტექსტის უფლებაც არის - იგულისხმებოდეს და დარჩეს მხოლოდ სინამდვილის ფიგურატიურობაში და არა პირიქით - შემოუშვას რეალობა დისკურსში, ან მოხდეს ტექსტის რეალობად დაკონკრეტება.

**მუზა გამოძახებით**

გულწრფელ გაოცებას იწვევს პატივცემული გია როინიშვილის გადაწყვეტილება, რომ ნაწარმოებში არ მოინახა ადგილი ბესიკ ხარანაულის "კარტოფილის ამოღება''-ს, გიორგი ლობჟანიძის "არაბულის მასწავლებელი"-ის, ელა გოჩიაშვილის "შაბიამანი"-ს, ბელა ჩეკურიშვილის "ეპითალამა"-ს და ოთარ ჯირკვალიშვილის "კანფეტისთვის", ან თუნდაც ამავე ავტორის "მღვდლისთვის", მაშინ, როდესაც ნაწარმოებში მოყვანილია ლია ლიქოკელის საკმაოდ სუსტი ტექსტი.

ოთარ ჯირკვალიშვილის ორივე ხსენებული ნაწარმოები, ჩემის აზრით, თანამედროვე ქართული პროზის გამორჩეული ნიმუშია, რადგან მათში ჩნდება ის ხაზი, სტილისტიკა "ინტერპრეტაციუმართავი", დახვეწილი თხრობის პრეცედენტი, რომელიც ჩვენი ლიტერატურისათვის არსებითი და გადამწყვეტ სიახლეს შეიძლება წარმოადგენდეს.

გია როინიშვილის ტექსტის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს ის წარმოადგენს, რომ ავტორმა ღრმად ფილოსოფიური ტრაგედიის ნაცვლად, შემთხვევით კომედია შექმნა ალბათ. ამის მიზეზი ის არის, რომ, ერთი მხრივ, ხელოვნურად და წინასწარი ჩანაფიქრის გარეშეა აგებული ტექსტის არქიტექტონიკა, ხოლო, მეორე მხრივ მისი ენა არც პოეტურია და არც პროზაული და რაღაც გაუგებარ დიალექტთა სიმბიოზს ჰგავს. ამას ემატება ცუდი სტილი, არაარსებითი დეტალების დახვავება, ცუდი დასასრული და ფოკალიზაციის არადამაჯერებელი მცდელობა.

თუმცა, გია როინიშვილის ტექსტის მთავარ ღირსებასა და იმედგაცრუებასაც მისი ფინალი, უფრო სწორად, უფინალობა წარმოადგენს და უცნაური დასასრულის მოლოდინგანბილებული მკითხველი ხვდება, რომ ტექსტის ფინალის მუღამი ის არის, რომ მას ფინალი არა აქვს.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ, ჩემი აზრით, ამგვარ არარსებულ დასასრულს სიუჟეტური გამართლება შეიძლება ჰქონდეს, რაც, თავის მხრივ, ინტერპრეტაციის საგანია.

ამ დაუსრულებელ დასასრულობას სწორედ სიუჟეტი აქცევს ტექსტად და ტვირთავს სემანტიკით, ზუსტად ისე, როგორც ეს ჩვენი მცირე მიმოხილვითი რეცენზიის შემთხვევაში მოხდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბესო პაპასქუა

# Rockstar-ის თამაშები

*„წუთში თუ 50-ჯერ გკლავს მოწინააღმდეგე და ის ჩეთერი არ არის, მაშინ ჯობია წახვიდე, შენი PC კეისი ტრაკში გაიკეთო, ეკრანი შუბლზე მიიკრა და ვირზე უკუღმა შეჯდე!!!"*

***ჩემი ძმა***




ეს ადრე იყო.

მაგიდასთან მჯდომი გოგო საკმარისზე ნასვამი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩემ მიერ დასმულ არცთუ რთულ შეკითხვაზე:

- რა გქვია?

საკუთარი სახელი გაეხსენებინა.

ბარში ვისხედით. დაღლილები, და რომ არ მოგატყუოთ, მთვრალებიც. სამსაათიანი მხიარულების შემდეგ, ხასიათი ცუდისკენ რადიკალურად შემეცვალა და მოულოდნელად დავასკვენი, რომ არაფერს არ ჰქონდა აზრი. ვარჩიე სკამიანადვე გადავტრიალებულიყავი და აგილზევე დამეძინა.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მთლად ჩემი გადაწყვეტილებაც არ ერქვა უკვე ამას.

სიცივემ და თავის ტკივილმა ერთდროულად გამომაღვიძა. მთელი 90 გრადუსით ვიყავი დაშორებული ვარიანტს: მდგომარეობა ფეხზე მდგომს შემეფასებინა, მერე გამევლო ნაცნობებით გამოტენილი ბარი, შევსულიყავი პირსაბანში, გამოსაფხიზლებლად შემესხა წყალი და სმისგან დასიებული სიფათი სარკეში შემეთვალიერებინა. ეს კი აუცილებლად იმოქმედებდა ჩემს დარღვეულ ფსიქიკაზე. ამიტომ, სკამზე გადაკიდებულ ქურთუკს ხელი დავავლე, ტანზე შემოვიხვიე, გვერდი ვიცვალე და რამდენად გამაღიზიანებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ძილი გავაგრძელე.

- გამოფხიზლდი!

ბარმენი თავზე მადგა. ჩემკენ დახრილიყო. პირიდან მყრალი სუნი უდიოდა.

- გამოფხიზლდი, ვიკეტებით!

იატაკს იდაყვებით დავეყრდენი და სანახევროდ წამოვიწიე. თითებით მოვიფშვნიტე ორივე თვალი. ქეჩოში ჩაევლო ჩემთვის ხელი და მთელი ძალით მექაჩებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რომელი საათია? - ვიკითხე.

- სამის ნახევარია. არც მეტრო მუშაობს და არც ავტობუსი.

- გააჯვი აქედან - პირში მიეახალე - ეგ არ მიკითხავს, საათი მაინტერესებდა.

მისი ხელი მოვიშორე, წამოვდექი, ქურთუკი მხარზე დემონსტრაციულად შემოვიგდე, არეულ მაგიდაზე შემოდგმულ ლუდის ბოთლს ხელი დავავლე და გარეთ გამოუმშვიდობებლად გამოვედი.

არ თბილოდა. არც ქარი და წვიმა იყო ერთმანეთში გადახლართული და არც მთვარე ირეკლებოდა მთვლემარე ქუჩების სველ ტროტუარებზე.

მოსასვენებელ სკამზე ჩამოვჯექი, ლუდი დავლიე, თავი ავწიე და ბავშვობის ოცნება ავიხდინე -თბილად მოციმციმე ვარსკვლავებიმივათვალე ცაზე.

ან რა ჩემი ფეხები უნდოდა ოთხამდე დათვლას?

სწორედ ამ დროს ვიგრძენი, თუ როგორ მომაბჯინეს კეფაზე პისტოლეტის ლულა.

- არ უნდა გავინძრე? - ვთქვი ხმადაბლა.

* * *

("GTA 4"-ში მსგავს პრობლემებს ნიკო ბელიკი ეფექტურად აგვარებს. მას აქვს უნარი იპოვოს გამოსავალი ყველაზე რთული მდგომარეობიდან. მაგალითად, თუ მაინცდამაინც მოკლეს, ნიკო ბელიკი როგორღაც ახერხებს გონს მოვიდეს ნიუ-იორკის რომელიმე საავადმყოფოში. თავდაჯერებული ჩამოუყვეს კიბის საფეხურებს, არაფერი დაიტყოს საიქიოდან მობრუნებულის, გაიტაცოს რომელიმე ავტომანქანა და შურის საძიებლად გაემართოს.

მისი ცხოვრება განმეორებადია და მუდმივად ითვალისწინებს იმ შანსის არსებობას, რომელიც მე, სამწუხაროდ, არ გამაჩნია).

მაგრამ მას ჰყავს დედა, მამა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბებია, რომელთაგან სამივე facebook-ზეა დარეგისტრირებული.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ამ გაწამაწიაში, რამდენად რთულია კომპიუტერთან რომელიმე ხანგრძლივად მოხვდეს და ამის გამო, შენარჩუნდეს ოჯახური იდილია?

ვთქვათ, მამა სამსახურში მიეაველინოთ, დედა საყიდლებზე, მაგრამ მის ქვეშაჯვია ბებიას ხომ მაინც ვერაფერს მოვუხერხებთ?

მითუმეტეს, თუ "Samsung"-ის უზარმაზარ მაცივარი მისი ხელით მოზადებული ტრადიციული კერძისთვის ადგილს არ იტოვებს და კვირაში ორჯერ ივსება ძეხვეულით, რძის ნაწარმით, კეტჩუპით, მაიონეზით, ლიმონათით, ჰალვით, ქათმის ბარკლებით და საკონდიტროში ნაყიდი ნამცხვრებით, სამზარეულოში მიდგმული, „beko"-ის ფირმის სარეცხი მანქანა კი თავის საქმეს იდეალურად ასრულებს - მხოლოდ ფხვნილის ჩაყრა და ღილაკზე თითის მიდებაა საჭირო, რომ ტანსაცმელი ამოაბრუნოს, დაწუროს, დააშროს და მორიდებული სიგნალის მეშვეობით შეატყობინოს, რომ დავალებას ამჯერადაც წარმატებით გაართვა თავი.

ამრიგად: ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ადრე დაქვრივებული ბებია სარეცხს ახარისხებს, აივანზე გააქვს, თოკზე ჰფენს და კვლავ ოთახში ბრუნდება, იმზადებს ყავას, იკალათებს სავარძელზე, შეექცევა ტკბილეულს და ტელევიზიის საშუალებით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიც არ რჩება ყურადღების მიღმა.

სწრაფად ბეზრდება ეს კლოუნადა.

- კომპიუტერთან დამსვი! - ეუბნება შვილიშვილს, რომელმაც იცის, წინააღმდეგობის გაწევას რომ არ აქვს აზრი.

უხალისოდ წამოგორებული აფუებულ დივანზე, თვალს უსაქმური ბებიისკენ აპარებს და ხედავს, რამდენად გამაღიზიანებელი მონდომებით ცდილობს ეს ორმოცდაათს მიღწეული ქალი თავის „ბებრუხანა" დაქალებს არაფრით ჩამორჩეს, facebooke-ზე დაპოსტილი ფოტოებით მიიქციოს მათი ყურადღება და სამაგიეროს იმით უხდის, რომ არასოდეს „ალაიქებს" მის დრომოჭმულ გამოხდომას.

არადა,ბებია ხომ „ლაიქებს" გამეტებით ითვლის.

- დაბადების დღეზე კომპიუტერი მიყიდე! - სთხოვს საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ მამას და მშობელიც არ უცრუებს იმედს, შვილს მეცამეტე დაბადების დღეზე საჩუქრად ახალ კომპიუტერს ყიდულობს, რომელიც პლაკატებით აჭრელებული ოთახში იდგმება.

- გასაღებიც!.. - ამბობს (განსაკუთრებით ბებიის გასაგონად) - და ამ ოთახში უნებართვოდ არავინ შემოვიდეს. ეს ჩემი ოთახია!

სწორედ აქედან გვენძრევა ყველას...

დგება. თუ ზაფხულია, შუადღისკენ, 3 საათიდან 5-მდე, უწესრიგოდ მიყრილი ტანისამოსიდან არჩევს შარვალს, იცვამს (ხშირად უკუღმა) და კომპიუტერის მაგიდასთან ჯდება, აწვება ჩამრთველს და სულ ახლახან ნაყიდ gamer-ის „მაუსს" ხელში მოხერხებულად იქცევს.

„ნაბოზვარი - უტრიალებს თავში - ნაბოზვარი... დღეს აუცილებლად ჩავტოვებ მეოთხე ტურში".

თვალებში ბრაზი აწვება, კოლოფიდან ამოაქვს ღერი სიგარეტი, უკიდებს, ღრმა ნაფაზს არტყამს და ნამწვით სავსე თეფშზეაფერფლებს...

ნიკო ბელიკი ამერიკაში მცხოვრები რუსი ემიგრანტია.

- „skype-დან, online-ში".

ორად ორი სიტყვის მიწერა ხდება საჭირო ჩატში, მეგობრებისთვის, რომელთაც 3 წელია იცნობს და ერთხელაც არ შეხვედრია, რომ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივი აიმაღლოს და გაორმაგებული ძალისხმევით აადინოს ბოლი ნებისმიერ ვირტუალურ სერვერს.

ნიკი - bellic, სახელი - niko.

მაგრამ ერთ დღეს:

- ვიკა რეკავს, online-ზე დარჩით, მალე დავბრუნდები.

და ჩანითლებულ თვალებზე სათვალეს ირგებს. ინტელექტუალის ნიღაბი მხოლოდ იმიჯისთვის არ სჭირდება - მხედველობას უჩივის უკვე.

- ხო, აქ ვარ. როგორაა საქმე?

მონიტორს მიღმა ნათელი, ლამაზი თვალები ჩნდება და ვიკა თითებით ისწორებს მხრებზე ჩამოშლილ თმას, მოხდენილად სწევს წინ ვარდისფერ ტუჩებს.

ალმგზნებია, თუმცა, არც მთლად იმ პორნოვარსკვლავებივით, რომელთა ცხოვრებასაც ყოველდღიურად განიცდის, გულთან იმაზე ახლოს მიაქვს, ვიდრე საჭიროა და შედეგად, საპირფარეშოშიც ყოველდღიურად მასტურბირებს.

- ძველებურად - ეუბნება ვიკა - ხო იცი, ზეგ დაბადების დღე მაქვს. მეგობრებთან ერთად, კარაოკე-ბარში ალვნიშნავ და მინდა რომ შენც იყო.

ყოყმანობს.

- გთხოვ - ეუბნება ვიკა - თითქმის ერთი წელია ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ არასდროს შევხვედრივართ. ჩემთან შეხვედრას რატომღაც ყოველთვის თავს არიდებ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამჯერად უარს არ მეტყვი.

- კარგი - ძლივს ამოთქვამს და ერთხანს იმის დაჯერებაც უჭირს, რომ ეს ერთადერთი სიტყვა თვითონ წარმოთქვა.

მერე კი აწყდება ვიკას გაბრწყინებულ თვალებს.

(ნიკო ბელიკის კრიმინალური მოღვაწეობა ხუთი ხარისხობრივი ნაწილისგან შედგება. თუ დავუშვებთ მკვლელობას, რომელიც ჩაიდინა მოწმის გარეშე და მოახერხა თავი შეეფარებინა, ვთქვათ, რომელიმე სტრიპტიზ-ბარისთვის, არავინ აიღებს ეჭვს მასზე.

ვარსკვლავები კი დანაშაულებრივ შკალაზე იმის მიხედვით აციმციმდებიან, თუ რამდენად მძიმე აღმოჩნდება ესა თუ ის დანაშაული.

ხუთი ვარსკვლავი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოცხადებულტერორს ნიშნავს).

- ყურადღებით მომისმინეთ - ამბობს და მთელი სხეულით იხრება მონიტორისკენ - დროა სათადარიგო გეგმა ავამოქმედოთ. სახლიდან გასვლა მიწევს.

- რა? - გაოცების გამომხატველი შეძახილი რამდენიმე ბაგეს ერთდროულად წყდება.

- ჰო - აგრძელებს - ზეგ, საღამოს, ვიკას დაბადების დღეზე მომიწევს ყოფნა. თამაშის მასშტაბი იზრდება. იქნებ არც გამემახვილებინა ამხელა ყურადღება ამაზე, ერთ პრობლემასთან რომ არ გვქონდეს საქმე.

სროლის ხმა ისმის. ხელი ნელა მიაქვს დინამიკთან და დაბალ ხმაზე უწევს.

- რა პრობლემასთან?

- ვიღაც ტიპია, ჩემი ვიკასთან ურთიერთობა არ სიამოვნებს. მასთან საუბრის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მომწერა, რომ მნახავს, ოღონდ დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე. მოკლედ, ვიცი კონკრეტული დრო და ადგილი, სადაც ჩვენი შეხვედრა შედგება.

- ნიკი?

- „კლიშო"...

ესმის, მისი მეგობრები როგორ ათამაშებენ თითებს კლავიატურაზე.

- ძალიან ჩამოგვრჩება - ამბობს პირველი - მისი skill-ები ახლოსაც არაა ჩვენთან. მაინც გჭირდებით?

- ჰო - პასუხობს - ეპიზოდის პროექტირებისთვის. ჯობს ახლავე შევუდგეთ მის შექმნას. მგონი, გახსოვთ ერთმანეთისადმი მიცემული პირობა - თუ ოდესმე რომელიმე გავა გარეთ, გავყვებით ყველა და იმას გავაკეთებთ, რაც მას დასჭირდება. ასეა?

- ასეა

- ჰოდა, მაშინ დავიწყოთ. სქემატური პარამეტრები მჭირდება. შეხვედრის ადგილი ჩემი სახლიდან არც ისე შორსაა, პირველი და მეორე ქუჩების კვეთაზე. მე კი ამასობაში, გრაფიკულ მონაცემებს დავარეგულირებ.

მთელ ღამეს თეთრად ათენებენ.

პირველი მისიის ტიპზე მუშაობს,

მეორე - სქემაზე,

მესამე - gameplay-ს ხარისხზე,

თვითონ - გრაფიკულ მონაცემზე.

საფერფლე დასაცლელია და აღელვებს კიდეც ეს ფაქტი, თუმცა, იმდენადაც არა, რომ სანაგვე ურნამდე მისვლა გაარისკინოს.

- მზად ვართ?

- კი.

კიდევ ერთ ღერს იღებს კოლოფიდან.

- დავტესტოთ და ვნახოთ რა გამოვიდა - ამბობს პირველი.

შემდეგ კი თამაშშია:

გარდერობი რამდენიმე ხელი ტანსაცმელისგან შედგება.

ეს იცის და თხელ ქურთუკს ირჩევს, ჯინსის შარვალს, გაცრეცილ ბერეტს.

„ტაქსით დავეშვები. ქუჩების კვეთამდე..." - მეგობრებს შეტყობინებას უტოვებს და ქამარში გაჩრილი იარაღით კიბეებზე ეშვება.

გვიანი ღამეა. ხალხი არ მოძრაობს. მოსახვევიდან შემოჭრილ ტაქსის ამჩნევს და ხელს უქნევს.

მშვიდად ჯდება და ფრთხილად მგზავრობას არჩევს, რადგან მისიაზეა, ასეთ დროს კი სისულელეა ქალაქში ატეხოს უმისამართო ზრახაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუხი.

- გააჩერეთ - ეუბნება მძღოლს და მგზავრობის საფასურს იხდის.

დათქმულ ადგილზე უკვე ელოდებიან.

- თქვენ ხართ?- ეკითხება.

- ჰო... - პასუხობენ.

და ხელს სათითაოდ ართმევს ყველას.

- მე მეორე ვარ.

- მესამე.

- მეოთხე...

მაგრამ პირველი სად არის?

და ირგვლივ დაბნეული იხედება.

- პირველს ვერ ეუკავშირდებით. - ეუბნებიან.

ეუცნაურება.

ტელეფონს იღებს და რეკავს.

„ნომერი, რომელიც თქვენ აკრიფეთ..."

- დაკავშირება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ არ გამოვიდა. არც არასდროს გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, დაიკიდე, ჩვენც ვეყოფით საქმეს.

ჩაფიქრებული აბრუნებს ტელეფონს ჯიბეში და საათს აშტერდება.

- ათი წუთი გვაქვს - ამბობს - დავიძრათ და ალბათ ისიც მალე შემოგვიერთდება.

პარალელურ ქუჩაზე გადადიან.

ამ თამაშის gameplay მოსწონს.

„საოცრად დახვეწილი ვერსიაა, ინოვაციური გრაფიკით".

იქნებ დაპატენტებაზეც ეზრუნათ?

ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევთან ჩერდება, ქამარში გაჩრილი პისტოლეტი ამოაქვს.

- უნდა გავიყოთ. აქვე იდექით და თვალი არ მოაცილოთ. თვითონ მიხვდებით როდის გახდება თქვენი ჩარევა საჭირო, გესმით?

ესმით.

გზას მარტო მიუყვება.

ლამპიონის შუქზე, შორიდანვეარჩევს სკამზე მჯდომს, რომელსაც დროდადრო ბოთლი მიაქვს პირთან და მერე ცას აშტერდება.

„ზუსტად იქ ზის, სადაც დამპირდა შეხვედრას".

ზურგიდან ფრთხილად უვლის, უახლოვდება და პისტოლეტის ლულას კეფაზე აბჯენს...

* * *

- არ უნდა გავინძრე? - ვთქვი ხმადაბლა.

ადგილიდან მოწყდა, ისე, რომ პისტოლეტი არ დაუშვია და ჩემ წინ გაჩერდა.

მის ხშირ სუნთქვას ვარჩევდი.

- მაინც რამდენ ვარსკვლავზე ხართ ასული, ხუთზე? - ვკითხე.

არ მეშინოდა.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ უფლება არ მაქვს საკუთარი სიცოცხლის ამბავს სრული სერიოზულობით მივუდგე, მითუმეტეს, თუ მხოლოდ პლასტმასის პისტოლეტიანი ჩოილარი დგას ჩემ წინ და „მოკვლით" მემუქრება.

- „კლიში" ხარ? - ხმაში ბზარი გამოერია.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე:

- მაგრამ აქ სამტროდ არ მოვსულვარ. დიდი ხანია შენზე ინფორმაციას ვაგროვებ და მინდა, რომ საიდუმლო გაგანდო. მომისმენ?

ეტყობა, არ ელოდებოდა ასეთ დასაწყისს.

საჭირო იყო, რომ მისი დაბნეულობით მესარგებლა და რაც შეიძლება მალე გადავსულიყავი საქმეზე.

- ის ვიღაც ვიკა მხოლოდ მიზეზი იყო შენთან შესახვედრად. სინამდვილეში არც კი ვიცნობ -



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუთხარი და ოდნავ მარჯვნივ გადაეიხარე, რომ შემძლებოდა მსუბუქ სინათლეზე მისი გამომეტყველება გამერჩია - სხვაგვარად ვერ მოვახერხე შენი ოთახიდან გამოტყუება. მინდოდა დარწმუნებულიყავი, თუ რამდენად განსხვავდება სინამდვილე კომპანია Rockstar-ის პოპულარული თამაშებისგან - მიმოიხედე. შენი სათამაშო პისტოლეტი კი...

- ამდენი საიდან იცი ჩემზე? - წინადადების დამთავრების საშუალება არ მომეცა, თუმცა უკმაყოფილება არ გამომიხატავს, რადგან შეკითხვა ძალიან ლოგიკურად ჟღერდა.

- ჯგუფის წევრები უფრო ყურადღებით უნდა გადათვალო ხოლმე, მეგობარო, - ვუთხარი და ფეხი ფეხზე გადავიდე - მე „პირველი" ვარ...

გამოთაყვანებული თვალებით მომჩერებოდა. მინდოდა ეფიქრა და ხმას არ ვიღებდი.

- გვატყუებდი? - ფიქრებიდან გამოერკვა.

დანარჩენები გამოვიდნენ და ჩემ ირგვლივ წრე შეკრეს.

- მე მხოლოდ თქვენი დახმარება მინდოდა. ეს თამაში არ არის. არც მის gameplay-ზე გაქვთ არცერთს წარმოდგენა, ცხოვრება ჯერ არავის დაუპროგრამებია.

- ამიტომ არ აჩენდი skype-ში სახეს? ჯგუფში მიგიღეთ, მისი ყველა საიდუმლო გაგანდეთ, მისიებს ერთად ვგეგმავდით...

ისევ იქ იყო, სადაც უნდოდა დარჩენა.

არ მინდოდა ამის უფლება მიმეცა მათთვის.

- მხოლოდ თქვენი გადარჩენა მინდოდა. ამიტომ აეირჩიე ეს საშუალება. თქვენთან შემოვიპარე, რომ ბოლოს ამეხსნა: მეგობრობაზეც არ გაქვთ წარმოდგენა, არაფერზე ირგვლივ, ერთმანეთს არც კი იცნობთ, მე თქვენ ერთმანეთი გაპოვნინეთ...

მათ თვალებში შიში არ იკითხებოდა. მხოლოდ გაკვირვება.

ნელა ასწია თავისი პლასტმასის პისტოლეტი და შუბლზე დამადო, მაგრამ...

არ უნდა მოვეკალი, ვირტუალურადაც კი...

მხოლოდ ამაში მდგომარეობდა საიდუმლო.

ვცადე გადამერწმუნებინა:

- მეორე შანსი არ გექნებათ. თამაშში არ ხართ. გაისვრით და ყველაფერი დამთავრდება. თავს ვერ დააღწევთ პოლიციის ესკორტს, თქვენს დასაპატიმრებლად აფრენილ ვერცერთ ვერტმფრენს ცაში, სპეცდანიშნულების რაზმებს. Rockstar-ი იტყუება...

მაგრამ მათ სახეზე არცერთი ნაკვთი არ შეტოკებიათ.

თვალები დავხუჭე.

- ცაზე სულ ოთხი ვარსკვლავი მოსჩანს. - თვითონაც ვერ მივხვდი ეს რატომ ვთქვი.

- რა?

წარმოვიდგინე - ნამდვილი იარაღი რომ სჭეროდა ხელში, რა შეიძლებოდა მომხდარიყო და ტანში გამცრა.

ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. თვალები არ გამიხელია.

- სანამ აქ მოხვიდოდით ვარსკვლავებს ვითვლიდი და ჩემი ბავშვობის ოცნება ავიხდინე.. სულ ოთხია. - უცნაური ღუმილი ჩამოწვა. - თქვენში ბავშვობა მოიპარეს, ეცადეთ დაიბრუნოთ.

ერთხანს არავინ არღვევდა სიჩუმეს.

რატომღაც არანორმალურმა სურვილმა მომიარა, რომ ეს წუთი საათზე დამენიშნა, მაგრამ ამ დროს მისი სიტყვები გავიგონე.

- ცდები, შვიდია... ეს იარაღი კი ნამდვილი.

უცებ ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე და თვალები გავახილე.

- ოღონდ ბავშვობის ხათრით... ამ ტურში არა.

პისტოლეტი ოდნავ დაუშვა, მხარში დამიმიზნა და გაისროლა.

მინაზე სისხლიანი ვეგდე, სიმწრით ვღრიალებდი და ვხედავდი:

როგორ ნელა ტოვებდა 4 პერსონაჟი ჩემს ტერიტორიას, გზადაგზა კი ვიტრინებს ესროდა, მანქანებს, დაგვიანებულ მგზავრებს, ფანჯრებს და მაღალ კორპუსებს.

აშკარა იყო - ცა იწმინდებოდა ღრუბლებისაგან.

* * *

ეს ახლა ხდება:

ბარმენი მე ვარ.

თავზე ვადგავარ. მისკენ ვიხრები. პირიდან მყრალი სუნი ამომდის.

- გამოფხიზლდი, ვიკეტებით!

იატაკს იდაყვებით ეყრდნობა და სანახევროდ იწევა ადგილიდან. თითებით იფშვნეტს ორივე თვალს.

ქეჩოში ვავლებ ხელს და მთელი ძალით ვექაჩები.

- რომელი საათია? - მეკითხება.

- სამის ნახევარია. - ვეუბნები და უცებ რაღაც მახსენდება... - არც მეტრო მუშაობს და არც ავტობუსი.

- გააჯვი აქედან - პირში მახლის - ეგ არ მიკითხავს, საათი მაინტერესებდა.

ჩემს ხელს იშორებს, დგება, ქურთუკს მხარზე დემონსტრაციულად იგდებს, არეულ მაგიდაზე შემოდგმულ ლუდის ბოთლს ხელს ავლებს და გარეთ გამოუმშვიდობებლად აპირებს გასვლას.

- სირო!!! - მთელ ხმაზე ვუყვირი - ასე, გაბრუჟილი მთვრალი არ უნდა დაეთრეოდე შუაღამისას! ქალაქში ამ დროს ნაბოზვარი ბელიკები დარბიან და ხალხს დაუფიქრებლად ხოცავენ ქუჩებში!!!

ზღურბლთან დგება, ტრიალდება და სახეში პირდაღებული მიყურებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰილდე დომინი

# პოეტი კუნძულის სახელით

**გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა**



ჰილდე დომინი გერმანიის ომისშემდგომი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, გერმანული პოეზიის Grande Dame, როგორც მას დღეს მოიხსენიებენ.

მისი პირველი კრებული „მხოლოდ ერთი ვარდი საყრდენად" 1959 წელს გამოვიდა და მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ამ დროს თითქმის 50 წლის იყო, 22-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, გერმანიაში რამდენიმე წლის დაბრუნებული. მისი სამეცნიერო და მთარგმნელობითი წარსულის მიუხედავად, გამომცემელს მაინც უუხერხულა დებიუტანტის ასაკი და უთხოვია, იქნებ დაბადების თარიღი შეგვეცვალაო.

ლექსების წერა 39 წლისამ დაიწყო და ეს იყო ერთგვარი თერაპია მოძალებულ დეპრესიასთან საბრძოლველად. წერდა, რათა როგორმე თვითმკვლელობაზე ფიქრს გაჰქცეოდა. ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ ჰგავდა „მომაკვდავს, რომელიც სიკვდილის წინააღმდეგ წერს". თავის ცხოვრებას კი აღწერდა როგორც „ენის ოდისეას" და თავს უწოდებდა მოგზაურს, რომელიც ერთი ენიდან მეორეში დაეხეტება.

1909 წელს კიოლნში, ებრაულ ოჯახში დაბადებული ჰილდე ლიოვენშტაინი, იურისტი მამის პროფესიით აღფრთოვანებული, ჯერ იურისპრუდენციას დაეუფლა, შემდეგ კი ფილოსოფიასა და პოლიტოლოგიას კიოლნის, ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1932 წელს იტალიაში გაჰყვა თავის მომავალ ქმარს, მოგვიანებით ცნობილ კულტურის ისტორიკოსს ერვინ ვალტერ პალმს. მისი ენიდან ენაში მოგზაურობაც იტალიაში დაიწყო. მომავალი პოეტი თავს მასწავლებლობით ირჩენდა და ერთგულად თარგმნიდა ქმრის სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ენებზე. 1939 წელს წყვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა იტალია და ჯერ საფრანგეთსა და ინგლისში, შემდეგ, კანადაში გადასახლდნენ, საიდანაც დომინიკელთა რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო დომინგოს მიაღწიეს. იმ დროს ტრუხილიოს დიქტატორული რეჟიმი ებრაელებს თავშესაფარს აძლევდა.

გერმანული, ინგლისური, იტალიური, ესპანური - ის ენები იყო, რომელზეც ჰილდე პალმს თარგმნა და გაკვეთილების ჩატარება უწევდა. ემიგრაციაში გატარებული 22 წლის მიუხედავად, მისთვის მშობლიურ ენად გერმანული დარჩა, უფრო მეტიც, მას მიმართავდა როგორც თავშესაფარს, განსაკუთრებით, ცხოვრების მძიმე წუთებში. სხვა ენაზე წერა არც უცდია, მისი პირველივე ლექსები გერმანულ ენაზე დაიწერა, როცა პოეტი უკვე 39 წლის იყო. მოგვიანებით, შემოქმედებით ფსევდონიმად იმ ადგილის სახელი აიღო, სადაც მისი პოეტური ნათლობა შედგა. ასე იქცა ჰილდე პალმი ჰილდე დომინად - „კუნძულისსახელიან პოეტად", როგორც შემდეგ ეძახდნენ. მის კალამს უამრავი პოეტური კრებული, ავტობიოგრაფიული ტექსტი, რომანი და ესე ეკუთვნის.

ჰილდე დომინი პოლიტიკურად ანგაჟირებული, დიალოგური პოეზიის კონცეპტს იზიარებდა, რომლის მაგია უბრალოებაში მდგომარეობდა.

მის ლექსებში ხშირად ჩნდება გამოთქმა „მიუხედავად ყველაფრისა" და როგორც ინტერვიუებში აღნიშნავდა, თვითონ იყო ადამიანი, რომელიც ცოცხლობდა და იბრძოდა ამ სიცოცხლისათვის „მიუხედავად ყველაფრისა".

ჰილდე დომინის ლექსები 26 ენაზე ითარგმნა და არაერთი პრიზით აღინიშნა.

პოეტი გარდაიცვალა 2006 წელს, 96 წლის ასაკში. საფლავის ქვაზე, ჰაიდელბერგში, ამოკვეთილია მისივე ლექსის სტრიქონი: „ჰაერს ვადგამდი ფეხს და ის მიჭერდა".

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დათვლა წვიმის წვეთების მძივზე

წვიმის წვეთებს ვითვლი ტოტებზე,
ბრწყინავენ, მაგრამ არ ცვივიან,
მძივად ასხმული, ბრჭყვიალა წვეთები
შიშველ ტოტებზე.
წყლიდან კი მდელო შემომცქერის
დიდი თვალებით.
ტირიფის ოქროსფერმწვანე ციცუნიებს
ბუსუსები დასველებიათ.
მათ ფუტკრები აღარ სტუმრობენ.
მინდა, ჩემთან მოვიწვიო,
რომ ცეცხლთან გაშრნენ.

ჩემსას უკვე მივაღწიე,
ყველაფერი მაქვს,
ჭერი, კედლები,
საწოლი, მაგიდა,
ცხელი წვიმა აბაზანაში
და ლუმელი ლომისფერ ფაფრით,
რომელიც ისე სუნთქავს,
თითქოს სახლში ცხოველი მყავდეს,
ან სახლიკაცი.
მყავს ფოსტალიონიც,
რომელიც ბარათს ამომიტანს
ჩემს მწვერვალზე.

მაგრამ ტირიფის ციცები
სახლში არ შემოდიან,
არც ბარათს ვიღებ,
რადგანაც დათვლას არ მანებებენ
წვიმის წვეთები.

## ლექსის ჩაწერის სამი მეთოდი

1.
მდინარის დამშრალი კალაპოტი
შორიდან დანახული
რიყის კენჭების თეთრი გროვა
მათზე მინდა რომ დავწერო
გამოკვეთილი ასოებით
ანდა ლორლზე
ხვინჭაზე
ჩემი ნაწერის ქვეშ რომ ცოცავენ
მისრიალებენ
რითაც ჩემი სიტყვების მძიმე ცხოვრება
მათ გარეშეც
თითოეულ ასონიშანს ისედაც ექნებოდა.

2.
პატარა ასოები
სარგოა
მათგან სიტყვები ჩუმად მოდიან,
მათგან სიტყვები მოძვრებიან,
მათგან უნდა მიხვიდე იქ
სიტყვებთან
ისინი თეთრ ქაღალდზე ეძებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმად
ვერავინ ამჩნევს როგორ შემოდიან
ფორებიდან
ოფლი რომელიც მათ შემდეგ წვეთავს
შიში
ჩემი
ჩვენი
და ასევე თითოეული ასონიშანის

3.
ქაღალდის ერთი გრაგნილი მინდა
მე რომ ვარ იმხელა
მეტრი და სამოცი
და მასზე ერთი ლექსი
რომელიც ყვირის
ანდა ვილაცა
შავი ასოების ყვირილით მიდის
რაღაც შეუძლებელს ითხოვს
სამოქალაქო გამბედაობას მაგალითად
ამგვარი გამბედაობა ცხოველებს არ აქვთ
თანა-ტკივილის მაგალითად
სოლიდარობას ჯოგურობის ნაცვლად
უცხო სიტყვების მშობლიურად ქცევას

ადამიანი
ცხოველი რომელსაც სამოქალაქო გამბედაობა აქვს
ადამიანი
ცხოველი
რომელსაც შეუძლია თანა-ტკივილი
ადამიანი უცხო სიტყვა-ცხოველი სიტყვა-ცხოველი
ცხოველი
რომელიც ლექსებს წერს
ლექსი
რომელიც შეუძლებელს ითხოვს
ყველა გამვლელისგან
სასწრაფოდ
დაჟინებით
თითქოსდა იძახდეს
„დალიე კოკა-კოლა"




## შეურერებელი

ვინ წაიღებს უკან,
საკუთარ სიტყვას,
ცოცხალ,
ჯერაც არ წარმოთქმულ
სიტყვას?

იქ სადაც სიტყვა გადაიფრენს,
ბალახი ხმება,
ფოთლებს ყვითელი ფერი ედება,
იწყება თოვა.
უმალ ჩიტი დაგიბრუნდება,
ვიდრე სიტყვა,
შენს ბაგეს ჯერ რომ
არ წარმოუთქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მას სხვა სიტყვებს მიადევნებ
ფერად, რბილბუმბულიან სიტყვებს.
სიტყვა სწრაფია,
შავი სიტყვა - უფრორე სწრაფი,
ის მუდამ აღწევს,
არასოდეს არ ჩერდება.
არასოდეს ამბობს უარს
მისვლაზე.

სჯობს დანა იყოს, ვიდრე სიტყვა.
დანა ბლაგვიც შეიძლება.
ხშირად დანა
გულს ცერად უვლის,
სიტყვა - არა.
სიტყვა ამთავრებს.
ბოლოს
ყოველთვის
არის სიტყვა.

## აბელ წამოდექი

აბელ წამოდექი
უნდა ხელახლა გათამაშდეს
უნდა ყოველდღიურად ხელახლა გათამაშდეს
უნდა ყოველდღიურად გვქონდეს პასუხი
დიახ უნდა იყოს პასუხი
აბელ შენ თუ არ ადგები
როგორ შეიცვლება პასუხი
ერთადერთი მნიშვნელოვანი პასუხი
როდესმე მაინც
ჩვენ შეგვიძლია ყველა ეკლესია დავკეტოთ
და კანონთა ყველა წიგნი გავაუქმოთ
დედამიწის ყველა ენაზე
თუკი შენ ადგები
და გააბათილებ
პირველ არასწორ პასუხს
ერთადერთ კითხვაზე
ასეთი მნიშვნელოვანი რომ გახდა
წამოდექი
ამით კაენი იტყვის
ამით შეეძლება რომ თქვას
მე შენი მწყემსი ვარ
ძმაო
როგორ შემიძლია შენი მწყემსი არ ვიყო
ყოველდღიურად წამოდექი
რომ გვქონდეს ეს
დიახ მე აქ ვარ
მე
შენი ძმა

ამით აბელის შვილებს
მეტად აღარ შეეშინდებათ
რადგან კაენი კაენად აღარ იქცევა
ამას მე ვწერ
აბელის შვილი
და ყოველ დღე მაშინებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი
ჰაერი ცოტავდება ჩემს ფილტვებში
პასუხის მოლოდინში

აბელ წამოდექი
ამით სულ სხვა რამ დაიწყება
ყოველ ჩვენგანს შორის.

ყველა ცეცხლი, რაც კი ანთია
დედამიწაზე რომ ცეცხლი გიზგიზებს
იყოს აბელის ცეცხლი

და ცეცხლი რაკეტათა კუდებზეც
იყოს აბელის ცეცხლი

## რთული გზები

*ეძღვნება რ. პ. -ს*

ყველაზე რთული გზები მარტომ გამოვიარეთ.
მარტო არიან
გულისგატეხა,
ზარალი,
მსხვერპლი.
გარდაცვლილიც კი,
ძახილზე რომ ყველას სცემს პასუხს
და თხოვნაზე არვის აწბილებს,
არ გვეხმარება
და გვიყურებს,
აბა, თუ შევძლებთ.
ცოცხლები ხელებს იწვდიან ჩვენსკენ,
ვერ გვეხებიან
და დგანან ასე, ზამთრის ხეების ტოტებივით.
გაჩუმებულა ყველა ჩიტი,
მხოლოდ საკუთარ ფეხის ხმას თუ გაარჩევს კაცი,
და იმ ნაბიჯის, ჯერ კიდევ რომ არ გადადგმულა,
მაგრამ უთუოდ გადაიდგმება.
გაჩერება და შემობრუნება
ვერ გიშველის.
ეს გზა შენი გასავლელია.

დაიჭირე სანთელი ხელში,
თითქოს კატაკომბს მიუყვებოდე.
პატარა შუქი სულ ოდნავ
და მაინც, თუკი დიდხანს ივლი,
რალაც მოხდება
რადგან სასწაული ყოველთვის ხდება,
რადგან უფლის მადლის გარეშე
ვერ ვიცოცხლებდით:
დღის შუქი სანთლის ალსაც ააბრიალებს
მას ღიმილით ჩააქრობ უკვე
როცა მზეში გადააბიჯებ
და აყვავებულ ბაღებში ჩაფლულ ქალაქს იხილავ,
ბოლო შენს სახლში,
მაგიდაზე,
თეთრი სუფრა გხვდება გაშლილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაკარგული ცოცხლები
და გადარჩენილი მკვდრები
პურს გიტეხენ და ღვინოს გაწვდიან
და მათი ხმები კვლავ ჩაგესმის
სულ ახლოს,
გულთან.

## მხოლოდ ერთი ვარდი საყრდენად

ოთახს ვინყობ ჩემთვის ჰაერში,
აკრობატებს და ფრინველებს შორის:
ლოგინს გრძნობების ტრაპეციაზე დავაგებ,
როგორც ბუდე დგას ქარში გაწვდილ
ტოტის წვერებზე.

უნაზესი მატყლის საბანს ვყიდულობ
ცხვრის ტანზე რომ იტალღება, ისე ფაქიზად,
როგორც ღრუბელი,
მთვარის შუქზე მოელვარე
დედამინის გადამცურავი.

თვალებს დაეხუჭავ და გავეხვევი
საიმედო ცხოველის ბეწეში.
მინდა პატარა ჩლიქების ქვეშ შევიგრძნო ქვიშა
და ვუსმინო ურდულის წკარუნს
ფარეხის კარს რომ გადაკეტავს სალამოჟამს.

მაგრამ ფრინველის ფრთებზე ვწევარ,
ზევით, ჰაერში დარწეული,
ვერ ვიძინებ, თავბრუ მეხვევა.
ჩემი ხელი საყრდენს დაეძებს, რომ მოეჭიდოს
და რასაც პოულობს, ერთადერთი,
მხოლოდ ვარდია.

## მუქარა

დღეების არეული რიგი
ჩამომდგარა ჩემი კარის წინ
მევალეები
როგორც ეატყობ
ყველას რაღაცა უნდა ჩემგან
ყოველი მათგანი თავისი ნუსხით
უკვე დღეიდან ითხოვს
ხვალისას

მე ვიკეტები დღესთან ერთად
საათთან ერთად
ამ მოკლე
მარადიულ წუთთან ერთად
გამწარებული ვიკრავ გულში
ყვითელფარდებიან კედლებს
რომელიც მე აღარ მეკუთვნის.

ნეტავ დარჩენა შემეძლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წუთში
ამ ფუჭად ჩამოვარდნილ
უსინდისო წუთში
თავის თავსაც რომ ძლივს იკავებს.

დღეები გარეთ
ხმამაღლა გაიძახიან
რას მოითხოვენ
საქმის გადაბარება უნდათ ჩემგან
პირობას პირობაზე მიყენებენ
და არაფერს არ მპირდებიან.




## შენ არსებობ

შენ იქ ხარ,
სადაც თვალებს შეუძლია რომ დაგინახონ.
სადაც მზერა ერთმანეთს ხვდება,
შენ ჩნდები.

ძახილი
მუდამ ერთი ხმაზე ჟღერს,
თითქოს ყოველი დაძახილი
მხოლოდ ერთს უხმობს.

იქცევი,
მაგრამ არ ეცემი,
თვალები გიჭირენ.

შენ არსებობ,
რადგან თვალებს სურთ,
შემოგხედონ და გითხრან,
რომ შენ არსებობ.

## ერთი დღის წინ

ჯერ კიდევ ნორჩი, პატარა,
ფაფუკი ფურცლების კოცნა,
ვარდის ფურცლების,
კოკრიდან რომ ახლა გამოდის,
ცოტა არ არის იმ სამყაროსგან,
რომ ჩამომდგარა
მიღებისა და გაცემის სურვილებს შორის.

შენ საბანს ისე სათუთად მხდი,
ისე ბავშვსაც არ აღვიძებენ,
თითქოს ისეთი სუსტი ვიყო,
როგორც მართლა ვარ.

მე ვერ ვიქნები უფრო ნამდვილი
ვიდრე ლექსი
ანდა სიზმარი
ან ღრუბელი
ღრუბლებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, შენი წასვლის შემდეგ
ეჭვად ეს მრჩება:
ნუთუ მამაკაცს
ასე ამხნევებს
ღრუბელთან წოლა?

## მწირი საკვები

ვწვები,
არ მძინავს,
არ ვჭამ,
არ ვრწყავ ყვავილებს.
თითის განძრევად არაფერი ღირს.
არაფერს ველი.

შენმა ხმამ, გულში რომ მიკრავდა,
უკვე მრავალი დღეა დამტოვა.
მას ლუკმა-ლუკმა ვიზოგებდი
ყოველდღიურად,
მრავალი დღე ამით ვიკვებე,
გამოზომილად,
ღარიბი კაცის ცხოველთა მსგავსად,
გზისპირას რომ წასნედებიან
ლორთქო ღეროებს
და ნამცეცსაც არ კარგავენ.

ასე ცოტა და ასე ბევრი,
ეს ხმა რომ არის,
მე რომ მეხვევა,
დამიტოვე,
ამ ხმის გარეშე
სუნთქვა არ ძალმიძს.

## უცხო ხელი



უცხო, ძლიერმა ხელმა
სახნისივით გადამიაროს
და დაგლიჯოს შენი ფესვები.
ჩემი სხეული
მინდა უცხო ოფლით დავზილო,
მსგავსად მწველი ნელსაცხებლების,
რომ შენი სუნი
ყველა უჯრედს გადაავიწყდეს.
თმა
ისე უსახელოდ ეფინოს ჩემს კანს
როგორც ტყის ნეშოს - ნაძვის წიწვები.
სხვა ტუჩებმა დაკოცნონ თვალი
შენზე მტირალი.

ჩემი სული კი,
დაგეძებს ისე გულუბრყვილოდ,
როგორც ზღვის თავზე სალამოჟამს მიფრინავს ჩიტი,
ექცევა მხარი
და ხმელეთზე არასოდეს აღარ ბრუნდება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ლეონტი ქვარაია (დარქ დი)



## ღალადის სიტკბოება

მე ვიცნობ ადამიანებს,
რომლებიც სიკვდილს ჰგვანან.
ვათვალიერებ ჩვენს ფოტოსურათებს
და მიტანს შიში -
როცა წყალი მომინდება ვერ მომანვდი ჭიქას,
როცა კოცნა მომინდება ვერ მომიშვერ ტუჩებს,
როცა ძილი მომინდება ვერ გამითბობ ლოგინს,
როცა სიცოცხლე მომინდება ვერ გამაცოცხლებ.
ის ადამიანები კი, თითქმის ყოველდღე მხვდებიან
მეტროს სადგურებთან,
გზაჯვარედინებზე, ეკლესიებთან,
ბორდელში, სახურავებზე,
აფთიაქში, სახლის კარებთან
და ჩემზე ადრე მიემგზავრებიან,
ჩემზე ადრე იწერენ პირჯვარს,
ჩემზე ადრე ტკბებიან სიყვარულით,
ჩემზე ადრე იკლავენ თავს,
ჩემზე ადრე კაიფობენ,
ჩემზე ადრე გხედავენ შენ.
მათი თვალის უპეები ნაცრისფერია,
გარშემოწირულობა დღეების
უტოლდებიან ჩემსას.
გზაზე ედგავარ, დილაა.
მოძრაობა დინამიკურად ქაოსში გადადის.
აქაც ვხედავ იმათ,
რომლებიც სიკვდილს ჰგვანან.
როცა მომინდება წმინდა ვიყო,
ვერ დამბან ატმორით გამთბარი წყლით.
მხოლოდ დამაბრმავე,
და ნუ მანახებ.
სიკვდილი არ მინდა.

## ამ ღამით

ამ ღამით სავსეა ჩემი გული
ათასგვარი ჭრიჭინობელათი,
სათამაშოებით, სიყვარულით,
რომელსაც პირობითად ვუწოდებ სიყვარულს,
და ფერადი საჭრეთლებით.
კრისტალური დიფერენციაციით ვგრძნობ
ტარაკნების საცეცთა ტრაექტორიის
მოსალოდნელ ცვალებადობას,
რომელიც კედელზე მიხოხავს
და მეშინია შენი,
რომ გამსრისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პანტერზ დრო

მძიმე პერიოდი,
როგორც ქვები მძიმე.
დასასრულიდან ნამოსული ქარი თბილია.
გამოცარიელებულ ქვაბულში მყოფ
ოდესღაც ძლიერ მეომარივით.
მორიგმა დღემაც დააპირა თავის მოხრჩობა.
ეკრანი მხოლოდ წარსულს გადმოსცემს,
ბევრი რამეა ნარსულიდან გადმოსაცემი,
სანამ ცა გაგვიხდება ფქვილის ფერი და
მიწა იქნება დედაჩემის ძველი საცერი.

## ძილის წინ

გეძებ, რადგან არ ვიცი
სად უნდა გიპოვო.
არ ვიცი, როგორ წავიდე ისე,
რომ კოვზში ჩაწვეთებული სიყვარული არ დამელვაროს.
ჩემი ნირვანა ბერდება
და მომჩვარულ კანზე მოჩანს სვირინგი
"დიდება მეფეს,
რომელმაც ნოტეტრეიმისგან მწვადი გააკეთა".
ბავშვობიდან შემრჩა ალბათ
კოვზის ლითონიანი გემო პირში.
შენ ფიქრობ, რომ რკინის ვარ,
როდესაც გკოცნი.
სიყვარული კი არც მომწაროა
და არც უგემური.
- გადაყლაპე -
დედა მეტყვის,
შუბლზე მაკოცებს,
საბანს გადამაფარებს პატარა მხრებზე
და მოკვდება.

## საჭიროება



რად გინდა ლექსები წერო?!
ბინის ფულს ველარ იხდი.
ხიდის ქვემოთა ხედი
ხიდი - ახალი სახლი.
რად გინდა ლექსები ჯღაბნო,
ისინი ნისიებს გიწერენ.
დილით მშიერი... ღამით
დილაზე მეტად გშია.
სარკეში ჩანხარ ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი უშვებს წვერებს.
კვირაში ერთხელ შხაპი,
კვირას კი მასტურბაცია.
ისევ წუწუნებ ამინდზე,
ისევ ზიხარ და ჯლაბნი.
ისევ არავინ გკითხულობს,
ისევ არავინ ამოდის.
რა მშვიდი იყო კაფე
და მისი მუხლისთავები,
მაგრამ მორიგი საღამო
ახალს არაფერს მოიტანს.



## მამაჩემს სძინავს

ჩუმად იყავით, მამაჩემს სძინავს.
ხმა ჩაუწიეთ ტელევიზორს.
კარი მიხურეთ, უდროოდ ყინავს.

დღე უკვე გაქრა. დატბორეს ეზო.
ფარდა დასწიეთ, ნათურა კივის.
ის სათამაშო მაიმუნია,
თავისით ტირის.

უყურადღებო მელანქოლია განაგრძობს
ფარფატს,
კარების იქით შუქი ანთია
და მამაჩემი ხმელი ხელებით სიბნელეს ფატრავს,
კედლების შიგნით იღიმის მისი ფოტოგრაფია.

დრო ისე გაეა, ვერ იგრძნობ ტკივილს.
ნავების სევდა ჩაჰყვება დაისს.
ჩუმად იყავით, მამაჩემს სძინავს
ნუ მოუდუღებთ უშაქრო ჩაის.

ყინულის ჭირხლი დაეტყო მინას.
ფანჯრის რაფაზე ილოკავს თათებს
შავ-თეთრი კნუტი.
ცარიელ ფურცლებს, უძრავ საათებს
არ ახლოთ ხელი.
რამოდენიმე, მშიერი წუთით
ოთახში სევდა დაცურავს გედად.

ჩუმად იყავით, მამაჩემს სძინავს,
ძვირფასო დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიშელ ტურნიე

# ოთხი ესე

*ფრანგულიდან თარგმნა ნიკა აგლაძემ*



### იტალო-კალვინიზმის პრინციპები

ცნობიერების უსაყვარლეს საქმიანობათაგან ერთ-ერთი, ყალიბების ჩამოსხმაა, რომელთა დახმარებით შრება, მყარდება და, რაც მთავარია, განსაზღვრულსა და უცვლელ ფორმას იძენს უახლოესი გამოცდილების ზანტად მოფუთფუთე მატერია. მართალია, არისტოტელეს ათი, კანტის თორმეტი და ამელენის თხუთმეტი კატეგორია ამორფული გამოცდილების ჭაობში ჩაფლობის შიშით შეპყრობილ ინტელექტს ამგვარი საკლასიფიკაციო საქმიანობისაგან ათავისუფლებს, თუმცა, ლოგიკური კატეგორიების ქსელი, შესაძლოა, მასაც კი ზედმეტად აბსტრაქტულად მოეჩვენოს. ხასიათმცოდნეობა ადამიანთა ტიპების უფრო თვალნათელ კლასიფიკაციას გვთავაზობს და, რაც მთავარია, ისტორიაში პირველად, მათი კომბინირების საშუალებას იძლევა. პირველადებისა და მეორეულების, აქტიურებისა და არა-აქტიურების, ემოციურებისა და არა-ემოციურების გამიჯვნის შემდეგ, ის, მაგალითად, ქოლერიკულ ხასიათს გვთავაზობს, რომელიც განისაზღვრება, როგორც ემოციურ-აქტიურ-პირველადი (დანტონი); ანდა, მეორე მაგალითი, იგი აპათიურ ხასიათს გვთავაზობს, რომელიც არაემოციურ-არააქტიურ-მეორეულია (ლუი XVI).

მსგავსსავე გამოწვევას თავს ართმევს ტაროს ბანქოც, ყოველ შემთხვევაში იმგვარი, როგორადაც მას იტალო კალვინო წარმოგვიჩენს მშვენიერ წიგნში, გამომცემელ ფრანკო მარია რიჩის დახმარებით რომ დაისტამბა. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ აქ ყოველი პერსონაჟი ოდენ სახასიათო ატრიბუტებით კი არ არის აღჭურვილი, არამედ ზოგჯერ რთულ და დრამატულ ვითარებაში ამოყოფს თავს. და, რა თქმა უნდა, აქ არის მაგიაც, რადგან ტაროს სამოცდათვრამეტივე გამოსახულებას - აღორძინების ხანისა და შუა საუკუნეების მიღმა, არაბულ და ჩინურ მკითხაობაში რომ ილებენ სათავეს - იდუმალი შარმი და მარადიული ახალგაზრობა აქვს მიმადლებული. სწორუპოვარი სილამაზით გამორჩეული მინიატურები ახლობლის დაკვირვებულ მზერას გვაპყრობენ. ჯამბაზი, თავდაყირა ჩამოკიდებული კაცი, შელეგი, სამმაგი ღაბაბით, ამური, მზის მენამული ნიღბით, პაპესა სამი სკნელის ბატონის გვირგვინით, ზეციური იერუსალიმის მცველი ტყუპები, - მეფური იერის მქონე, იდუმალი არსებები იმ უხსოვარი ენით მეტყველებენ, მხოლოდ ჩვენს გულებს რომ ესმის. ამ ბანქოს შეუძლია ნებისმიერი ჩვენგანის წარსულისა და მომავლის შესახებ ისეთი ცნობების მოწოდება, რომ ადამიანის ბედი ოქროკაზმულ ლეგენდას დაემსგავსება. იტალო კალვინოს გადაჯაჭვული ბედისწერების ციხესიმაგრეში შევყავართ.

ტყის უსიერ ღამეში დაკარგული იდუმალი ციტადელი. გზააბნეული მოგზაურები - რაინდები, ქალბატონები, კურიერები, მომლოცველები - იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პოულობენ თავშესაფარს. და რადგან მაგიდის გარშემო შეკრებილი ეს არაერთგვაროვანი საზოგადოება უეცრად მუნჯდება, თითოეული თანამეინახე საკუთარ ამბავს რიგრიგობით, მაგიდაზე ტაროს ბანქოს გაშლით ჰყვება... და ყველასათვის ყველაფერი გასაგებია. როდესაც საკუთარი თავგადასავლების აღწერის ჯერი მორიგ მთხრობელზე მიდგება, ის არ რევს წინამორბედის მიერ გაშლილ ბანქოს; ახალი ნარატორი დააშენებს თავის ამბავს წინა კომბინაციის ნაწილზე და მხოლოდ მიუთითებს გარშემომყოფთ, რომ ის ნაკითხული უნდა იქნას არა ზემოდან ქვემოთ, არამედ, მაგალითად, მარჯვნიდან მარცხნივ. ასე, თითოეული კარტი მნიშვნელობას იძენს წინასა და მომდევნოს დახმარებით, დაახლოებით ისე, როგორც სიტყვები თავსდებიან ხოლმე კროსვორდის ბადეში. ამგვარად, იტალო კალვინო ტაროს აქცევს ერთგვარ მთხრობელ მანქანად, რომელიც პერსონაჟებისა და სიტუაციების კომბინირებით, ბედისწერათა უზარმაზარ, მაგრამ არა უსასრულო რაოდენობას ქმნის.

გასაკვირი როდია, რომ *ხეზე ასული ბარონის, კოსმიკომიკოსებისა და ნულოვანი დროის* ავტორი გაიტაცა მსგავსმა წამოწყებამ, რომელსაც სიმბოლური ხატების შექმნის სურვილი და კომბინატორის აზროვნება წარმართავდა. ჟან ჟიროდუს მსგავსად, იტალო კალვინო თავის შემოქმედებაში იმდენადვე ხარბად ენაფება პირად საიდუმლოებებს, რამდენადაც, სიმბოლოებისა და თავისი უცნაური ლოგიკის წყალობით, წარმოაჩენს განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ მოდელს. კატეგორიული ხასიათის ყველა სააზროვნო სისტემას - არისტოტელედან ტაროს ბანქომდე - აერთიანებს: აღმოჩენების მხოლოდ რაციონალური მეთოდის ლამპრის მკვეთრ შუქზე გაკეთების სურვილი, ყოვლისმომცველი კალკულაციისადმი ტრფობა და უსასრულობაში დაკარგვის შიში. ამგვარი მიდგომა სრული ანტიპოდია ემპირიზმისა და ნატურალიზმის, რომელთაც დღენიადაგ სწადიათ გამოცდილების საფლობში სამუდამო დანთქმა. იტალო კალვინოს ყველაზე ცნობილი გმირი ლომბარდიელი არისტოკრატია, რომელიც ცხოვრების ხეზე გატარებას გადაწყვეტს. *არ შეეხო მიწას.* ჩანს, ეს უნდა იყოს იტალო-კალვინიზმის პირველი პრინციპი. „ტაროები" ამის ბრწყინვალედ დახატულ ილუსტრაციას გვთავაზობს.

**კრებულიდან: Le vol du vampir (Notes de lecture), Mercure de Frence, 1981**

## ძილის ფილოსოფია

ღამისა და ძილის შვილს, სიზმრების პატარა ღვთაებას მორფეოსი ჰქვია. მას პეპლის ფრთებითა და ხელში ყაყაჩოს თაიგულით გამოსახავენ. უკანონო შვილიც ჰყავს, სახელად მორფინი, აფისა და კეთილის მქნელი. ურიგო არ იქნება მორფეოსით დავინტერესდეთ, რადგან ის ჩვენი ცხოვრების მესამედის მეუფეა.

1962 წელს მიშელ ჟუვემ თავისი გამოკვლევებით ახალი სიტყვა თქვა „პარადოქსული ძილისა" და სიფხიზლის შესახებ. პარადოქსული ძილი სიზმრების ნახვის პერიოდს ემთხვევა. „პარადოქსულობა" კი კუნთების მოდუნებით ვლინდება, რომელსაც თან გულისცემის სიხშირის მომატება და თვალის სწრაფი მოძრაობა ახლავს. წარმოიდგინეთ ხატი: კაცის სხეული მექანიკურ თუ ქიმიურ მახეშია გაბმული, ძვალ-რბილისგან აგებულ ციხეში მოქცეული ტვინი კი, იდუმალ სახებათა დახმარებით, შეუპოვრად იბრძვის.

სიზმარი ღვიძილისგან წინააღმდეგობრიობით განსხვავდება. ამდენად, უთავბოლო სამყარო მხოლოდ ილუზორული შეიძლება იყოს! მაგრამ ერთხელაც დაუშვით, რომ საღამოს დაძინებისას ბრწყინვალედ დალაგებულ ცხოვრებას უბრუნდებით, რომელიც დილით გაღვიძებულმა მიატოვეთ და ამიერიდან ორი პარალელური ცხოვრება გაქვთ, ერთიმეორეზე არანაკლებ რეალური. საკვირველია, რომ არც ერთ მწერალს აზრად არ მოსვლია ორმაგი ცხოვრების მქონე კაცის ამბავი მოეთხრო.

ჭეშმარიტ ძილს უსიზმროდაც არაფერი დაეწუნება. ანრი ბერგსონის მოძღვრების თანახმად, მართალია, ძილი სიზმარს გულისხმობს, მაგრამ გამოღვიძებულთ ოდენ ყველაზე ზედაპირული სიზმრები გვახსოვს. ამის შემოწმება არასდროს ყოფილა შესაძლებელი. თუმცა, ძილი, თავისუფალი ყოველგვარი ზმანებისაგან, უდავოდ, პარადოქსალურზე უკეთ ასვენებს ადამიანს. იმდენად უკეთ, რომ ის პატარა სიკვდილს ემსგავსება. „სიცოცხლე დაა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადებაა, რომლის ტკივილსაც ძილი თექვსმეტი საათით გვიამებს. ეს დროებითი წამალია; სიკვდილი - საბოლოო განკურნებაა" (შამფორი). რემბოს ცნობილმა ლექსმა გვასწავლა „ხევში მძინარის" ხატს მიღმა, დაღუპული კაცი შეგვეცნო.

თუმცა, ამგვარი მიდგომა აშკარად ზედმეტად პირქუშია. სინამდვილეში, მძინარე კაცი თავისებურად, და ხშირად - ძალიან კარგადაც ცხოვრობს. ძილი ბედნიერების ფორმაა. თუნდაც, ლამით გვერდის ცვლაში მძაფრი კუნთისმიერი სიამოვნება გამოსჭვივის. მძინარენი კი ნამდვილად ბევრს მოძრაობენ. ისინი მონაცვლეობით ოთხ მდგომარეობას იღებენ, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

გულაღმა მძინარე, სახე ცისკენ რომ მიუპყრია, მშვიდად განისვენებს, მუცელზე ხელდაკრეფილი, რწმენითა და იმედით აღსავსე.

არსებობს ორი ლატერალური პოზიცია, რომლის დროსაც ადამიანი მარჯვენა, ან მარცხენა, ანუ გულის მხარეს არის გადაბრუნებული. პოზა „ძაღლი სიცივეში", ლამის მკერდს მიბჯენილი მუხლებით, დაბადებამდელ, ჩანასახოვან მდგომარეობას იმეორებს. საწოლს ის დედის წიაღის სიმულაკრად აქცევს. გაღვიძება და ზეზე წამოდგომა კი დაბადებაა, მთელი მისეული სიმძაფრით.

პირქვე მძინარე, თითქოს მიწას არის შეფარებული. ეს ტყვიამფრქვევის ჯერით გაშეშებული ჯარისკაცის პოზაა. ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს დღემდე კამათობენ, როგორ დააწვინონ ჩვილები - ზურგზე (ევროპულად), თუ მუცელზე (ამერიკულად). გავრცელებული მოსაზრებით, უფრო ხშირად ის ახალშობილები იღუპებიან, რომელთაც პირქვე აწვენენ. შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ჩვილის თავის ქალა მოქნილია და პირაღმა დაწვენის შედეგად მრგვალდება (ბრაქიცეფალი), ხოლო მუცელზე დაწვენისას, თავის მარჯვენივ, ან მარცხვნივ მობრუნებით, ოვალურ ფორმას იძენს (დოლიქოცეფალი).

კირენელ არისტიპოსს წოლისა სწორედაც რომ გაეგებოდა. დიოგენე მას „სამეფო ქოფაკს" ეძახდა, რადგან ტირანებისთვის კმევა არ ეშლებოდა. ის კი პასუხობდა: „რა ჩემი ბრალია, თუკი ყურები ფეხებზე აქვთ?" და კიდევ, არისტიპე ამბობდა: „სანამ ლოგინს დატოვებ, საკუთარ თავს შეიდჯერ ჰკითხე, მოუტანს კი ეს სარგებელს ღმერთებს, სამყაროს და გარგებს კი ეს შენ".



## ღვინის სული

დიონისესა და ქრისტეს ვაზი მყიფე და ხილის სურნელებადაყოლილი ხიდით აკავშირებს. ღვინო, ხმელთაშუაზღვისპირული ცივილიზაციის უცნაური სიმბოლო, გამომწვევად უხამებს ერთმანეთს აღვირახსნილსა და წმინდას. ერთი მხრივ, ბახუსი, ოხუნჯი ლოთების დასით, როგორადაც მათ რუბენსი გამოსახავდა, მეორე მხრივ, ქორწილი კანაში და საზიარებელი ბარძიმი.

„ეკლესიის უფროსი ქალიშვილის" თიკუნს საფრანგეთი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თავის ღვინოს უნდა უმადლოდეს. ეს მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მორეული სოფლის ყველაზე მოკრძალებულ მაღაზიაშიც კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რიგიან ღვინოს აღმოაჩენთ;

და ასევე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ღვინო არა ფუფუნება, არამედ საკვების აუცილებელი თანმხლებია. ჩემს სოფელში, კოდ-დ"ორში, ას წელს მიღწეულნი ისე კვდებიან, რომ ცხოვრებაში წვეთ სუფთა წყალს არ სვამენ. უბრალოდ, წყალი დასალევად შექმნილი სითხე არ არის, მისი დანიშნულება პირის დაბანა და ყვავილების მორწყვაა. მისი დალევა ველურთა წესია და კარგს არაფერს გიქადის. ადამიანს, რომელიც წყალს სვამს, ბურგუნდიაში ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან გულღრძობისა და შეუწყნარებლობისაკენ მიდრეკილი ჰგონიათ. მთელი ბავშვობა მაფრთხილებდნენ „კუჭის გაფუჭების" საშიშროების შესახებ და, რასაკვირველია, საფრთხეს სუფთა წყალში ხედავდნენ.

თვალნათლივ მახსოვს „საოჯახო საქმის მეცნიერება", მშვენიერი წიგნი ოქროსფერი ტვიფრით წითელ ყდაზე, რომლითაც აგერ უკვე ასი წელია წარჩინებულ მოსწავლეებს ვაჯილდოებთ. ერთი თავი ალკოჰოლიზმს ეძღვნება. ამ სენთან ბრძოლის გზად, წიგნის ავტორები „ჰიგიენური სასმელების, კერძოდ ღვინისა და ლუდის" მასობრივ მოხმარებას მიიჩნევენ და მთავრობას ამ სასმელზე დადებული გადასახადების შემცირებისკენ მოუწოდებენ.

თუმცა, ზოგჯერ თავშეკავებაც შეგვიძლია: გვიყვარს ჟანა კალმანის - ის ამას წინათ, ას ოცდაორი წლის ასაკში გარდაიცვალა - მოგონებები, სადაც მხცოვანი ქალბატონი წერს, რომ ას თოთხმეტი წლის ასაკში ღვინის სმაზე უარი თქვა. ნამდვილად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაბაძი მაგალითია...

და აი, ისიც, პირქუში თავი, რომელშიც იმათ უბედურებას უნდა შევეხოთ, ვისაც ღვინის სმა არ უყვარს. ეკლესია მათ „აბსტემებს" ეძახის. ნოველაში „პარიზის ღვინო" მარსელ ემე იწყებს თხრობას სევდიან ცხოვრებაზე არბუას მხარის ერთი მეღვინისა, ღვინო რომ არ უყვარდა. მაგრამ ეს სიუჟეტი ავტორს არ იტაცებს და გმირიც სწრაფად იცვლება. პარიზელ მოხელეს, ეტიენ დიუვილს, ომის დროს ღვინოზე დაწესებული აკრძალვა საშინლად ტანჯავს. ის ცხოვრობს სიმამრთან, რომელიც მთელი გულით სძაგს. მდგომარეობა იმ დღიდან იცვლება, როდესაც დიუვილი შენიშნავს, რომ ბერიკაცი ბორდოს ბოთლს წააგავს. ამის შემდეგ გაკვირვებული მეუღლე დაინახავს, როგორ დასტრიალებს ქმარი ბოთლის გასახსნელით ხელში სიმამრს თავს. ამბავი, რასაკვირველია, ცუდად მთავრდება: აღფრთოვანებული დიუვილი საოცარი მეტამორფოზის მომსწრე ხდება - ქუჩაში ყველა გამვლელი კარგ ღვინის ბოთლად იქცევა.

„აბსტემმა" მღვდელმსახურებმა ეკლესიას სერიოზული საზრუნავი გაუჩინეს. თავდაპირველად ჩაითვალა, რომ მათ მესის ჩატარების უნარი არ შესწევდათ. მოგვიანებით, ლარომელის 1571 და პუატიეს 1644 წლის სინოდებმა დაადგინეს, რომ „აბსტემებს" ზიარების უფლება მიეცემოდათ, თუ ისინი ბაგით ღვინით სავსე თასის კიდეს მაინც შეეხებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჰუსიტების (უნგრეთი, მე-14 საუკუნე) აზრით, თავად რომის ეკლესია იყო „აბსტემიზმის" სენით შეპყრობილი. თავდაპირველად, ღვთისმსახურებისას თეთრი ღვინის გამოყენებით გამოიხატა მხიარულსა და ენერგიულ, ლალისფერ სასმელზე ხელის აღება. ხოლო როდესაც ეკლესიამ მორწმუნე ერისკაცებს ღვინით ზიარება აუკრძალა, „კალიქსტინელები" აჯანყდნენ. კონფლიქტის დროს ათასობი ადამიანი ეწამა, ან დაიღუპა, სანამ 1433 წლის ბალის კრების დადგენილებით ჰუსიტებმა *sub utraque*, ორივე სახით ზიარების უფლება არ მიიღეს.

## ბაყაყი, ჩიტი და სალამანდრა

ალბათ, ასაკის ბრალია. სულ უფრო მაწუხებს ფიქრი ლამაზი დასასრულის შესახებ. ვხედავ, სხვები როგორ კვდებიან. ხან ვიხიბლები, ხანაც - მებრალებიან. ზოგი ლაზათიანად მიდის, სხვა კი ნებდება, სამარცხვინოდ ან სასაცილოდ. ვოცნებობ მოულოდნელ სიკვდილზე, მოკრძალებულ იუმორთან წილნაყარსა და ბუნების საწყისებთან დაკავშირებულზე. ეს კი ადვილი როდია.

ამას წინათ, ერთმა მოარულმა ამბავმა აღმაფრთოვანა. ზაფხულში ზღვისპირა ალპებში ტყე იწვოდა. მოდის ზამთარი, ხანძრის კვამლის უკანასკნელი ფთილები იფანტება და მეტყევეები გადაბუგულ არემარეს ათვალიერებენ. წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ისინი აღმოაჩენენ რაღაცას, რაც ერთი შეხედვით ვეება თევზი ჰგონიათ, რომლის ცეცხლის ენებს მიშვერილი პრიალა კანი, ბუშტებითა და წყლულებით დაიფარა. თუმცა, დაკვირვებამ ცხადყო, რომ თევზთან არ ჰქონდათ საქმე. ეს ადამიანი-ბაყაყი იყო, თავის კომბინეზონში კარგად შემწვარი კარტოფილივით რომ დაიბრაწა. მაგრამ, რა ეშმაკის მანქანებით აღმოჩნდა აქ, ზღვის ნაპირიდან ოცდაათ კილომეტრში?

საშინელი სინამდვილისათვის თვალის გასწორება მოუწიათ: ცეცხლმქრობი თვითმფრინავები დიდხანს მიმოდიოდნენ ზღვასა და ცეცხლწაკიდებულ ტყეს შორის, ყოველ გზაზე კი წყლის უზარმაზარ რაოდენობას ამოტუმბავდნენ და ცლიდნენ. ეს ჩვენი ბატონი, როგორც ჩანს, წყალქვეშა თევზაობის მოკრძალებული ხიბლით ტკბებოდა, როდესაც, თვითმფრინავის წყალშემკრებმა მილმა, ათ ტონა წყალს ოც წამში რომ შთანთქავს, საცოდავი - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - ჩაყლაპა. რამდენიმე წუთში კი მექანიზმმა ის ალმოდებული ტყის თავზე ამოანთხია. დიდებული თავგადასავალია მშვიდი დამსვენებლისთვის. მახლას რომ, მეგობრებისთვის მისი მოყოლით თავს ველარ inუგეშებდა.

ამ აღსასრულში განსაკუთრებით მთავარი გმირის სამმაგმა მეტამორფოზამ აღმაფრთოვანა. მან თხევადი საწყისი აირჩია. თავი ადამიან-ბაყაყად წარმოედგინა. ადამიან-ჩიტობის მოკლე ეპიზოდის შემდეგ, ის ადამიან-სალამანდრად იქცა. წყალი და ცეცხლი. ჰიდრა და დრაკონი. გსმენიათ ალბათ, ის საზიზღარი ესპანური გამონათქვამი? - „ცეცხლისა და წყლის ბრძოლაში, ყოველთვის ცეცხლი კვდება". ცეცხლი, ანუ სინათლე, სითბო, ხელგაშლილობა, ენთუზიაზმი. ამჟერად კი, ფერფლადქცევის ამ უცნაურ ამბავში, უკანასკნელი სიტყვა სწორედ მას დარჩა.

***კრებულიდან: „! ! brations",***



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩარლზ დ'ამბროზიო

# სცენარისტი

*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა*



პარასკევ დილას, როდესაც ჩემს პალატაში შემოსულ ექიმებთან თვითმკვლელობა ვახსენე, ვერ წარმოვიდგენდი, რომ შაბათ-კვირას ქალაქში აღარ გამიშვებდნენ და თავისუფლად მოშარდვის საშუალებასაც აღარ მომცემდნენ. თვითმკვლელობის სურვილი პირველად დაახლოებით ათი, თერთმეტი თუ თორმეტი წლის ასაკში (ან უფრო ადრე) გამიჩნდა. შემდეგ იმდენად შევეჩვიე მას, რომ „სუიციდური ოცნებები" (როგორც ამ დაწესებულებაში ამბობენ ხოლმე) თავისებურ იავნანად იქცა, რომელიც ყოველ ღამე - სანამ დავიძინებდი - ჩამესმოდა. ექიმებისთვის არც ის უნდა მეთქვა, რომ ლამღამობით მხოლოდ იმ შემთხვევაში შემეძლო დაძინება, თუ საბანს თავზე წავიფარებდი და წარმოვიდგენდი, რომ თავდახურულ კუბოში ვიწექი. ყოველნაირად ვცდილობდი გულწრფელი და სანიმუშო პაციენტის სახელი დამემსახურებინა, მაგრამ სწორედ ამის გამო ჩემმა მკურნალმა ექიმმა ისეთ პალატაში გადამიყვანა, სადაც მკაცრად მაკონტროლებდნენ. მანვე დაუყოვნებლივ მომამაგრა ყოფილი სპორტსმენი, რომელმაც მამობრივად მომითათუნა ხელი მხარზე და მითხრა, რომ მისი არ უნდა მშინებოდა - ისიც სცენარისტი იყო (ჩემსავით წარმატებული და მდიდარი არა, მაგრამ მაინც სცენარისტი). ბობი ერქვა. თურმე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სანიტრად იმ მიზნით დაიწყო მუშაობა, რომ სცენარისთვის მასალა მოეპოვებინა. მსურდა, საგიჟეთში მაინც დამევიწყებინა კინო, მაგრამ ბობის გაცნობის შემდეგ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, გამოდგებოდა თუ არა აქ მომხდარი ეს თუ ის შემთხვევა კინოსთვის. ბობი აბეზარი აჩრდილივით ყველგან თან მდევდა. მისი რბილძირიანი ფლოსტების ფრატუნი ისეთსავე დამაყრუებელ ხმაურად მეჩვენებოდა, როგორც ჭიანჭველას - მტვრის ნაწილაკების მოძრაობა.

ერთ დილას, როდესაც ჯერ კიდევ ვიწექი და ქალთა ჟურნალებს ვფურცლავდი, ბობმა ფეხისფხანა დაიწყო. წამოვხტი და საპირფარეშოში შევვარდი. თვითრეფლექსიით გატაცებულს მეჩვენებოდა, რომ შარდის ხმა ყველა დანარჩენ ბგერას ახშობდა და ისეთი ხმამაღალი იყო, თითქოს ჭავლი ჩემსავე ყურში ილვრებოდა. შემდეგ ტელევიზორს მივუჯექი. დიდხანს აჩვენებდნენ, როგორ ადიოდა მწვერვალზე უფეხო ინვალიდი-ალპინისტი; თოკებისა და ბლოკების დახმარებით მსუბუქად აჰქონდა საკუთარი სხეული მწვერვალისკენ, სადაც ამერიკის დროშა ჩაარჭო. ამ ხეიბრის თავგანწირულმა ჟახირმა და, ბოლოს, ტრიუმფმა გული ამიჩუყა; ცრემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც კი წამომცვივდა. ნერვების დასამშვიდებლად მივაყურადე თანაზომიერ ხმაურს, რომელიც სპორტული დარბაზიდან გაისმოდა - იქ ანტიდეპრესანტებით გაჭყეპილი ორი პაციენტი პინგ-პონგს თამაშობდა. მალე, საბოლოო ტკაცის შემდეგ, კვლავ სიჩუმე გამეფდა. ამ სიჩუმისგან გაღიზიანებული, საავადმყოფოს შიდა ეზოში გავედი. დავჯექი თუ არა, ბობიც მომიჯდა. ეზოში აღარ დამედგომებოდა. ჯდომა - უბრალოდ, ჯდომა! - ცხენით ჯირითზე უფრო რთული მეჩვენა. როგორც კი ავდექი და ეზოში ბოლთის ცემა დავიწყე, ბობიც წამოდგა და უკან ამედევნა.

მაღალი მესრით შემოღობილი ეზო ფრანკლინ დელანო რუზველტის სახელობის გზატკეცილსა და ისტ-რივერს გადაჰყურებდა. მესრის გასწვრივ ჩარიგებული ბეტონის სკამები მელანთევზებს წააგავდა. ეზოს კუთხეებში დადგმულ კასრებში ბუჩქები ჩაერგოთ. ჩვენ ზემოთ თეთრი მტრედები და თოლიები ჰაერში ლივლივებდნენ. მარილიანი კრეკერები ცელოფანის პაკეტში მოვსრისე და ნამცეცები ფრინველებს დავუყარე.

- როგორ ფიქრობ, გამოჯანმრთელდები? - მკითხა ბობმა.

- მოგწყინდა?

- ეს არ მითქვამს.

- შენ ხომ სცენარის დაწერა გინდა და მასალას აგროვებ. მაგრამ აქ ისეთ მასალას ვერ შეაგროვებ, რომ ტრილერისთვის გამოგადგეს.

- ვერც დეტექტივს დავწერ - ამაში ხელს არ მიწყობ.

ეზოს მოპირდაპირე კუთხეში ცეკვავდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მთელი საავადმყოფო „ბალერინას" ეძახდა. მისი მაღლა ავარცხნილი თმა და სხეული (რომელიც თითქოს ქალის ნებისგან დამოუკიდებლად მოძრაობდა) მოწმობდა, რომ ის პროფესიონალი მოცეკვავე იყო. ქალის ცეკვას თვალს ადევნებდა ფართო პალტოებსა და პაწაწინა შავ ფეხსაცმელებში გამოწყობილი მოხუცი ცოლ-ქმარი. ალბათ, იმიგრანტები ან ლტოლვილები იყვნენ, რადგან ძველმოდური (იფიქრებდი, მეცხრამეტე საუკუნის დროინდელიაო) ტანსაცმელი ეცვათ და აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდნენ, თითქოს ტყვიებს უფრთხოდნენ. ეს მოხუცი ცოლ-ქმარი შვილიშვილის სანახავად ყოველ საღამოს მოდიოდა. ახლა, სკამზე მსხდომნი, უცქერდნენ, როგორ დაგოგმანებდა ის - ლამაზი ჩიტივით - გრძელ ჩრდილებს შორის. ბერიკაცი უფილტრო სიგარეტს ეწეოდა და ენას ხვლიკივით ამოძრავებდა, როდესაც პირიდან თამბაქოს ნამცეცებს ისროდა. დედაბერს გამხდარ სახეზე აღტაცება ეტყობოდა. დამჭკნარ ხელში ცხვირსახოცი ჩაებღუჯა. ცრემლებს ვერ იკავებდა შვილიშვილის მოხდენილი მოძრაობების შემხედვარე. ცეკვა გოგონას უჩვეულო ხიბლს ანიჭებდა და ექსტაზს განაცდევინებდა. ბალერინას ჩემსავით ფარფარა ხალათი ეცვა. ხელებს ისე ნარნარად შლიდა, თითქოს თითის წვერებზე ბუმბულები ადევს და მათი ჩამოვარდნისა ეშინიაო. შემდეგ ისე მაღლა ხტებოდა, გეგონებოდა, კანიდან ამოხტომას ლამობსო. ეზოს მთელ სიგრძეზე დარბოდა, დაფრინავდა, ტრიალებდა და ირაოს კრავდა, თითებით მესერს ებღაუჭებოდა და ანჯღრევდა. მაგრამ როგორც კი მოხუცები წავიდნენ, შეჩერდა. ერთ ადგილას გაშეშდა.

ტაში შემოვკარი და შევყვირე:

- შესანიშნავია. Brava, brava. Bravissima!

- სიგარეტი არა გაქვს? - მკითხა ქალმა.

ავდექი, სიგარეტი და სანთებელა მივაწოდე და ცისფერ თვალებში ჩავხედე. უცნაური გამომეტყველებით მიყურებდა.

- მართლაც კარგად ცეკვავ. - ვუთხარი მე.

- არც ისე კარგად, - მომიგო ქალმა.

აგდებულად მიპასუხა. ამიტომ გაჩუმება ვამჯობინე და სკამზე ჩამოვჯექი. ქალი მიბრუნდა, სანთებელა დაატკაცუნა და სიგარეტს ხელი მიაფარა, რომ ქარისგან დაეცვა. მუყაოს თეფში ეზოში ისე დაბზრიალდა, როგორც სათამაშო ჯოხიდან წამძვრალი ბორბალი, ოღონდ მოთამაშე ბავშვი არსად ჩანდა. პეპელა, თევზის ქერცლს რომ წააგავდა, ზემოდან ყვავილის ფურცელივით ჩამოფარფატდა, მესრის ღრიჭოში გამოძვრა და ხელზე დამაჯდა. საღამოს გრილმა ნიავმა დაბერა და სიგარეტის ბოლი ჰაერში გაფანტა. ქალის ხალათს ცეცხლი წაეკიდა. კალთაზე ალი არშიასავით შემოეხვია. სკამიდან წამოვხტი. მინდოდა, ბალერინასთვის მეთქვა, ცეცხლი გეკიდება-მეთქი. ჩემს ხელზე გარინდული პეპელა აფრინდა. მონაბერმა ქარმა ცეცხლი გააძლიერა. ალი ავარდა. ქალი სანთელივით იწვოდა. ცეცხლი ერთიანად მოედო სხეულზე. ცხელი ჰაერის ტალღა სახეზე მომელამუნა. ცეცხლი ისე გიზგიზებდა, რომ თვალები მოვჭუტე. ბალერინამ ხელები გაშალა და ეზოს თავზე აფრინდა sur les pointes. ფენიქსი გეგონებოდათ. ფეხები და ზურგი მთლიანად გაიშიშვლა და მხოლოდ მაშინ დაეშვა ძირს, როდესაც კაბის ნარჩენები ქარმა დაფლეთილი შავი აჩრდილივით აიტაცა და წაიღო. მან წარბშეუხრელად მიიღო ძველი პოზა.

უკვე ერთი თვე იყო, რაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვიწექი. აღარავინ მიგზავნიდა მოკითხვის ბარათებს და რბილ სათამაშო დათუნიებს. ლარნაკიდან გამხმარი ყვავილების ფურცლები ცვიოდა, ღეროები კი ლპებოდა. ეს ამაზრზენი დრო ისე უძრავად იდგა, როგორც სარგასოს ზღვა: წარსული ცხოვრების ქარი ზურგში აღარ მიბერავდა. წარსულ ცხოვრებაში დე-იურე დაქორწინებული ვიყავი ქალზე, რომელიც ჩემი ფილმების პროდიუსერი იყო. მაგრამ ცოლმა დე-ფაქტო გამცვალა უფრო გლამურულ კაცზე - ჩვენი უკანასკნელი ფილმის მთავარი როლის შემსრულებელზე. სცენარში ჩემი ოჯახის რეალური ამბავი იყო ასახული, ხოლო მისი გმირის პროტოტიპი გარდაცვლილი მამაჩემი გახლდათ. როდესაც ცოლი მამაჩემის ორეულთან ჩახვეული ვიხილე, მასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე. ამის შემდეგ ან ფსიქოთერაპიის სეანსებზე დავდიოდი და ფსიქიატრიულ ტესტებს (თემატური აპერცეფცია, რორშახის ტესტები, M.M.P.I) ვხსნიდი ან დასასვენებელ ოთახში დივანზე ვიჯექი ხოლმე და ვიმედოვნებდი, რომ ძაძენის მეშვეობით (ძენ-ბუდიზმში „ძაძენი" „მჯდომარე პოზაში მედიტაციას" ნიშნავს) ნეტარი და ჩლუნგი ძანსინის მდგომარეობას მივაღწევდი, მაგრამ მხოლოდ სიგარეტის

მოწევის სურვილი მიჩნდებოდა.

ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ, დივანზე ვიჯექი და ყურს, ნარბს, სასას ვიზელდი - ვფიქრობდი, სად მივიჭირო ლულა-მეთქი. შემდეგ ახალგაზრდობის დროინდელი გატაცება გამახსენდა და ვცადე ლექსი შემეთხზა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სცენარების წერას ჩემში პოეტური ნიჭი ჩაეკლა. იამბები მეურჩებოდნენ და სიტყვები მხოლოდ უმწეოდ დაბარბაცებდნენ ფურცელზე. ბოლოს ნიკოტინის ნდომამ მაიძულა, ეზოში გავსულიყავი და ნამწვები ამომეკრიფა ყავა „ფოლჯერსის" ქილებიდან, რომლებსაც სამედიცინო პერსონალი საფერფლეებად იყენებდა. ბევრი ვერ შევაგროვე: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხარბად ეწევიან, სიგარეტებს ბოლომდე წვავენ. აქ ყველას ყვითელი, დაფუფხული თითები აქვს, ისე, როგორც - ეშმაკს.

ბოლოს გადავწყვიტე, სიგარეტები კარმენისთვის მეთხოვა. ეს იტალიელი ქალი მეზობელ პალატაში ინვა და ოპერის მომღერალს წააგავდა. კარმენმა ახალი კოლოფი გახსნა და ამოიღო, რომელიც ისეთივე სტერილური და თეთრი სიგარეტი იყო, როგორც ყველაფერი ამ საავადმყოფოში. ვერასოდეს იფიქრებდი, რომ ის, შეიძლებოდა, კიბოთი დაავადების მიზეზი გამხდარიყო. სიგარეტი დავყნოსე, ისე, როგორც საუკეთესო სიგარებს ყნოსავენ ხოლმე.

- სიკვდილს გადამარჩინეთ, - ვუთხარი კარმენს. - ასანთიც ხომ არ გექნებათ?

- იცით რა, - დაიწყო ქალმა. - და-ძმები არ მყოლია და სკოლაში ვერავინ დამიცავდა, იქ კი მასხრად მიგდებდნენ. განუწყვეტლივ დამცინოდნენ, თანაც დედაჩემი ისეთ ულამაზო კაბებს მაცმევდა! სკოლაში ყველა კლოუნად მთვლიდა. ერთი ბედნიერი დღე არ მქონია. თერთმეტი წლიდან თოთხმეტამდე ჩემზე ბიჭები ძალადობდნენ, თექვსმეტი წლისა შინიდან გავიქეცი. რამდენჯერმე გამაუპატიურეს. ათასჯერ ვცადე თავის მოკვლა... შემდეგ ერთ ოცდათხუთმეტი წლის კაცს შევხვდი, დავორსულდი, გავთხოვდი. შვიდი წლის განმავლობაში ვიტანდი ცემა-ტყეპას. ბოლოს ველარ გავუძელი და წავედი. არც ვიცოდი, სად მივდიოდი. ჩემი სამი შვილიც თან წავიყვანე. ქუჩაში გული წამივიდა, საავადმყოფოში მეექვსედ მოვხვდი... იქიდან რომ გამოვედი, წასასვლელი არსად მქონდა. ერთმა კეთილმა კაცმა შემიფარა, მიხმარა და მეოთხე შვილი გამიჩნდა. ახლა, როდესაც წარსულს ვიხსენებ, ვხვდები: ჩემმა ახალგაზრდობამ ისე ჩაიარა, რომ სიყვარული არ განმიცდია. როგორ მძულს საკუთარი თავი! ჯობდა, ამქვეყნად არ გავჩენილიყავი! ახლა უკვე ისე გამოვსულელდი, რომ ზოგჯერ ორი საათის განმავლობაში აბაზანაში ვწევარ და ვერ ვხვდები, რატომ!

ბიჭოს! სიგარეტს ითხოვ და აღსარებით გიმასპინძლდებიან. ერთი კვირის შემდეგ ყველას თავგადასავალი იცი. ავადმყოფობა გვაახლოებს. პაციენტები ჰყვებიან თავიანთი დაავადებების შესახებ, ნორმალურ ცხოვრებას კი არც ახსენებენ. ეს სამარცხვინო, აკრძალული თემაა.

კარმენს ძლივს დავუძვერი. სპორტულ დარბაზში, პინგ-პონგის მაგიდაზე, ასანთის კოლოფი დავლანდე და მოვიპარე. შემდეგ ეზოში გავედი. ბალერინა უკვე ცეკვავდა.

- სიგარეტი არ გაქვს? - მკითხა მან.

- წინა შეხვედრისას ხომ მოგაწევინე, - ვუთხარი მე. - ერთადერთი სიგარეტი მაქვს. თუ გინდა, ნახევარ-ნახევარი მოვწიოთ.

ქალი მომიჯდა. კანზე მალამოებისა და სტეროიდული წამლების სუნი უდიოდა.

- პროფესიონალი ხარ? - ვკითხე მე.

- პროფესიონალი გიჟი გახლავარ. - მიპასუხა მან.

- არა, მართლა!

- ნახევარი სიცოცხლე საავადმყოფოებში მაქვს გატარებული.

- პროფესიონალი მოცეკვავე ხომ არ ხარ-მეთქი, ეს ვიგულისხმე.

- ასეთი სხეულით?

- ამას რატომ ამბობ?

- დანა გაქვს?

- ხუთი კვირაა, შარვალი არ ჩამიცვამს.

- მერე - რა?

- არაფერი. ჯიბეები არ მაქვს. არც ქისა, არც გასაღები, არც ხურდა ფული, არც ცხვირსახოცი, არც თილისმა, არც დანა. დამასაჭურისეს. დანა რად გინდა?

- ეს ჩემი საქმეა.

ფართო ცხვირი მსხალს მიუგავდა. პირუეტები, ჟეტე და პლიე ასეთ ცხვირს არ უხდება. თუმცა, ლამაზი ტუჩები ჰქონდა, ცივი ბიფშტექსის ფერისა, და - ღრმად ჩამჯდარი მოციმციმე ცისფერი თვალები. როდესაც ამ თვალებს ვუყურებდი, მეგონა, მათ სიღრმეში მფრთხალი თევზები დაცურავდნენ.

- ბავშვობიდან მხოლოდ ცეკვაზე ვოცნებობდი. გავიზარდე და ახლა მოჭიდავის ფეხები მაქვს. როგორ უნდა ვიცეკვო?

- მე კი სცენარისტობა მინდოდა და იცი რა მოხდა? სცენარისტი გავხდი. ეს ჩემი ტრაგედიაა. - ზურგით მესერს მივაწექი. - ლამაზი ფეხები გაქვს. არ მესმის, რატომ არ მოგწონს.

- ბარძაყები არ მომწონს, სულელო.

ისტ-რივერის თავზე საბაგირო გზის წითელი კაბინები ქანაობდნენ და ნელ-ნელა მიიწევდნენ რუზველტ-აილენდისკენ. მზე ჩადიოდა. ვიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ახლა ერთ-ერთ მოქანავე კაბინაში ვიჯდე, ვუყურებდე, როგორ ებრძვიან ჰორიზონტთან გაშეშებული მზის სხივები ბინდბუნდს, და შუბლით ცხელ მინას ვეკვროდე-მეთქი.

- დამშვიდდი, - სიგარეტს მოვუკიდე და მივაწოდე. - მშვენიერი ფეხები გაქვს.

- დიდი მადლობა, - გაეცინა მას. შემდეგ ტუჩები მოამრგვალა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და სიგარეტის ანთებული ბოლო ბარძაყზე მიიდო. ატრიალა. სანამ სიგარეტი ჩაქრებოდა, თვალი არ მოუცილებია ვარდისფერი, ფერფლდაყრილი ლაქი-თეის.

- ჯობს აღარ მოსწიო, - ვუთხარი მე.

ბობი გამოგვყვა ბალერინას პალატამდე, სადაც ქალმა ჭრილობაზე ტკივილგამაყუჩებელი მალამო

ეროვნული ბიბლიოთეკა



წაისვა. ისე ისვამდა, თითქოს საკუთარ სხეულს ეფერებოდა. შემდეგ წამოწვა.

- ასე რატომ მოიქეცი?

- ეს რომ ვიცოდე, აქ ვიქნებოდი?

- ზოგჯერ ზუსტად იცი საკუთარი ქცევის მიზეზი, მაგრამ მაინც ვერ უმკლავდები ცდუნებას.

დავიხარე. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ ტუჩებზე ხელი ამაფარა.

ამის შემდეგ ბალერინასთან ყოველ საღამოს მივდიოდი. მისი განუხორციელებელი სწრაფვა ბოჰემისადმი სრულიად განსხვავდებოდა ჩემი ცხოვრებისგან, ჩემი სულელური წარმატებისგან. გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩემი შემოსავალი წელიწადში მილიონ დოლარს შეადგენდა, მაგრამ ძალზე უბედურად ვგრძნობდი თავს. არ ვწუწუნებ. წუწუნი, საერთოდ, არ მჩვევია. იმ მდიდარ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, თავიანთი ბედის უკმაყოფილონი რომ არიან. უბრალოდ, თავგზა ამერია და მეშინოდა, რომ წარმატება და სიმდიდრე გამანადგურებდა როგორც პიროვნებას. ჩემგან განსხვავებით, ბალერინა, რომელიც თავის დაწვაზე ოცნებობდა, პირიქით, არსებობდა; ექიმის ბრძანებით, ზუსტად ცხრა საათზე მას მთელი ღამით საწოლზე აბამდნენ. თავდაპირველად მიძნელდებოდა საუბარი ქალთან, რომელიც ცდილობდა გათავისუფლებულიყო ტყავის ღვედებისა და ფოლადის ბალთებისგან. ამიტომ შორს ვჯდებოდი და ვაცქერდებოდი მის მუხლებს, რომლებიც საავადმყოფოს ნათურების მოცისფრო შუქზე ლაპლაპებდნენ.

- როგორ ხარ? - ვკითხე მე.

ბალერინამ უხეში ტყავის ღვედის ქვეშ მაჯა დაატრიალა. *Comme ci, comme ça.* თასმა უამრავ სხვა ოფლიან მაჯას გაეპრიალებინა ათასობით ღამის განმავლობაში.

- ფორთოხალს არ გამიფცქვნი?

კალათიდან ფორთოხალი ამოვიღე და გავფცქვენი; ბინდბუნდში ფორთოხლის სურნელი განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა. ბობი დერეფანში იჯდა და ბლოკნოტში რაღაცას წერდა, მაგრამ ეს ფეხზე მეკიდა. პალატის ფანჯარა ღია იყო. მძიმე ფარდებს ქარი აფრიალებდა. მომეჩვენა, რომ საავადმყოფოს ეზო, სველი შიშველი ხეებითა და თებერვლისეული სიცარიელით, ერთგვარად, მეცნობოდა - მაგონებდა სცენას ემიგრანტთა ცხოვრებიდან პარიზში, რომელსაც არასოდეს შევსწრებივარ, ან - ახალგაზრდულ სასიყვარულო თავგადასავალს, რომელიც არასოდეს განმიცდია.

- ის თეთრი სისაძაგლეც მოაცილე, - მითხრა მან, - მეზიზღება.

- მეც ვერ ვიტან. - ვუთხარი, და ძვირფასი ქვასავით მობრჭყვიალე ფორთოხლის ნაჭერი მივაწოდე. პირი გააღო. ტუჩებს შორის შორის ენა გამოსხლტა. კარგა ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც სხვა ადამიანს საჭმელი შევთავაზე. ფორთოხლის კიდევ ერთი ნილაკი მივუტანე გაღებულ პირთან, რომელიც პატარა დაქანცული ჩიტის ნისკარტს წააგავდა.

- ასანთი არა გაქვს, ხომ? - ვკითხე და სიგარეტი პირში ჩავიდე. - შენნაირ პირომანს საიდან ექნება!

- მეც მინდა მოწევა.

- ალბათ, გინდა. რატომ წაიკიდე ცეცხლი?

- ჩემი ექიმი ამბობს, რომ ამ ხერხით მტანჯველ ფიქრებს ვიშორებ.

- კარგად მესმის, რასაც გულისხმობს. მეგონა, რომ ამაში კინო დამეხმარებოდა. ახლა კი ვფიქრობ, რომ ჯობდა, ნაწილ-ნაწილ ავეკუწეთ.

- ჭკუის კოლოფი ხარ.

- აბა, რა გეგონა, აქ ფეხებს კი არ მკურნალობენ.

- ლვედები მომაცილე, - ნაიჩურჩულა მან.

- არ შემიძლია.

- გეხვეწები,

- ვერ ვიზამ.

- მოვწიოთ და მერე ისევ დამაბი.

- ასანთი არ მაქვს.

- მე მაქვს.

ბალერინამ მითხრა, მაგიდის ნათურა აწიეო. ნათურის ქვეშ უამრავი ასანთი ვიპოვე. როგორც ჩანს, ისინი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა აქ, რადგან ნათურის ძირზე მიკრული მწვანე ქეჩა ჩაზნექილი იყო.

- ძალიან კარგი! მაგრამ სიგარეტს მე მოგაწევინებ, ისე, რომ ლვედებს არ აგხსნი.

სიგარეტი ბოლომდე მოვწიეთ. შემდეგ ბალერინა შეეცადა ხალათის კალთები აეწია. ბამბის ქსოვილი ისე შრიალებდა, თითქოს ბიბლიას ფურცლავდნენ.

- აქ ფეხი მაშინ დავიწვი, როდესაც ოლბანის საბალეტო დასში არ მიმიღეს, - თქვა მან და ოდნავ შესამჩნევ პატარა ნაიარევს ხელი გადაუსვა. - მინდოდა ბასრი სამართებლით გამეჭრა, მაგრამ სამართებელი ვერ ვიპოვე. ფეხების საპარსი ვიპოვე და სამართებლის ამოღება ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. გული დამწყდა. ავტირდი. დასანყნარებლად სიგარეტს მოვუკიდე, შემდეგ კი ხელმა თავისით ქნა საქნელი - თითქოს ვილაც მართავდა. ზოგჯერ ახლაც ვიწვავ სხეულს - დაძაბულობის მოსახსნელად.

და ბალერინამ მიჩვენა მთელ მუცელზე დაჩნეული ყავისფერი წერტილები, რომელთაც ელიფსის ფორმა ჰქონდათ. ხალისოდენა წერტილები - ასანთის ცეცხლით დაჩნეული ნაკვ[illegible] ული პალიმფსესტს მიუგავდა: ახალი ნაიარევებიდან უკვე შეხორცებული ნაიარევები მოჩანდა. მკლავები დასერილი ჰქონდა რკინის კაუჭით, რომელიც, თურმე, წინასწარ გაევარვარებინა ანთებულ ქურაზე.

- შეიძლება ხელი მოვკიდო? - ვკითხე.

თითით შევეხე მუქ გამაგრებულ ამონაბურცს მის წაბლივით გლუვსა და მუქ ბარძაყზე. შემდეგ ხელი ქვემოთ ჩავასრიალე. ყოველ ნაიარევს თავისი ისტორია ჰქონდა და ბალერინა მიამბობდა კონკურსების, საბალეტო კლასების, სალამოს წვეულებების, სატელეფონო ზარების, ნიშნობების შესახებ. მის მიმართ ლტოლვას ახლა უკვე აღარ ვგრძნობდი. ბალერინას სხეულის ღირსშესანიშნაობები მიმზიდველი აღარ იყო, ისევე, როგორც ისტორიული ბრძოლის ველი აღარაა სისხლიანი.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტებს აკრძალული აქვთ ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობების დამყარება. გარდა ამისა, ბობის მუდმივ დევნაც არ გვაძლევდა განმარტოების საშუალებას. ზოგჯერ, როდესაც სასადილო ოთახში რიგში ვიდექი კერძის ასალებად, ცალი ხელით სინი მეჭირა, მეორეთი კი ბალერინას მკვრივ გავას ველაციცებოდი. პარასკეობით, როდესაც მთელი საგიჟეთი ბინგოს თამაშობდა, ტერფით მის წვივს ვეფერებოდი. ზოგჯერ თითქოს შემთხვევით ვეკვროდი პან-წინა სპორტულ მოედანზე, სადაც ფრენბურთის ძალზე ულიმლამო თამაშები ტარდებოდა. სკოლაში ყოველთვის ალლოთი ხვდები, ვინაა კარგი სპორტსმენი და ვინ - ქალაჩუნა, ვისთან უნდა დაჯდე, რომ ისტორიის გამოცდაზე არ ჩაიჭრა და ვინ დაგამარცხებს სპორტული შეჯიბრების დროს, მაგრამ გიჟებთან ალლო არ ჭრის - აქ გადამწყვეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ფარმაკოლოგიას აქვს. ამიტომ, სანამ სექსუალურ პარტნიორს აირჩევ, „ფსიქიკური გადახრების დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის ცნობარში" უნდა ჩაიხედო და ანამნეზი შეამოწმო!

თავისი დაავადების გამო ბალერინა გულგრილი იყო სექსის მიმართ, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ მანერიქსის სამკურნალო კურსი არა მარტო შეასუსტებდა მის მიდრეკილებას თვითგვემისადმი, არამედ დაპირებულ თანმხლებ ეფექტსაც გამოიწვევდა და მკვეთრად გაამძაფრებდა მის ლიბიდოს. მაგრამ ამაოდ გავიდა ერთი კვირა, შემდეგ - მეორე. უკვე მოთმინება მეწურებოდა. ჩვენი ყოველი ფიზიკური კონტაქტი შემთხვევითი და წამიერი იყო. შემეძლო მარტოც მივცემოდი სექსუალურ ფანტაზიებს, მაგრამ მალე აღმოვაჩინე, რომ ამის უნარი აღარ მქონდა. მკურნალობის შედეგად ერექციის უნარი დავკარგე და, გარდა ამისა, ბობი გაუწყვეტლივ შემოდიოდა პალატაში ყველაზე უხერხულ მომენტებში. მოკლედ, სამომავლოდ, იმ დროისთვის, როდესაც მანერიქსი ბალერინაზე თავის ეფექტს მოახდენდა, თავი რომ არ შემერცხვინა, ახლა ფანჯრიდან ვყრიდი ბუპროპიონს, ლითიუმის კარბონატსა და კლონაზეპამს.

ახალმა პრეპარატმა ბალერინაზე იმდენად კეთილისმყოფელი ზეგავლენა იქონია, რომ თებერვლის ბოლო რიცხვებიდან ღამღამობით საწოლზე აღარ აბამდნენ. სადილის შემდეგ ეზოში გავდიოდით და ჩამავალი მზის სხივებით ვტკბებოდით. ვხვდებოდით, რომ მას მალე გაწერდნენ. მართლაც, ერთ დილას დავინახე, როგორ მიათრევდა ექთნის კაბინეტისკენ დაწნულ კალათას და თავისი ნივთებით გატენილ ბალიშისპირს. საგიჟეთიდან გაწერა - მნიშვნელოვანი მოვლენაა. გაწერის წინ ყველანი იფიცებოდნენ, რომ წერილებს მომწერდნენ და მინახულებდნენ, მაგრამ დანაპირები არც ერთს არ შეუსრულებია. როდესაც ვეტერანი პაციენტი ხარ, სკეპტიკოსი ხდები. ვიმედოვნებდი, რომ ამ ქალს აღარასოდეს ვნახავდი. ის გამოჯანმრთელდა, ესე იგი, ჩემთვის აღარ არსებობდა და სადღაც, უცნობ სივრცეებში აპირებდა დაბინავებას. ბებია და ბაბუა ბალერინას სასტუმრო ოთახში დახვდნენ. კვლავ ძველმოდური, სასოწარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდათ და გრძელი, გაცრეცილი ტანსაცმელი ეცვათ. მათ გვერდით მდგარი, სიფრიფანა საგაზაფხულო კაბაში გამოწყობილი ბალერინა ნისლის გროვას ან მოხუცების სევდას განსახიერებდა. შემომთავაზა, როგორც კი ქალაქში გასვლის ნებას დამრთავდნენ, მასთან სტუმრად მივსულიყავი. ჩემი ხალათის სახელოზე წითელი ფლომასტერით წააწერა თავისი სახელი და ტელეფონის ნომერი. შემდეგ ხელი ჩამომართვა და წავიდა, მე კი, ჩვეულებისამებრ, დივანზე მოვკალათდი. ვიცოდი, რომ აქედან მანამ არ ავდგებოდი, სანამ ციდან რომელიმე ანგელოზი არ ჩამოფრინდებოდა და სულს არ ჩამბერავდა.

ბალერინას გაწერიდან, მგონი, ორი კვირა იყო გასული, რომ ჩვეულებრივ პალატაში გადმომიყვანეს. ბობი გაუჩინარდა და მარტო დავრჩი. ფანჯარა ყოველთვის ღია მქონდა. ისევე, როგორც ბავშვობისას, მეჩვენებოდა, რომ საგნები მოძრაობდნენ, ხოლო იატაკზე ტანსაცმელი კი არ ეყარა, არამედ გვამები. სიყმაწვილე ილავკოში (ვაშინგტონის შტატი) გავატარე. მამაჩემი და მისი ექვსი ძმა ოკეანეში ორაგულზე თევზაობდნენ ხოლმე. როგორც წესი, ორ წელიწადში ერთხელ ჩემი რომელიმე ბიძა იხრჩობოდა და მის გვამს ოკეანე მდინარე ჩეპალისის ქაობიან ნაპირებზე გამორიყავდა ხოლმე. გლოვა გრძელდებოდა რამდენიმე დღეს, ზოგჯერ - მთელ კვირას ან თვეს, სანამ გადარჩენილ ძმებს არ მობეზრდებოდათ ყოველ საღამოს ბარში ლოთობა. იქ ისინი მთვლემარე გომბეშოებივით მდუმარედ ისხდნენ ხოლმე ძალიან, ძალიან დიდ ხანს. შინ მარტო დარჩენილი (დედაჩემი ახლაც ცოცხალია და სადღაც ცხოვრობს, თუმცა, წარმოდგენა არა მაქვს - სად), იატაკზე დაგდებული პერანგის ნაცვლად მკვდარ ბიძას ვხედავდი. საწოლიდან გადმოსვლისა მეშინოდა და უსასრულოდ გაჭიანურებულ ღამეებს ლოდინში ვატარებდი. ოკეანის გრილი ნისლი წინათგრძნობებით იყო გაჟღენთილი, ხოლო შუქურის მოციმციმე სხივები ჩემი ოთახის კედლებზე მწვანე ჩრდილებს ათრთოლებდა. აი, ახლაც თავზე საბანი გადავიფარე. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..." და ა.შ. „ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!". ჩემი წარმოსახული დაკრძალვის შემდეგაც კი ვერ დავიძინე. საბნიდან თავი გამოვყავი და ჭერს მივაჩერდი, თან ყურს ვუგდებდი იმ პაციენტთა მონოტონურ ხმებს, რომლებიც დერეფანში ფასიანი ტელეფონით საუბრობდნენ (20:02)... „ჩემი მშობლები ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ, მაგრამ შემდეგ განქორწინდნენ და კიდევ უფრო გაუბედურდნენ"... (20:07)... „ახლავე დანას გავირჭობ. შემდეგ სასამართლოში მივალ და ყველას ჩემი სისხლით მოვთხვრი „... (20:47)... „ტაილენოლით ვერ მოიწამლები. მხოლოდ ღვიძლს დაიზიანებ. აგონია ხანგრძლივი და მტანჯველი იქნება".

ამგვარი - ხან ფიცხი, ხან კი სევდიანი - საუბრები დერეფნიდან ყოველ ღამე მესმოდა. ადამიანები საავადმყოფოში იმის გამო ხვდებიან, რომ არ ძალუძთ საკუთარი ემოციების მოთოკვა, მაგრამ თუკი მოუსმენთ მათ ბურტყუნს, მათ ხანგრძლივ ღამეულ საუბრებს, ტანჯვისა და შეშლილობის მთელი ისტორია იქცევა ერთ მოსაწყენ ამბად, რომელშიც არავითარი დრამატიზმი არ იგრძნობა. აღქმის სიმძაფრე იკლებს. და რადგან ამგვარი დაწესებულებების მუდმივი სტუმარი ვიყავი, მარტოობას მივეჩვიე. ტელეფონ-ავტომატთან შეგროვილ გიჟებს ზიზღითა და სიამაყით ვუცქერდი, ისე, როგორც ვეტერანს შეეფერებოდა. მაგრამ ახლა საწოლიდან ავდექი და რიგში ჩავდექი.

- მისმინე, - ვკითხე ბალერინას, - შეიძლება გინახულო?

- მერე, გამოგიშვებენ?

- რას გულისხმობ?

- თავს უკეთ გრძნობ?

- არა, - ვუთხარი მე, - მაგრამ აღარ მდარაჯობენ.

არაფერი უთქვამს. საავადმყოფოში ხშირად მინახავს, როგორ ქანაობდა ცარიელ ჯიხურში მავთულზე დაკიდული ტელეფონის ყურმილი. წამლებისგან დასუსტებულ ან გაბრუებულ ადამიანებს

ეროვნული

დიდხანს საუბრის ილაჯი, უბრალოდ, ალარ აქვთ. როდესაც ბალერინამ პასუხი არ გამცა, სწორედ დაკიდული ყურმილი წარმომიდგა თვალწინ.

- მოვიდე? - ვკითხე ბოლოს.

- მოდი, - მითხრა მან.

ყურმილი დავკიდე. კვლავ დავწექი, ჭერს მივაჩერდი და მივაყურადე: (9:31)... „მგონი, ცხოვრების სამოცი პროცენტი გულისრევაში გაეატარე"(9:33)... „რატომაა, რომ, როდესაც ავტომანქანაში ვჯდები და რადიოს ვრთავ, ყოველთვის „მისტერ ბოჯანგლსს" გადმოსცემენ?" (21:45)... „დღიურის წერა თითქმის ორი წლის წინ დავიწყე. თავდაპირველად მხოლოდ მაშინ ვწერდი, როდესაც ბედნიერი ვიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ ნახევარ დროს კარგად ვგრძნობ თავს, მეორე ნახევრის განმავლობაში კი დეპრესია მეუფლება. დღიური გადავაგდე". (22:07)..

პირველსავე დღეს, როდესაც ქალაქში გამიშვეს, ბალერინას ვესტუმრე. მხოლოდ სამი საათით გასეირნების ნება დამრთეს, ამიტომ მაშინვე გავაჩერე ტაქსი, ღვინო ვიყიდე და ბალერინას მომცრო ბინაში მივედი. ოთახში შემიყვანა და ხელის სამი მოძრაობით მიჩვენა სამზარეულო, საწოლი ოთახი და სააბაზანო. ღვინის ბოთლი გავხსენით და ჩემი დროებითი თავისუფლების სადღეგრძელო დავლიეთ.

დიდი ხანი იყო, ღვინო არ დამელია, ამიტომ მაშინვე მომეკიდა. გადავიხარე, ბალერინას ფართო ცხვირის წვერზე ვაკოცე და სააბაზანოსკენ გავწიე, თან ვცდილობდი, ავეჯს არ დავჯახებოდი. მართლაც რომ ქალის სააბაზანო იყო, სადაც ეწყო უამრავი პუდრი, საპონი, ზეთი, ლოსიონი, სუნამო, ღრუბელი, პემზა და ა.შ. აბაზანის კუთხეებში ყვითელი სანთლები ენთო. გამჭვირვალე ფლაკონებში საფირონებივით ციმციმებდნენ არომატული ბურთულები. ლურჯი მინის ბოთლში არომატული სითხე ესხა, ხოლო ყავისფერ საპონს გლუვი ზედაპირი კი არ ჰქონდა, არამედ - ხორკლიანი. ყოველივე ეს ძალზე ძვირადღირებული სიამოვნება იყო. ნიჟარის თავზე დაკიდული კარადის კარი გამოვაღე და შიგთავსი დავათვალიერე. ლოსიონზე ეწერა, რომ ის წმენდდა სახის კანს ტოქსინებისგან , რომლებიც თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. რა თქმა უნდა, ამ სისულელის არ მჯერა, მაგრამ განა ყველას არ სურს კანის „გასუფთავება" და „განახლება"? ვინ გაუძლებს ამ სიტყვებით ცდუნებას? ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებული ორი თვის განმავლობაში ასეთ ლექსიკას გადავეჩვიე და პარფიუმერიული ნაწარმის სახელწოდებებმა (ზეთისხილი, ლუმბანგი, დიოსკორეა) მომნუსხა. მომეჩვენა, რომ ეს იყო სამოთხის ხილის სახელწოდებები, ხილისა, რომელიც მხოლოდ ზღაპრულ კუნძულზე ხარობდა, კუნძული კი სადღაც, ცისფერ მყოფადში ილანდებოდა. მის საძებრად ხომ არ გაემართა ოდესღაც კოლუმბი?

ამ მაცდური ფლაკონების გვერდით ეწყო ყვითელი პლასტმასის ქილები წარწერებით: ეფექსორი, პაქსილი, ველბუტრინი, პროზაკი და ზოლოფტი - ანტიდეპრესანტების კლასიკური ჩამონათვალი. ამ მედიკამენტებით ერთდროულად არ მკურნალობენ ხოლმე, ესე იგი, ბალერინას მკურნალობის კურსი გაუვლია. საინტერესოა, რა [illegible]რობით? ფლაკონები მათი გაყიდვის თარიღების მიხედვით დავალაგე. ქრონოლოგია ბალერინას საავადმყოფოში დაწოლამდე ერთი თვით ადრე წყდებოდა. მანერიქსის ფლაკონი აქ საერთოდ არ იყო. ნეტავ რატომ? სხვა დასახელების მედიკამენტები თაროს კუთხეში სათადარიგო მოთამაშეების მსგავსად ჩამწკრივებულიყვნენ. მათ რიგებში ერთგვარი გამოცოცხლება შევიტანე - გადავყლაპე ტუინალის რამდენიმე კაფსულა და მოვიპარე ორ-ორი აბი ზანაქსი და ვალიუმი. შემდეგ მოვშარდე, წყალი ჩავუშვი და დიდხანს ვუყურებდი საკუთარ სახეს სარკეში. თვალების ნაცვლად - ორი შავი ორმო გამჩენოდა. ღრძილები შემსიებოდა.. სარკიდან მიყურებდა კაცი, რომელსაც თითქოს წლების განმავლობაში არ გაესინჯა ხილის გემო.

როდესაც ოთახში დავბრუნდი, ბალერინამ მითხრა:

- ბევრი წამალი მოვიმარაგე, ხომ?

- კოლექცია გქონია, - ვუთხარი მე.

- კარადა გაქექე? გინდოდა ჩემი საიდუმლო გაგეგო? ყველაფერს მიგიხვდი. კრინტი არ დასძრა!

მხრები ავიჩეჩე

-როცა ვინმესთან სტუმრად ვარ, ყოველთვის ვათვალიერებ წამლებს. დიდი ამბავი! მანერიქსი სადაა?

- ახალი ანტიდეპრესანტი, რომელიც უფრო ეფექტურია, ვიდრე ძველები?

- ჰო, ის.

- გადავაგდე.

- ნაადრევად ხომ არ გადააგდე? როგორ ძლებ წამლების გარეშე?

- აი, ამ წუთას ვგრძნობ, რომ სიამოვნებით დავინვავდი კანს, თუ ამას გულისხმობ.

ათი წლის განმავლობაში ვწერდი სცენარებს ჰოლივუდისთვის, რათა ისეთი ცხოვრებით მეცხოვრა, რომლისგანაც, საბოლოოდ, შევიშალე, ახლა კი ყველაფერი სულ ერთი იყო. სისულელეებს თავი დაანებე და ცხოვრებას რეალურად შეხედე!. გული დამწყდა, რომ კიდევ ერთი ბოთლი ღვინო არ მოვიტანე. ის მაშინვე გააცოცხლებდა სიყმაწვილისდროინდელ ბოჰემურ სურვილებს. ლიტერატურა და სექსი. ბოდლერი და მყრალი ყველივით აქოთებული ქალები! სცენარისტობა არასოდეს მინდოდა, პოეტობა მსურდა. ახლა კი თვით პოეზიის წიაღში აღმოვჩნდი. სანთლები თაროებზე, იატაკზე, წვრილი და მსხვილი, გრძელი და მოკლე, წითელი, მწვანე სანთლები, რომლებიც გუავის, ბრონეულის, მანგოს სურნელს აფრქვევდნენ. ყველაფერი *luxe, calme* და *volupté* იყო. გოგენის დღიურში წერია: „ცხოვრება ისეთი რამაა, რომ ძალაუნებურად ოცნებობ შურისძიების შესახებ". მაგრამ რა შურისძიებაზეა საუბარი, როდესაც შარშან სამი ზაფხული, ორი გაზაფხული და ოთხი შემოდგომა მოვიწყვე (ერთი - მოსკოვში, მეორე - ფლორენციაში და კიდევ ორი - კაიროსა და ბირმაში)? ჩემი ბოლო ფილმის გადასაღები მოედნიდან გავიპარე, ისე სწრაფად, რომ ზამთარი ვერ დამენია. სასიამოვნოა, როდესაც თავს ღვთაებად გრძნობ და ამინდს აბუჩად იგდებ. ვის სჭირდება გოგენი და მის მიერ დაჯილაბნილი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხე? ჩემთვის იმ წუთას ყველაზე შორეული პოლინეზიური კუნძული ბალერინას თავის ქალაში იყო.

ქალი იატაკზე პირქვე დაწვა. მუხლებსა და იდაყვებს ეყრდნობოდა. გულისპირიდან გუავას ნაყოფივით მძიმე და მრგვალი ძუძუები გამოუჩნდა. ხელი გავიწვდინე და ძუძუსთავზე ეუჩქმიტე. ბალერინამ გაიწია და მითხრა, ახლა ამ სისულელეებისთვის არ მცხელაო.

- არ გინდა?

- არა, - მითხრა მან, - რა მოგივიდა? შეგაშინე?

- შემაშინე? - დაენექი და ქვემოდან ავხედე. - არ ვიცი. არაფერი ვიცი. ახლა, მგონი, წყალმცენარე ვარ. ირგვლივ ბაზალური განგლიები და თევზები დაცურავენ.

- ჩემი აბები გადაყლაპე?

-აბა, რას ვიზამდი.

- ნუ მატყუებ! დალიე. ხომ?

- ხომ გითხარი, დავლიე-მეთქი, შე შერეკილო.

ბალერინა ახლა უკვე ოთახში ბოლთას სცემდა: თავაწეული, წელში გამართული, დაძაბული. იატაკს ისე ურტყამდა ქუსლებს, თითქოს ლურსმნებს აჭედებდა. ჭურჭლის კარადასთან მივიდა და რაღაცები გადააადგილა. მომესმა, როგორ დაიწკრიალა ჭიქამ და სურამ. ფანჯარასთან მდგარი სკამი კართან მიიტანა. გადაშლილი წიგნი დაკეცა. მაცივარში თავი შეყო, ჭიქით ყინულის ნატეხები გამოიტანა და პირში ჩაიყარა. ყინულის ნამსხვრევები პირიდან იატაკზე ცვიოდა. შემდეგ სკამს ხელი სტაცა და პირვანდელ ადგილას, ფანჯარასთან დააბრუნა. მეჩვენებოდა, რომ ადამიანი აღარ იყო და ცხოველად იქცა, მაშინ, როდესაც მე (აბების წყალობით) ერთუჯრედიან ორგანიზმად ვიქეცი. ხელ-ფეხი აღარ მქონდა, ხოლო თავს ძლივს ვატრიალებდი, რომ ბალერინასთვის თვალი მედევნებინა. კბილებში რამდენიმე სიტყვა გამოცრა, მაგრამ ისინი უკვალოდ გაქრნენ. არაფერი გამიგონია.

ბალერინამ კაბა გაიხადა და იატაკზე დააგდო, თვითონ კი საწოლზე ჩამოჯდა. ობობას ქსელის მსგავსი შავი საცვალი ეცვა, რომლის ცენტრში ვეება ბანჯგვლიანი ობობა იჯდა. გვერდით დაიდო სიგარეტის კოლოფი, სანთელი და მწვანე საქსოვი ჩხირი (რისთვის სჭირდებოდა, არ ვიცოდი). სანთელი აანთო, სიგარეტი ზედ მოუკიდა და გამდნარი ცვილი კანზე დაიწვეთა. თვალს არ მაცილებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ - მონუსხული და ძლეული - იმ ლურჯი ტბის ფსკერზე ჩავიძირე, სადაც მფრთხალი თევზები დაცურავდნენ. ბალერინამ სიგარეტს მოუკიდა, ანთებული ბოლოთი თავისკენ შემოატრიალა და ძუძუსთავი მოიწვა. შემდეგ ნაფაზი დაარტყა და მეორე ძუძუსთავი მოიწვა. ორივეზე ფერფლმოყრილი წყლულები დაეტყო. ფართოდ გახელილი თვალებით კვლავ მიყურებდა, მაგრამ გაფანტული მზერა ჰქონდა. სახეზე ტკივილი არ ეტყობოდა.

ვუცქერდი, მაგრამ მისი ქცევა უკვე აღარ მაღელვებდა. აღგზნება ჩაცხრა. რა თქმა უნდა, ეს ბალერინას აბების ბრალი იყო, მაგრამ გარდა ამისა, საშინლად მთრგუნავდა აზრი მისი სააბაზანოს შესახებ, რომელიც იმედის კარგად ნაცნობი რეპერტუარის ნაწილი გახლდათ. სულ ახლახან, მეც ისეთივე საპნით ვბანაობდი. იმავე აბებს ვსვამდი. ცხელ აბაზანაში ვჯდებოდი და სანთლების შუქზე ვნეტარებდი. როგორი ნაცნობი იყო ყველაფერი. მისი ფერადი ზეწრები, ფარშავანგის ბუმბულებისგან შეკრული მარაო და ფოჩებიანი აბაჟური ჩურჩულებდნენ: „ბუდუარი". ნიჟარებს, კენჭებსა და ხმელი ყვავილების თაიგულებს უკავშირდებოდა მოგონება დიდი ხნის წინანდელი, მაგრამ ძვირფასი მოვლენის შესახებ. წარმართული ღვთაებების პაწაწინა ფიგურებში, რომლებიც ფანჯრის რაფაზე იყო ჩამწკრივებული, წვრილი, თითქმის უჩინარი ძაფებით ჭერზე დაკიდებულ ბროლის პრიზმებში ვცნობდი იმავე მისტიკურ თილისმებს, რომლებიც ჩემი ყოფილი სატრფოების საწოლ ოთახებს ამშვენებდა. აღარაფერს ვგრძნობდი, არც - ვნებას, არც - სურვილს. გულმოდგინება, რომლითაც ბალერინა ცდილობდა, ტკივილი ტკბობად გადაექცია, ჩემზე აღარ მოქმედებდა.

დამწვარი თმის ტკაცატკუცი მომესმა. თავს იწვავდა *là-bas*. მთელ ოთახში უსიამოვნო სუნი დატრიალდა. ორგაზმის დროს ფეხებზე ჭვარტლის შავი წვეთები ჩამოეღვენთა - ასე ხდება, როდესაც სტიქიური უბედურების შემდეგ გულგრილი წვიმა ყველაფერს ზღვაში ჩარეცხავს ხოლმე...

- აილე, - მითხრა მან და სიგარეტი მომაწოდა,

- არ მინდა, დიდი მადლობა.

- სიგარეტით დამწვი.

სცენარისტი ვარ. ჩემს ფილმებს მრავალმილიონიანი შემოსავლები მოაქვთ და საკმარისია დავწერო: „ავტომანქანა ფეთქდება", რომ რეალური ავტომანქანა აფეთქდება, მაგრამ პირომანი ბალერინას გენიტალიების დაწვას ვერაფრით შევძლებდი. ამ ორგანოსთან, საერთოდ, რთული ურთიერთდამოკიდებულება მაქვს. ჩემგან არ გამოვიდა არც ჰენრი მილერი, არც - ეჟენ ანრი პოლ გოგენი. ამ დიად ექსპატრიანტებს არ ვგავდი. სექსუალური ავანტიურისტი ჩემში ისე მოკვდა, რომ ნახევარი საათიც კი არ უცოცხლია. ვკითხულობდი ბოდლერს, მაგრამ არ მსურდა, მასავით უზარმაზარი, მახინჯი შუბლი მქონოდა. მეგობრებს ღვინოების საუკეთესო სპეციალისტად მივაჩნდი, მაგრამ იმ საღამოს ნაყიდი ღვინით ძაღლების სალაფავსაც კი არ დავამზადებდი. ბალერინას ბინიდან გამოსულს, ადვილად შემეძლო საავადმყოფოს პალატის ნაცვლად „პლაზაში" დავბინავებულიყავი, იქ ერთი თვე მეცხოვრა, საჭმელი ნომერში შემეკვეთა, ჩემი საქმეები აგენტისთვის გადამებარებინა და ფანჯრიდან მეცქირა ნამდვილი შერეკილებისთვის, რომლებიც შადრევანში ბანაობდნენ, ჰიმნებს მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ოსანას უმღერდნენ ზეცას, სანამ პოლიციელები თავიანთი „ტეიზერებით" გამოაფხიზლებდნენ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის სანაცვლოდ ოცდათხუთმეტი ათასი უნდა გადამეხადა, ასე რომ, „პლაზაში" ფულსაც დავზოგავდი.

სული მეხუთებოდა. ძლივძლივობით ავდექი და ფანჯარასთან მივედი, მაგრამ როდესაც სახანძრო კიბეზე გადასვლა დავაპირე, კისერზე რაღაც სველი და ცივი დამეცა. ვიფიქრე, ფრინველის სკორეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი. ზეეით აეიხედე. ლამპიონების შუქზე დავინახე, რომ ლურჯი წვიმა მოდიოდა. კორეელების მინიმარკეტთან ხელჯოხიანი ინვალიდი ფორთოხლებს არჩევდა. ბებერი კორეელი ქალი თეთრ ვედროზე იჯდა და იორდასალამებს ღეროებს აჭრიდა; მათი ფაფუკ, ლომის ფაფრისებრ ყვავილებს ქარი არხევდა და ვარდისფერი ფურცლები სველ ასფალტზე ცვიოდა. ღამის განმავლობაში ქალაქი თითქოს ვიღაცას გაელაქა. მავთულები და ლობეები პრიალებდა. ჰაერი გრილი და სურნელოვანი იყო. გზაჯვარედინთან შუქნიშნის მწვანე ნათურა აინთო. ჩაიარა რამდენიმე ავტომანქანამ, რომელთა მთვლემარე მინასაწმენდები ზანტად მოძრაობდნენ. მინიმარკეტთან მდგომმა ინვალიდმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფორთოხლის საფასური გადაიხადა. დედაბერმა იორდასალამები გვერდზე გადააწყო, რათა ფული გამოერთმია. ნუთუ შესაძლებელი იყო ამგვარი ჰარმონია ადამიანებს შორის? ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი და ბალერინას თვალი შევავლე.

ამაზრზენი სანახავი იყო. ჭვარტლი, ფერფლი და ნაიარევები თითქმის მთელ სხეულს უფარავდნენ. ჩაცმული გეგონებოდათ. ველარასოდეს გამიშველდებოდა - კანი ზოლებით, კოპლებით და უჯრედებით მოჩითულ ქსოვილს მიუგავდა.

- რა თქვი? - მკითხა მან, თუმცა ხმა არ ამომიღია.

- ახლა რა უნდა აკეთო? - არ ვიცოდი, რა მეთქვა.

- არ ვიცი.

- წვიმს.

- რატომ?

- რატომ? რატომ წვიმს?

ოთახში ისეთი ცხელი და ჩახუთული ჰაერი იყო, როგორც ფურნეშია ხოლმე. მეორე ფანჯარაც გავაღე. გამჭოლმა ქარმა მყისვე შეისრუტა ფანჯრის მწვანე ფარდა, რომელიც ფილტვივით გაიბერა და ოთახი გააფართოვა. ტოსტერის კარში დავიწყებული პურის ნაჭერი მოჩანდა. ნიჟარის კიდეზე დადებულ ჩაის პაკეტში სიგარეტის ნამწვი იყო ჩარჭობილი. ბალერინა კვლავ საძინებელში იჯდა, თითქოს გაქვავებულიყო. უეცრად წარმოვიდგინე, როგორ დაიძინებდა ფერფლში - შავბუმბულიანი ჩიტის სადარი. ჩემკენ ზურგშექცეული იჯდა. მივეპარე, მაგრამ სხეული ერთიანად დამწვარი ჰქონდა და დავფიქრდი - როგორ უნდა მივფერებოდი? ხომ მთელი კანი ეტკიებოდა? შევჩერდი. პირველად დავინახე მისი ზურგი - სუფთა, უნაკლო კანი ჰქონდა; ცისფერი დაჰკრავდა იქ, სადაც ვენები ილანდებოდა. თითები სუნთქვით გავითბე და ხელისგულით იმდენად ნაზად მივეალერსე ბეჭებს შორის, თითქოს მეშინოდა, ნაკვალევი არ დამეჩნია.

- იქნებ იბანაო? - ვკითხე მე.

- ოჰ, —წაიდუდღუნა მან, - არ ვიცი.

აბაზანა ცხელი წყლით ავავსე. შემდეგ ფლაკონებს შევავლე თვალი. გამჭვირვალე ქილაში კრისტალები ეყარა - შაქარყინულს წააგავდა. რამდენიმე ცალი წყალში ჩავყარე, შემდეგ ყვითელი და მწვანე ბურთულები დავამატე, ბოლოს კი - აბი, რომელიც მაშინვე აშუშხუნდა და წყალი ცისფრად შეაფერადა. შემდეგ წყალში ჩავასხი „ფიჭვნარი", „ტრამალის ბალახი", „მთის თოვლი" და „ოკეანის ნიავი", და, ინერციით, „ლვია", „ვანილი", „მოცვი", ნუშის ზეთი, *bain moussant* და ცოტაოდენი ვარდისფერი ფანტელები დავამატე, რომლებიც აბაზანის ჩვეულებრივი ქაფი აღმოჩნდა.

- ყველაფერი გავამზადე, - ვთქვი მე და კარი მივხურე, რომ ორთქლს ოთახში არ გაეღწია.

ბალერინა არ შერხეულა. წამოვაყენე. ფეხებს ძლივს ადგამდა. აბაზანაში ჩავაწვინე, მაგრამ შემეშინდა, არ ჩაძირულიყო. ჭერთან ორთქლის ბოლქვები ტრიალებდა, აბაზანაში კი - ქაფი. მომეჩვენა, რომ სააბაზანოში კი არა, ქუნქულა ღრუბელში ვიმყოფებოდი.

- სანთელი, - მიბრძანა მან.

ჯაჭვი ჩამოვწიე და სარკის თავზე ნათურა აინთო.

- ამაღამ სანთლებს აღარ დაანთებ.

თაროდან ღრუბელი ავიღე და აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი.

- ბავშვი ხომ არ გგონივარ? - მკითხა მან.

- დღეს ბავშვი ხარ, - ვუთხარი და ღრუბელი მკერდზე ჩამოვუსვი. - მიამბე შენი ბებიისა და ბაბუის შესახებ.

- დედაჩემის სიკვდილის შემდეგ გადმოსახლდნენ აქ.

- საიდან?

-იუგოსლავიიდან. - მითხრა მან. - ბოსნია, ჰერცეგოვინა, ხორვატია, სერბია, მაკედონია უწინ ერთი ქვეყანა იყო.

- მათი ენა იცი?

- „*Mala kolicina.*"

მხრები და კისერი გავუსაპნე, შემდეგ ღრუბელი კვლავ დავასველე და ხელი დავუზილე, თან ბალერინას კანს ვაკვირდებოდი. რატომღაც გამიკვირდა, რომ გასაპნვის შემდეგ ნაწიბურები არ მოსცილდა. ქუჩიდან სირენის ხმა გაისმა. ბალერინა შეკრთა და ქაფიანი ხელი აიქნია. თითები უთრთოდა.

- რა დაავადება გჭირს? - მკითხა მან.

- არ ვიცი, - ვუპასუხე.

- დიაგნოზი როგორია? დიაგნოზს ყველას უსვამენ.

- სანამ საავადმყოფოში მივიდოდი, სამას დოლარად ხელოვნური ბალახი და პლასტმასის მილები ვიყიდე - მინდოდა, სასტუმრო ოთახში გოლფის მოედანი მომეწყო.

- შენი სასტუმრო ოთახია, - მითხრა მან. - როგორც გინდა, ისე მოაწყობ.

- ჩემს სიცოცხლეში გოლფი არ მითამაშია.

- ოჰ!

- ტურისტული სააგენტოების ბუკლეტებში კითხვაც ცუდი სიმპტომია, მაგრამ ყველაზე უარესი, იცი, რა არის? ექსპერიმენტები წამლებით. მაგალითად, ლითიუმის კარბონატისგან ხელები მიკანკალებს და ფეხები მებლანდება. ამიტომ ლითიუმს თავი დავანებე და ბუსპარის თუ ლამიქტალის დოზა გავაორმაგე. ხელები აღარ მიკანკალებდა, მაგრამ ყველაფერი მავიწყდებოდა და ღორივით ხარბად ვსანსლავდი საჭმელს. ექსპერიმენტები გავაგრძელე: ზოგიერთ წამალზე უარი ვთქვი, სხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დოზა გავაორმაგე. ვერ გეტყვი, რას განვიცდიდი. არ ვიცი, რას შევადარო.

- ვერაფერს შეადარებ, - მითხრა მან.

- ბოლოს საკუთარი ნება დავკარგე. ასე ხშირად მემართება ხოლმე. მაგალითად, ვფიქრობ, კარგი იქნება, ქუჩაში გავიდე-მეთქი. ქუდს ვიხურავ, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი. ამ სტადიაზე, ჩვეულებრივ, საავადმყოფოში ვწვები, მკურნალობის კურსს გავდივარ და შემდეგ იქიდან მიშვებენ. ცოტა ხანს ვერთობი და შემდეგ კვლავ ჩიხში ვექცევი.

- კარგია, რომ იცი საკუთარი დიაგნოზი, - მითხრა მან.

- მერე - რა ხეირი?

- ჰო, მთელ სიცოცხლეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გავატარებთ.

- *Au contraire* - ხვალვე გამოვეწერები.

- სამაგიეროდ, ერთმანეთისა უსიტყვოდ გვესმის.

- აბა, რა!..

- ბავშვობისას, - მითხრა მან, - მეგონა, რომ კონსერვატორია კონსერვების ქარხანა იყო.

- ლამაზი პირი გაქვს, - ვუთხარი მე. - მინდა შიგ შევძვრე და მოვკვდე.

- ოცდაცხრა წლისა ვარ, - თქვა მან, - და პირი მკვდარი ბიჭებით მაქვს გამოტენილი.

ბალერინამ საჰაერო კოცნა გამომიგზავნა დ დასძინა:

- ზოგჯერ მგონია, რომ უბრალოდ, გადაიღალე. განა გადაქანცული არ ხარ?

- ჩემი წასვლის დროა, - ვუთხარი უნადიროდ.

- სანთლების ჩაქრობის დროა.

ქვემოთ ჩაცურდა, ისე, რომ ჩამუქებულ წყალს ზემოთ, კუნძულებივით, მხოლოდ მუხლ[illegible] პაწაწინა ძუძუ, ფართო ცხვირი, ლამაზი ტუჩები და ცისფერი თვალები მოჩანდა. აქა-იქ ფერფლი დაცურავდა.

- გინდა, სცენარისთვის იდეა მოგაწოდო? - მითხრა მან, - სირენების გამკივანი ხმა გაისმის. ადამიანები ტირიან. მნიშვნელობა არა აქვს, სად ხდება ეს ყველაფერი, რადგან ბნელა. თვალებს ვერ გაახელ.

- რაზე ლაპარაკობ?

- უკაცრიელ კუნძულზე, ოკეანეში, ვირს დატოვებენ. ვულკანი იწყებს ამოფრქვევას. მთის კალთებზე გავარვარებული ლავის ნაკადები ჩამოედინება. კუნძულს ცეცხლი ეკიდება. რას იზამდი?

სიტუაცია ავწონ-დავწონე და ვუპასუხე:

- არ ვიცი.

მან გაიღიმა და მითხრა:

- ჰოდა, ვირმაც არ იცის.

- სასაცილოა.

ბალერინა საპნის ბუშტებს იჭერდა. საათს დავხედე. თითქმის თორმეტი საათი იყო. მომავალი არაფერს მიქადდა, გარდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებული მორიგი დილისა, როდესაც გრძელ დერეფანში უნდა გამევლო და წამლები გამომერთმია მოწყალების დისთვის. ერთი თვის ან წლის შემდეგ ბალერინა ნანიბურებიან მკერდზე ხელს მოისვამდა და მავანს უამბობდა უაზრო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნო საავადმყოფოში ერთი სცენარისტი. წყლის ტალღა აბაზანის კედელს მიეხეთქა. ქალის სველი, პრიალა კანი დიოსკორეისა და ნუშის სუნს აფრქვევდა. შემდეგ უკვე აღარაფერზე ვფიქრობდი და აღარ მახსოვდა, რომ ფანჯრებს მიღმა კვლავ მანჰეტენი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლექსო დორეული

# ჟანრის პოეზია. ჟურნალის ერთი ფიქციური ნომრის ამბავი

"კარგი წიგნი ავტორზე ჭკვიანი უნდა იყოს. ხშირად ის მოგვითხრობს ისეთი რაღაცების შესახებ, რაზეც ავტორი არც კი დაფიქრებულა".

უმბერტო ეკო

"ჰიუმს საკმაოდ კარგად ვიცნობდი, მაგრამ მათ შეხვედრებზე არასოდეს დავდიოდი... პაუნდს ვკითხე, ერთმანეთის ლექსებს რატომ იწერთ-მეთქი. მიპასუხა, იმისთვის, რომ ლექსებიდან ზედმეტი წყალი გამოვწუროთო. გულუბრყვილოდ წამოვროშე, ეს თამაშს ჰგავს, მე კი სერიოზული პოეტი ვარ-მეთქი. გაეცინა და იმ საღამოებზე აღარ მიუწვევივარ".

რობერტ ფროსტი



ამ ტექსტს, რომელსაც შენ ახლა წერ, ავტორი არ ჰყავს.

ის შეუძლებელი დასასრულისკენ მიგყავს, რადგან, როგორც ხედავ, ტექსტში გაუჩინარდნენ მოლაპარაკე და მსმენელი და დრო, რომელმაც მასში მოვლენების გასულიერება დაიწყო, ფიქციური აწმყოა.

საკუთარ ტექსტებზე დაკვირვების პროცესში აღმოაჩინე, რომ თქვენი დროის ის მეტისმეტად რეალური ავტორები, რომელთა ნაწარმოებებსაც, ერთი შეხედვით, შენი ტექსტები ეხება, მათში თვალსა და ხელს შუა, მიმდინარე ლიტერატურის ისტორიიდან გაქრნენ და ისტორიის ლიტერატურის ჩვეულებრივ პერსონაჟებად იქცნენ.

ახლა ისინი ფაქტობრივად, შემთხვევითი ლიტერატურული ფაქტების იმ განუყოფელი, დაუშლელი მეტაფორის ფუნქციას ასრულებენ, რომელიც ნებისმიერ დაწერილ სიტყვას ან სიტყვათა კავშირს ენის მიღმა არსებობის უფლებას და თვისებას ანიჭებს. მეორე მხრივ კი, შეგახსენებენ, რომ ტექსტი, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება იცნობდეს სუბიექტს და არა - პიროვნებას.

ნერი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორების პერსონაჟებად ქცევის პარალელურად, მათ ტექსტებს ნელ-ნელა წაართვი იმის უფლება, რომ ჩართულნი ყოფილიყვნენ მოებიუსის რკალივით დაუსრულებელი განმარტების სტატისტიკაში და ისინი აქციე წერის წინაარსებობის ფორმის ერთგვარ სიმბოლოდ, მისი შექმნის სიმულაციად.

ეს პროცესი თქვენს თვალწინ განუწყვეტლივ სრულდება, როგორც ერთგვარი რელიგიური რიტუალი, რომელიც, ვინაიდან სიმბოლოა და არა - მეტაფორა, საკუთარი თავის ისეთი ინტერპრეტაციაა, ინტერპრეტაციას რომ არ ექვემდებარება.

შედეგად, თავად წერის აქტი და მისი კონკრეტულ ნაწარმოებებად მისტიფიცირებული ცნობიერება მოგევლინათ ლიტერატურულ სანახაობად, ხოლო სიტყვები, რომლებითაც ის ჩვენ წინაშე იშლება - აბსოლუტურად შემთხვევით გამოთქმებად, უშინაარსო ჟესტებად, რომელთა ერთადერთი ფუნქცია ენობრივი მატერიის შექმნაა.

თუ მხოლოდ ტექსტად ყოფნის პოეზიაში შეგვიძლია მოვაკვლიოთ მას, რის გარეშეც ვერ გასულიერდება ვერცერთი იზოლირებული სიტყვა და რაც არ არის შერეული, შეჩერებული არც საგანსა და არც ხედვის აქტში, მისი გაუჩინარების კვალს შეიძლება მიაგნოთ ენის მანეკენის მიღმა შეუმჩნევლად მოძრავ ენაში, რომლის არსებობის ჯიუტი ფაქტი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც ინტერპრეტაცია არ არის.

ასე გადაიქცნენ ტექსტები არა ტექსტების თხრობის, მოყოლის, არამედ მათი შემქმნელი კონვენციების მოდელირებულ ქრონიკად და მითიურ ადგილად, სადაც მათ, ერთი მხრივ, საკუთარი შექმნის პროცესის დაჟინებული მეთვალყურეობა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარივე ისტორიის შესწავლა შეუძლიათ.

მას შემდეგ, რაც ენამ მასზე მოლაპარაკეთა მეშვეობით სინამდვილის ნაცვლად, საკუთარი სკულპტურის აგება და ჩვენ მაგიერ მეტყველება გადაწყვიტა და ასე ის საკუთარი თავის შესახებ ალაპარაკდა, ჩვენ უკვე ისტორიაში აღარ ვიმყოფებით, არამედ მის მუდმივ გამეორებაში და იმისათვის, რომ ისტორიაში დავბრუნდეთ, აუცილებელია წერა შეწყდეს.

შენ ამბობ, რომ ბარტი ამბობს, რომ "წერის წიაღში ყოველთვის არის რაღაც "ფაქტორი", რომელიც უცხოა ენისთვის", მაგრამ მისი აზრად გამოჭერა თითქმის შეუძლებელია, რადგან ენას ყოველთვის ატყვია მათი წარუშლელი კვალი, ვინც მასზე ლაპარაკობს.

იქნებ სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს ბარტის უცნაური აფორიზმი, რომ "ლიტერატურა ენის გვამია"? ხომ არ მოითხოვს ეს საპროტესტო ფრაზა ჩვენგან იმის აღიარებას, რომ ენა იმდენად გაიჟღინთა რეალობით, სწორედ მისი სიკვდილია ლიტერატურის დაბადების ერთადერთი გზა?

უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა იქნებ შეუძლებელიც არის სოციალური პრობლემებით შეპყრობილი და შთანთქმული თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის, რომელიც საკონკურსო ციებცხელების, საკმაოდ ანონიმური სპონსორებისა და თავაზიანი ექსპერტული დასკვნების სამყაროდ იქცა:

"სიტყვიერების შემეცნების ველში პოლიტიკური და სოციალური სინამდვილის შემოჭრამ გააჩინა სკრიპტორის ახალი ტიპი - რაღაც შუალედური აქტივისტსა და მწერალს შორის. აქტივისტისგან ასეთი ინდივიდი სესხულობს მოქალაქის იდეალურ სახეს, ხოლო მწერლისგან შეხედულებას იმაზე, რომ წერა შემოქმედებითი აქტია" (ბარტი).

არადა, სწორედ თხრობის დრო, მოუხელთებელი მომენტი აძლევს საშუალებას ავტორს, რომ პირველი პირის ნაცვალსახელის მიღმა გაუჩინარდეს, როცა "ბევრ თანამედროვე მწერალთან ინდივიდის ისტორიის განვითარება თითქოსდა ემთხვევა ზმნის საუღლებელი ფორმების თანმიმდევრულ ცვალებადობას: იწყებს "მე"-თი, როგორც უსახელობის უფრო სრული განსახიერებით და, ავტორი, როგორც პიროვნება - იმის გათვალისწინებით, ეგზისტენცია როგორ გადაედინება კონკრეტული ბედის ფორმაში, ხოლო საკუთარი თავისაკენ მიმართული მონოლოგი როგორ გარდაიქმნება რომანად - ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვებს მესამე პირთან მიდგომის უფლებას. მაშინ თვით მესამე პირის წარმოქმნის ფაქტი აღიქმება არა ისტორიის საწყის წერტილად, არამედ - ამ ძალისხმევის შედეგად, რომლის წყალობითაც განცდების და სულიერ მოძრაობათა ინტიმური სამყაროდან იბადება წმინდა, ნიშნებში გამოხატული ფორმა, რომელიც მესამე პირის მიერ შექმნილ დეკორაციათა უაღრესი პირობითობისა და სიმყიფის გამო, იმწამსვე ინგრევა" (ბარტი).

მაგრამ, თუ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები არსებითად შემთხვევითი გამოთქმებია, ხოლო შინაგან ცხოვრებაში მეორე პირის გამოჩენა - ფიქციური ცრუკომუნიკაცია და ისინი მხოლოდ ინდექსის ფუნქციებს ასრულებენ (რისი შესანიშნავი მაგალითიც თავად ეს ტექსტია), როგორ კვდება კაფკას "პროცესში" მესამე პირის უკიდურესობამდე რედუცირებული ფორმა? თუ არსებობს ერთგვარი უნიფიცირებული "მე", რომელიც სახელდებს სხვადასხვა პერსონას?

როგორ შექმენი ენა ყოველგვარი ტექსტების გარეშე? როგორ უნდა მიიყვანოთ ტექსტი ისეთ ფორმამდე, რომ მოხდეს მისით რაღაცის წაშლა? შესაძლებელია, რომ წაშლის ხელოვნება იყოს წერის ხელოვნება და არა - პირიქით? ან, სხვაგვარად თუ იტყვი, ის, რომ წერა წაშლის შესაძლებლობამ შექმნა, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ იმის წაშლა, რაც არც კი დაწერილა, შესაძლებელია იქცეს წერად?

არსებობს იმის კლასიკური ცოდნა, რომ წერის ჭეშმარიტ ხელოვნებას ის ფლობს, ვისაც წაშლის პოეზია გააჩნია, მაგრამ თუ წაშლა პირველშობილია, როგორ უნდა მოხდეს ცარიელი ფურცლის წაშლა?

სიმართლე გითხრა, შენ ამ კითხვებზე პასუხი არ გაქვს.

როგორც იცი, ერთხელ, მწერალმა ნატო დავითაშვილმა გითხრა: "რა კარგი იქნებოდა ყველა ავტორი ტექსტებს ისე რომ აქვეყნებდეს, სახელსა და გვარს არ უთითებდესო".

ლიტერატურაში ფსევდონიმით წერის ტრადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ციაც ხომ, რომელიც ღმერთის სიკვდილთან ერთად გაუჩინარდა, ამას ემსახურებოდა. წარმოიდგინეთ ჟურნალის ერთი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილ არცერთ ტექსტს ავტორი არ ეყოლება. ეს იქნება უნიკალური თერაპია თქვენი ლიტერატურისთვის და ასე შეძლებს წერა კვლავაც სპონტანურ ანონიმურობას დამორჩილდეს, ტექსტი განთავისუფლდეს ავტორისგან და იქცეს მხოლოდ საკუთარი თავის საკუთრებად.

ასე, ტექსტები შეძლებენ გაცვალონ ავტორები, რომლებიც ზოგჯერ მათთვის საბოლოო განაჩენსაც კი წარმოადგენენ და უსაზღვრავენ გაგების უსასრულო ჰორიზონტს, აწესებენ ტექსტთან ურთიერთობის ჟანრით განსაზღვრულ მკაცრ მიჯნებს. ინგარდენი ამბობდა, რომ ინტერპრეტატორი ტექსტის "განუსაზღვრელობის ადგილების შევსებისას" არ უნდა გასცდეს ჟანრით დაშვებულ საზღვრებს, თუმცა არსებობთ ადამიანები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებთ ინტერპრეტაციაუმართავ ტექსტებს, რომლებიც ვერ და არ აკონტროლებენ საკუთარ თავზე შექმნილი ინტერპრეტაციების მიმართულებასა და ლოგიკას.

ავტორი, რომელიც მიჩენილი ჰყავს ტექსტს, ხშირად მართლაც განსაზღვრავს მის ჟანრულ და სემანტიკურ სივრცეს და არ აძლევს საშუალებას ტექსტს, დაუსხლტეს შექმნილ კონტექსტს, განივითაროს თვითცნობიერება.

დააკვირდით, სულ უბრალო ცვლილების წყალობით, როგორ შეიძლება ვაჟა-ფშაველას ცნობილ ლექსში "არწივი", ტრადიციული წაკითხვით გაქვავებული არწივის მეტაფორა ამოძრავდეს და მის უკან დამალული საქართველო სულთმობრძავ ფალოსად იქცეს, თუ ლექსის ბოლოს მის რეალურ ავტორს ტარიელ ჭანტურიას სახელითა და გვარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლით:

*ეწადა ბეჩავს ადგომა,*
*მაგრამ ვეღარა დგებოდა".*

თქვენს ცნობიერებაში გამართულ სწორედ ასეთ ეთიკურ, სახალისო, მაგრამ სახიფათო თამაშებს შეუძლია, ერთი მხრივ, მკითხველი აიძულონ, შექმნას ტექსტებთან ურთიერთობისას ესთეტიკური უანგარობის უნიკალური პრეცენდენტი, მიიღოს მონაწილეობა ავტორებისა და სტილების გამოსაცნობი აზარტული მოზაიკის შედგენაში, გაანთავისუფლონ ავტორები საკუთარი ტექსტებისა და მათ მიერ შექმნილი მსუბუქი სოციალური კონტექსტის მძიმე ტვირთისგან, ხოლო მეორე მხრივ, შეგვახსენონ, რომ ტექსტი ის არის, რაც აცნობიერებს, რომ ტექსტია.

ცხადია, ამით მას გაწირავთ უავტორობისა და ანონიმური სიბნელისთვის და მისცემთ მარტოობის, საკუთარი თავის გაცნობიერების საშუალებას.

სწორედ ავტორი-დიქტატორის პაროდიას წარმოადგენს ვახტანგ ჯავახაძის შესანიშნავი ლექსი "ჩემი ლექსის მთარგმნელებს", რომელშიც, საბოლოოდ, მისგან არაფერი დარჩება გარდა სახელისა და გვარის, როგორც ერთგვარი ლოზუნგის:

"ჩემო მოამაგენო, თუ გსურთ, რიტმი შეცვალეთ.
თუ გსურთ, მეტრიც შეცვალეთ მეორედ და მესამედ.
თუ გსურთ, გაამარტივეთ შედგენილი რითმებიც.
ალიტერაციებსაც ნულარ მოერიდებით.
თუ დაგჭირდეთ, დაანყვეთ სტრიქონები თავიდან,
მეტაფორაც გაშიფრეთ, არაუშავს, აიტანს.
ნუ მიბაძავთ სინტაქსურ მსგავსებებს და შეხვედრებს,
შედარებით იოლად შედარებებს შეხედეთ.
ქვეტექსტსა და ქარაგმას ნუ გაუწევთ ანგარიშს,
ნუ დაიცავთ ყოველი ინვერსიის მაგალითს.
ნუ დაძებნით შესატყვის ჟარგონსა და ეპითეტს,
ზუსტი ინტონაციის შერჩევასაც ერიდეთ.
ნუ გამოედევნებით აქცენტსა და პაუზას,
შეგიძლიათ, ზოგ რეფრენს ხაზი არც კი გაუსვათ.
შეგიძლიათ, ხანდახან, ჰიპერბოლაც გაწიროთ,
ყველა ქვესათაური არ იქნება საჭირო.
გამოტოვეთ გზადაგზა ზუსტი ზედსართავები,
გამოტოვეთ სტროფი და გამოტოვეთ ტაეპი.
გამოტოვეთ ორმოცჯერ, გამოტოეეთ სამოცჯერ...
ოღონდ ჩემი გვარი და სახელი არ გამოგრჩეთ"!

თუ კი ასე ტექსტი შიშველი, გაუშუალედებელი რეალობის კედლის და კედლის რეალობის წინაშე აღმოჩნდება, მას ექნება უფლება, მხოლოდ ლიტერატურის ფარგლებში დარჩეს და გათავისუფლდეს იმ მყიფე საზოგადოებრივი როლებისა და რიტუალებისგან, რომელიც მას, სოციალური აგენტის ფუნქციებს აკისრებს და არ აძლევს საშუალებას, დაუსხლტეს სინამდვილის მეთვალყურეობას, თავად შექმნას რეალობა, ლიტერატურული დრო.

ნებისმიერი რომანი ხომ, ფაქტობრივად, იმ განუსაზღვრელობის ადგილების შევსების მცდელობაა, რომლებიც რეალური ცხოვრების სიუჟეტში არსებობს. ასე ახერხებს ლიტერატურა გაგრძელდეს ცხოვრებაზე დიდხანს.

ტექსტი ფაქტებია, რომლებმაც ჯერ კიდევ შემნამდე განაცხადეს უარი, ყოფილიყვნენ ისტორიის კუთვნილნი და ემართათ იგი. ამიტომ მათ ლიტერატურაში დაიდეს ბინა.

უმბერტო ეკო ესეში "რატომ არის სიცრუე, რომ ანა კარენინა ბეიკერ სტრიტზე ცხოვრობდა" წერს, რომ თქვენ ჩაჭრიდით ისტორიის გამოცდაზე არა მხოლოდ მას, ვინც იტყოდა, რომ ჰიტლერი კომოს ტბაზე დახერიტეს, არამედ მასაც, ვინც ლიტერატურის გამოცდაზე იტყოდა, რომ ანა კარენინა ციმბირში გაიქცა ალიოშა კარამაზოვთან ერთად.

მაგრამ უნდა ჩაგეჭრათ თუ არა ის, ვინც ისტორიის გამოცდაზე იტყოდა, რომ ანა კარენინა ციმბირში ალიოშა კარამაზოვთან ერთად გაიქცა?

ცხადია, არა.

ტექსტის მიზანი რეალობის ამოწურვა კი არა, მისი გადაჭარბებაა.

სწორედ ამიტომ, შენ შეგიძლია ტექსტებში ავტორები და მათი ტექსტები ისევე გამოიგონო, როგორც ეს ბორხესმა მოახერა მოთხრობა "ჰერბერტ ქვეინის თხზულებათა მიმოხილვაში" და ასე მოიპოვებ შანსს - გააკრიტიკო არარსებული, აბსტრაქტული ტექსტები.

საერთოდ, ლიტერატურასა და მის კრიტიკას საკუთარი ჟანრის პოეზია და კანონიკა აქვს.

დღესდღეობით, იქნებ დარწმუნებულიც კი ხარ, რომ თქვენი ლიტერატურისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია რომელიმე, თუნდაც ყველაზე უინტერესო თანამედროვე ავტორზე დაწერილი კრიტიკული რეცენზია, ვიდრე შოთა რუსთაველის, ელიოტის, დავით გურამიშვილის, მალარმეს, ვაჟა-ფშაველასა და დავით კლდიაშვილის ტექსტებზე შეთხზული კვლევები, რომლებსაც არ აქვთ უფლება კრიტიკულ ტექსტებად იწოდებოდნენ, რადგან ეს ამ ჟანრის ჯერ გაყალბებასთან, დისკრედიტაციასთან, შემდეგ კი მის სიკვდილთან მიგვიყვანს. მათ შეუძლიათ სამუზეუმო ისტორიად აქციონ ლიტერატურა, რადგან თუ ის (ლიტერატურა) საკუთარ თავზე რეფლექსიას არ ახდენს, განწირულია.

ამიტომ კრიტიკა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ერთადერთი შანსია ლიტერატურული პროცესისთვის, რომ მან თვითცნობიერება შეიძინოს.

იმისთვის, რომ ლიტერატურული დრო ჩაირთოს, დრო, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არ არებობს და გვაგრძნობინებს, რომ ჩვენ ხელოვნების სივრცეში ვიმყოფებით, კრიტიკასთან ერთად საჭიროა არა - ავტორის სიკვდილი, არამედ ამ სიკვდილის კონსტატაცია.

აქვს კი მნიშვნელობა იარსებებს თუ არა ისეთი გამოცემა, რომელშიც ტექსტები საკუთარი თავის ავტორები იქნებიან? ცხადია, არანაირი. თუ ამ პროექტის იდეის ისე აგებას შეძლებ, რომ მისი ხორცშესხმა ლოგიკური და შესაძლებელი იყოს, შეგიძლია ის პრაქტიკულად აღარც განახორციელო, რადგან არიან ისეთი პერფორმაციული სიტყვები, რომელთა გამოთქმას არსებობა აპრიორი თან ახლავს.

და თუ დროა, იდეებმა იდეებში დაიწყონ გასულიერება და არა - მათ ჩრდილებში, შეგიძლია ლიტერატურის პირველი მსხვერპლი თავად იყო და ამ ტექსტსაც არ მიუჩინო ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამბობენ, სტილი - ეს მარტოობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნანა ტრაპაიძე*

# წერა-მწერლის წერითა

*"თუ წერის ტიპი, რომელიც აბსოლუტურ თავისუფლებას განასახიერებს, ვერასოდეს იქცევა ჩემი პიროვნების ეტიკეტად, და ვერაფერს გიამბობთ ჩემს ისტორიაზე, ჩემს თავისუფლებაზე, მაშინ ეს მწერლობა, რომელზეც ვარ მინდობილი, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი დაწესებულება".*

*როლან ბარტი,*
*"წერის ნულოვანი დონე"*

*"- შენ რა მიეცი ქალაქს, მონტეგ?*
*- ფერფლი!*
*- რას აძლევდა ხალხი ერთმანეთს?*
*- სრულიად არაფერს!"*

*რეი ბრედბერი,*
*"451 გრადუსი ფარენჰაიტით"*



თუ მკითხავთ რა არის სნობიზმი, ვიტყოდი - პერსონის გადამეტებული მნიშვნელობა, ადამიანის ტოტალობა. ჩვენს ერთვნულ სამყაროში მხოლოდ პერსონა[1] ლაპარაკობს. უფრო სწორად, ლაპარაკობს გარკვეული სოციალური იმიჯი, ან დისკურსი, როგორც რეპრეზენტაციული აგენტი; აქ ინტენსიურად ითქმება აზრები, მაგრამ ისინი იშვიათად ხდებიან. სიტყვა აქ იშვიათად არის ქცევითი აქტი. იგი, ძირითადად, კომუნიკაციის იარალი და მესიტყვეების სოციალური ფუნქციის გამოტარებაა. ამიტომაც, ხშირად, ამ ფუნქციასავით მერკანტილური და უნაყოფოა, ზედაპირ[ულ]ი, რომლისთვისაც სიღრმე არც შინაარსია, არც ატრიბუტი. გლობალურად, ეს ფუნქციური მესიტყვეობა ჩვენს ამორფულ კულტურულ სტაბილურობაში სათადარიგო მონწყვლადობაზეა პასუხისმგებელი, ლოკალურად კი იგი პოლიტიკურად სანქცირებული კერძო სოციალური ბიზნესია.

ეს "შავი შტრიხები", არსებითად, სინამდვილის მომნიშვნელ კონტურებზე მითითებაა, რომელიც, კეთილგონიერების კარნახით, შესაძლოა, ფატალურად სულაც არ შემოიწეროს. მთავარია, "გვესმოდეს ზოგიერთი რამ, კერძოდ კი - ყველაფერი"[2]. გვესმოდეს საკუთარი მოძრაობის არსი; გვესმოდეს ისიც, რომ ჭეშმარიტ მოძრაობებს გარანტიები არ ახლავს, რომ აქ დაზღვევის სოციალური სისტემა არ მუშაობს.

პერსონა (ინდივიდის ეს თანამედროვე ქიმერა) ბატონობს იქაც, სადაც მისი ესოდენი აქტუალობა თვითდისკრედიტაციულად უნდა აღიქმებოდეს - მწერლობაში. აქ ვერ მოკვდება ავტორი, ამას თვითონ ავტორები არ დაუშვებენ (გამონაკლისი ამაც წესს ადასტურებს). არ დაუშვებენ ისინი, ვისთვისაც სიტყვა საზოგადოებრივ კონვენციებსა და ამბიციებში გამობრძმედილი აზრების სოციალური მიმოქცევის საშუალებაა და არა ქცევა, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეპოვება არსებობის საკუთარი ეთოსი, გამოხატვის პირადი მანერა, ის, რასაც ბარტი ეტიკეტს უწოდებდა, რაც, მთლიანობაში, გარკვეული ესთეტიკური ჟესტი და აზრობრივი პოზიციაა, როგორც არსებობის საკუთარი ფორმა და წესი.

სიტყვა, როგორც ქცევა, თავის მანერულ, ცოცხალ, პერფორმანსულ გამოხატვას წერაში პოულობს. მწერლობა აზრის ქცევითი მანერაა. ყოველი ქმნილების სახით ჩვენ წინაშეა არა მისი ავტორი, იურიდიული პირი, მისი პერსონალური ბიოგრაფია, არამედ აზრის ქცევითი ბიო-გრაფია, რომელიც დამოუკიდებელია, თვითქმნადი.

ამიტომ წერა, როგორც ქცევითი აქტი, ეთიკური ფენომენიცაა, როგორც გამოხატვისა და არსებობის ექსისტენციური პოზიცია.

თავისუფალი პოზიციისადმი აგრესიული საზოგადოებრივი თუ კერძო შემართება საკუთარი კომფორტის დაცვის შინაგანი იმუნიტეტით აღიძვრება ხოლმე. ასეთი იმუნიტეტი პოლიტიკის რანგში რეგულირდება. უკიდურეს ფორმაში იგი მწერლობის სამართლებრივ განსჯასაც ნიშნავს. მწერლობის სამართლებრივი განსჯის შესახებ ჩვენივე უახლოესი ისტორიული გამოცდილებებიდანაც ვიცით. რეპრესიული რადიკალიზმი, რომელიც ფიზიკურ მოსპობას გულისხმობდა, დღეს აღარ არსებობს, მაგრამ კულტურული და ინტელექტუალური (თვით)კასტრირების სისტემა კვლავაც მუშაობს. თვალი/ძალა, რომელიც კონტროლის სისტემას ქმნის და აწესრიგებს, ახლა ძალაუფლებას საზოგადოებრივი უფლებამოსილებისა და ფუნქციონირების ასპექტში ახორციელებს. ამით არის იგი მანამდე არნახული, - ერთდროულად გლობალური, მოდერნულ-მოდერნიზებული და ჩვენ მიერვე ნებადართული: ჩვენ სისტემის არა ობიექტები, არამედ სუბიექტები ვართ.

როცა წერა ქცევის/აზროვნების საზოგადოებრივ ნორმას არ ესადაგება, როცა მას მავანის კომფორმისტულ სამოთხეში "უცხო ხილი" შეაქვს, ის დამამცირებელ და შეუწყნარებელ *ყოფა-ქცევად* შეირაცხება. იგი ისჯება სათვალავში არ მიღებით. ასეთი წერითი პრაქტიკების ემპირიული არსებობის დემოკრატიული უფლება მისი გამორიცხვის ასევე დემოკრატიული უფლების გვერდით მშვიდობიანად "ძევს". შემდეგი სტრატეგია ჩანაცვლებითი აქციაა, როცა ავტონომიური დისკურსის კულტურული ხმა გადაიფარება მისი ოფიციალური ორეულით. აქ ორი კურდღლის დაჭერა ხდება: ერთი, სრულდება დროის მოთხოვნა (-ამა თუ იმ დისკურსის სანქცირება), ამასთან, კონტროლის სადავეები ისევ სისტემის ხელში რჩება. ასეთი რეალობა აყალიბებს კულტურულ წრეებს, როგორც თვითიდენტობის ერთგვარ კამერულ მანიფესტებს, რომლებიც ავტორიტეტულად დახშულია და ამ დახშულობის გამო კიდევ უფრო მიმზიდველი. ისინი უხმობენ მეინსტრიმულ ლაჟვარდებზე მეოცნებე ათასობით ადამიანის სნობურ ვნებებს. ბუნებრივიცაა, "როცა მავანმა არ იცის, თუ რა უნდა აკეთოს, მართლაც სრულიად პრაქტიკული საქციელია იმაზე ორიენტირება, რასაც სხვები აკეთებენ. შესაბამისად, ადამიანები საკუთარ თვალსაზრისებს და ინფორმაციებს კი აღარ ენდობიან, სხვებს უერთდებიან. ეს მით უფრო სწრაფად ხდება, რაც მეტად ვიწროა ჯგუფური კავშირები... მაშასადამე, საზოგადოებრივი აზრი ის კი არ არის, რასაც ადამიანები ფიქრობენ, არამედ – ის, რასაც ადამიანები ფიქრობენ იმაზე, თუ „რას ფიქრობენ ადამიანები"[3].

ძალაუფლების/სისტემისა და ღირებულებების ეს ომი პერსონისა და სიტყვის/ხმის ომია. სისტემას არ შეუძლია პერსონალური არ იყოს. უფრო ზუსტად, არ შეუძლია არ ჰყავდეს პერსონალური წარმომადგენლობა. თუმცა შეუძლია პერსონათა სერიულ (მაგრამ ზღვრულ) წარმოებაში არაპერსონალობა და იდეური კრისტალურობა მოხერხებულად ითამაშოს; მაშინ, როცა სიტყვის ანტი-პერსონალობა ხმის უსხეულობამდე უკიდურესია. სიტყვა თავის ღირებულებით არსში აუქმებს პერსონის სოციო-ბიოლოგიურ საწყისს - ადამიანს. პერსონას, რომელიც სიტყვის წილ ბატონობს, ადამიანთა კულტურული გენოციდი შეუძლია.

წერა ინსტანციაა, სადაც სიტყვა თავის არსსა და სარეზერვო ძალებს (გადა)ინახავს.

წერა ენისა და აზრის პერსონალური ჟესტია და ამ ჟესტთა შორის ტიპოლოგიური სხვაობა არსებობს. სხვაობის პრინციპი ალბათ ის არის, თუ რასთან გვაქვს საქმე - აზრის თქმასთან თუ აზრის მოხდენასთან. პირველი ავტორის სოციალური ინსტანციაა, მეორე - წერის კულტურული ინსტანცია. აზრის მოხდენა ნიშნავს სულიერი, ცხოვრებისეული და ინტელექტუალური გამოცდილებების შეხვედრას ენასთან. როცა ენა საშუალება კი არ არის, - მხარეა. მხარე, რომელიც ერთბაშად და ერთჯერადად არაფერს გასცემს. ამისთვის არავინაა მზად.

და წერა/მწერლობა დოკუმენტია, რომ "რაღაც" მივიღეთ.

აზრი-ხდომილება არ არის მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის ექსკლუზიური ნიჭი. იგი, ზოგადად, წერის ნიჭია. კრიტიკული ნარატივიც წერის ფორმაა, ე.ი. ისიც ენობრივი პერსონალობაა.

როცა კრიტიკული ტექსტის პერსონალობა ხვდება მხატვრული ტექსტის პერსონალობას, ეს "ორთა" ინტერ-ტექსტური, ინტერ-პერსონალური და ინტერ-კულტურული დიალოგია. მკითხველი ასეთ შემთხვევაში ამ დიალოგის მხოლოდ მოწმეა. მას, როგორც მოწმეს, შეუძლია გაიაზროს ამ შეხვედრის ეროტიკა, ან დატოვოს იგი, როგორც გაუგებარი, მისთვის უცხო ადგილი.

კრიტიკის ტრადიციით მარკირებული მისიაა იყოს "მესამე პირი", რომელმაც მკითხველსა და ტექსტს უნდა უშუამდგომლოს, ჯვარი დასწეროს მათ კავშირს. მაგრამ კრიტიკა აზრის მოწმობაცაა, ავტონომიური დიალოგური ხდომილება, რომლის ენა უაღრესად ინტიმურია, როგორც ორთა კავშირი, რომელიც მესამის ენაზე მხოლოდ ამ უკანასკნელის შემხვედრ გამოცდილებათა პირობებში ითარგმნება.

ყოველ აზრ-ხდიმილებას აქვს ღია და დაფარული კოორდინატი. "მკითხველობა", გაგება ღია კოორდინატიდან დახურულისაკენ ინტუიციური, „ბრმა" მოძრაობაა. იქ, სადაც მოძრაობის "სიბრმავეს" აღქმის სიბრმავე უსწრებს, ასეთი მოძრაობა ვერ განხორციელდება, რადგან ასეთმა აღქმამ უკვე წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დანინვე წამოიკრა ფეხი საკუთარ სიბრმავეზე. ის ვერასოდეს შევა აზრის არქიტექტონიკაში, აზრის ლაბირინთში.

როცა ენა გადის გამოხატვის კანონიკური ფარგლებიდან, ეს კრიმინალია გრამატიკისთვის, მაგრამ თავისუფლებაა აზრისთვის. ენა თვითონ გვიბიძგებს დანაშაულისკენ - მათ შორის ყველაზე "მძიმე" - "ბუნდოვანების დანაშაულისკენ". ეს მისი თამაშია. ტროპების, პოეტური სინტაქსის მთელი სტრუქტურები ენის აკრძალული, უკანონო თამაშის კანონიერი შვილებია.

წერა ლაბირინთია, რომელშიც არსებობის ყველა ნაგულისხმევი, შესაძლო, გამოტოვებული ხდომილება აღდგება და (შე)მოედინება. იგი სიმართლის ინტენსივობაა, რომელიც ჩვენი სამეტყველო სინამდვილის კონვენციურ არსებაში აზრ-ხდომილებათა აურად არსებობს. მისი ბუნდოვანებაც, დახშულობაც, ლაბირინთულობაც აქედან მოდის. სიმართლის სიჭარბე ქმნის პერსონალურ ენას, რომელიც იმუნურია არააზროვნების შეუცდომლობებისაგან, რადგან ყოველმა აზრმა იცის, რომ იგი ცუდი გრამატიკაა[4].

(ასეთი) სიმართლის/წერის აქტუალური დრო აწმყოა. აწმყო დროის ზედაპირია. რაც მეტია მისი სიღრმე (-წარსულისა და მომავლის სახით გამოვლენადი დროის იპოსტასური სიღრმე), მით უფრო გლუვია ზედაპირი. რაც მეტია აწმყოს ინტენსივობა, მით "ვიწროა" მისი ქრონოტოპოსი: იგი მხოლოდ *აქ* და ახლა ხდება, რადგან ყველაზე ზუსტი აზრები მხოლოდ წამით არიან ზუსტნი[5]. სიზუსტე კი ყოველთვის უზუსტობის ზღვართან ხდება. ამიტომ ექსისტენციური მოძრაობის, სულიერი დაძაბულობის შინაგანი ვექტორი აქეთკენ მიგვითითებს, - "აქ და ახლას" სიზუსტისაკენ, რომელიც მარადმედინი დროის/აცდენებისა და ტყუილის ემპირიული მრუდითაა გარშემოწერილი და გვეძახის რათა გამოითქვას, მაშასადამე - მოხდეს.

***შენიშვნები:***

1. "პერსონა" - არამც და არამც არ არის ეზრა პაუნდის "პერსონის" ალუზია.
2. "მთავარია, "გვესმოდეს ზოგიერთი რამ, კერძოდ კი - ყველაფერი"//"უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ, კერძოდ კი - ყველაფერი"; პაატა შამუგია, "მიზოგადოება"; თბ; 2014; გვ. 76.
3. ნორბერტ ბოლცი, "ვის ეშინია ფილოსოფიის?"//ჟურნ. "ახალი საუნჯე", N1; 2016(იანვარი); გვ. 67 (მთარგმ.დათო ბარბაქაძე).
4. "ყოველმა აზრმა იცის, რომ იგი ცუდი გრამატიკაა"//"ყოველი ფილოსოფიური წინადადება ცუდი გრამატიკაა", ბერტრან რასელი, შესავალი ლუდვიგ ვიტგენშტაინის "ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატზე"; თბ. 2010, გვ. 13 (მთარგმ. იგა მინდაძე).
5. "ყველაზე ზუსტი აზრები მხოლოდ წამით არიან ზუსტნი"//"ზუსტი აზრები ყოველთვის მოულოდნელი აზრებია. ყველა მოულოდნელი აზრი რამდენიმე წამსაა ზუსტი", პოლ ვალერი, "აზრები", იხ; "რჩეული პროზა", თბ;1983, გვ. 130 (მთარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

16.05.2016 - 21.05.2016

# თბილისის მე-2 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

# The 2nd Tbilisi International Festival of Literature



Yuriy Andrukhovych/იური ანდრუხოვიჩი





Sadik Yalsizucanlar / სადიკ იალსიზუჯანლარი



Kristian Carlsson / კრისტიან კარლსონი



Dmitry Bykov / დმიტრი ბიკოვი



Yasuhiro Yotsumoto / იასუჰირო იოცუმოტო





Susan Schillinglaw/ სიუზან შილინგლოუ



Luke Kennard / ლუკ კენარდი



Steven J. Fowler / სტივენ ჯ. ფაულერი



Sergio Badilla Kastilio / სერხიო ბადილია კასტილიო





Hasmik Simonian / ჰასმიკ სიმონიანი



Nino Haratischwili / ნინო ხარატიშვილი



Seymur Baycan / სეიმურ ბაიჯანი



Etgar Keret / ეტგარ კერეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა


# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


ი 7/23

